გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 სექტემბერი პარასკევი 2009
№ 208 (12 887) ფასი 60 თეთრი



# ლიპი თბილისიდან აითვლის...

დღეს სკუადრა აძურა ჩამოდის. იტალიის ნაკრები თბილისურ მატჩამდე

>> გვერდი 4

საქართველო-იტალია

# ანანიძემ უკვე გაიტანა




>> გვერდი 2




# ჩელსი დასაჯეს

>> გვერდი 7

# პლეი ოფი კი არა, ფინალია!



საქართველოს ნაკრების ღია ვარჯიში ბელარუსში გამგზავრებამდე >> გვერდი 12

ეროვნული ნაკრები · საქართველო-იტალია · შესარჩევი მატჩი



# ანანიძემ უკვე გაიტანა

საქართველოს ეროვნული ნაკრების გუშინდელი ვარჯიში მიხეილ მესხის სტადიონზე წინასწარ გამოცხადებულზე ნახევარი საათით ადრე, საღამოს 6 საათზე დაიწყო. **ექტორ კუპერის** განკარგულებაში თითქმის იგივე ფეხბურთელები იყვნენ, რომლებმაც წინადღეს **თენგიზ სულაქველიძის** აკადემიის მოედანზე ივარჯიშეს.

ნაკრების შემადგენლობაში მცირედი ცვლილებები მაინც ვიხილეთ. გუნდს შეუერთდა ბოლო მომენტში გამოძახებული და ისრაელიდან ჩამოფრენილი **ზურაბ მენთეშაშვილი**, წინა დღით დაშავებული **ლევან ხმალაძე** კი გუშინ საღამოს არ დაუტვირთავთ. სამაგიეროდ, მან დილის წვრთნაში მიიღო მონაწილეობა და თუ კუპერი ისურვებს, იტალიასა და ისლანდიასთან დაუბრკოლებლად ითამაშებს. მარცვალაძის ჩამოუსვლელობა უკვე ძველი თემაა და ამაზე ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენთ.

გუშინ სამწვრთნელო შტაბმა აქცენტი კვლავ სტანდარტული მდგომარეობის დამუშავებასა და სწრაფ იერიშებზე გააკეთა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ფეხბურთელები ამ კომპონენტში გუშინ საკმაოდ ნორმალურად გამოიყურებოდნენ. ისინი საჯარიმოში ბურთს ორივე ფლანგიდან აწვდიდნენ, სადაც უკვე საჰაერო დუელი მიმდინარეობდა. კუპერმა მცველის ფუნქციები ერთ ეპიზოდში გუშინაც იკისრა და ამაში თანამემამულე თანაშემწეები დაიხმარა.

ნაკრების წევრებმა კარშიც მრავლად ურტყეს. კუპერი ფეხბურთელებისგან მოითხოვდა როგორც „მუშა", ასევე მეორე ფეხით დარტყმას. ეს უკანასკნელი, ბუნებრივია, უკეთესის სურვილს ტოვებდა. რაც მთავარია, ვიხილეთ ორმხრივი თამაში, თუმცა ნახევარ მოედანზე და ათი-ათზე. ვერ ვიტყვით, რომ შემადგენლობები „პირველად" და „მეორედ" იყო გაყოფილი. შესაძლოა, კუპერი ჯერაც ძიების პროცესშია და საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა, თუ ვის გაამწესებს იტალიელთა წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში.

„ლურჯები": **ბედიაშვილი - თ. ლონლაძე, ხიზანიშვილი, კალაძე, სანაია - ანანიძე, მენთეშაშვილი, დევდარიანი, კობიაშვილი - ვაწაძე.**

„ყვითლები": **ლომაია - ლობჟანიძე, ა. კვახაძე, გ. კაშია, ფოფხაძე - სეთურიძე, რაზმაძე, ცქიტიშვილი, ყენია - დვალიშვილი.**

საკმაოდ სწრაფი და დინამიკური თამაში „ლურჯების" მინიმალური გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი **ჯანო ანანიძემ** გაიტანა. ამ გოლს თავი რომ დავანებოთ, მისი მონაცემები მაინც აღნიშვნის ღირსია. მთელი წვრთნის განმავლობაში ჯანოს, ფაქტობრივად, ერთი წუნიც არ ჰქონია.

ვარჯიში, ბუნებრივია, მოთელვით დასრულდა. ჩვენი ნაკრების ყველა ფეხბურთელი მხნედ და ხალისიანად გამოიყურებოდა, მაგრამ ეს ჩვეული ამბავია, მთავარია, ასეთ ხასიათზე იტალიასთან მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ დავდგეთ...

„სკუადრა აძურასთვის" მოსამზადებელ ბოლო ვარჯიშს საქართველოს ნაკრები დღეს, საღამოს შვიდის ნახევარზე, ეროვნულ სტადიონზე ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 21. ესტონეთი-საქართველო · შესარჩევი მატჩი

# ნაკრები, როგორც სტიმული

**გუშინ** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ტალინში გაემგზავრა და საღამოს ივარჯიშა. ოთარ გაბელიას გუნდს 5 სექტემბერს ესტონელები უმასპინძლებენ. ბოლო დროს, ბალტიისპირელებს, რომელთაც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გუნდი არასდროს ჰყოლიათ, მადა აღეძრათ: ტალინის „ლევადიამ" კრაკოვის „ვისლა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან გააგდო, ეროვნული ნაკრები ძველებურად უიმედოდ აღარ აგებს და ზოგჯერ სენსაციებსაც „აცხობს", თავად ესტონელმა ახალგაზრდებმა კი ჯგუფის ფავორიტი შვეიცარია სტუმრად დაამარცხეს და ქართველებთან შეხვედრის წინ დიდ გულზე არიან.

შეხვედრა ტალინში, „ლე კოქ არენაზე" ადგილობრივი დროით 17:00 საათზე დაიწყება. მატჩამდე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებს ინტერვიუ ვთხოვეთ. „ზესტაფონის" ცენტრალური ნახევარმცველი ბუბა დაუშვილი და ირაკლი კლიმიაშვილი ეროვნულ ნაკრებში რამდენჯერმე მიიწვიეს, ახლა კი ისევ ახალგაზრდულში დააბრუნეს. მწვრთნელებისგან გვსმენია, ეროვნულ გუნდში თამაშის შემდეგ დაბალი რანგის ნაკრებში დაბრუნებული ფეხბურთელები უხალისოდ თამაშობენო. დაუშვილსა და კლიმიაშვილთან საუბარიც სწორედ ამ თემას ეხება.



ბუბა დაუშვილი

## ბუბა დაუშვილი
## უგულოდ არსად მითამაშია

**- კალაძისა და კობიაშვილის გვერდით თამაშის შემდეგ ახალგაზრდულში გადასვლას ასეთივე სტიმული ვერ ექნება...**

- რა თქმა უნდა, ეროვნულ გუნდში სხვა მოტივაცია მაქვს, მაგრამ ზოგადად, ნაკრებში ყოველთვის უნდა მოინდომო, თორემ ახალგაზრდულშიც აღარ მიგიწვევენ. ჩემთვის ეს არის სტიმული. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რა მნიშვნელობა აქვს, საქართველოს სახელს კლუბში დაიცავ, ეროვნულ ნაკრებში თუ ახალგაზრდულში? მოედანზე ყოველთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯო. მე სულ ასე ვარ და ყველა ნაკრებში, ნებისმიერი შეხვედრის წინ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ. ლამის ყველა ასაკის ნაკრებში ვყოფილვარ და უგულოდ არსად მითამაშია. სულაც არ ვარ იმედგაცრუებული და ახალგაზრდულს მთელი სერიოზულობით ვეკიდები.

**- ესტონეთ-თურქეთთან რა შედეგის მიღწევის იმედი გაქვს?**

- საკმაოდ კარგად ვართ მომზადებულები და იმედია, საუკეთესო შედეგს მივაღწევთ. თუმცა ესტონეთი ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

**- ერთ-ერთ ყველაზე ბრძოლისუნარიან ქართველ ფეხბურთელად მიგიჩნევენ და იქნებ გვითხრა, რატომ აკლია სწორედ ეს ბრძოლისუნარიანობა საქართველოს ნაკრებებს?**

- ძნელი სათქმელია. გულახდილად ვამბობ - არც ეროვნულში და არც ახალგაზრდულში არ მეგულება ფეხბურთელი, რომელიც არ იბრძვის და ფეხებს უფრთხილდება. წარმოდგენა არ მაქვს, საერთო ჯამში, ასეთ შთაბეჭდილებას რატომ ვტოვებთ.

» მე-5 გვერდზე

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კახა კალაძესთან

# ბრძოლაც შეიძლება და სასურველი შედეგის მიღწევაც

## იტალიასთან ყოველთვის ვქმნიდით რეალურ საგოლე მომენტებს...

**იტალიასთან მატჩის წინ საქართველოს ნაკრები დღეს ბოლო ვარჯიშს გამართავს. საინტერესოა, როგორ მიდის მზადება, რა განწყობაა ჩვენს გუნდში, რას ფიქრობენ იტალიელი ფეხბურთელები, რომლებთანაც ჩვენი გუნდის კაპიტან კახა კალაძეს უშუალო შეხება აქვს...**
**მას ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ...**

**- როგორ მიდის მსოფლიო ჩემპიონებთან მატჩისთვის მზადება? რამდენად კმაყოფილია ნაკრების კაპიტანი?**

- მზადება ჩვეულებრივია. ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის. აშკარად იგრძნობა, რომ ბიჭები მოტივირებულები არიან. ჩვენ ხომ მსოფლიოს ჩემპიონების წინააღმდეგ გვიწევს თამაში და ეს უკვე თავისებური სტიმულია. შაბათის მატჩში დიდი ბრძოლა გველის და საამისოდ მზად ვართ.

**- ხანგრძლივი ტრავმით გამოწვეული იძულებითი პაუზის შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?**

- უკვე ბოლომდე გამოვჯანმრთელდი და აგვისტოდან მოყოლებული, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ოპტიმალურ ფორმაშიც ნელ-ნელა შევდივარ. ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე მაკლია, ეს არის სათამაშო პრაქტიკა. მაგრამ ასეც და ისეც, 5 სექტემბერს მაქსიმალურად დავიხარჯები. თითქმის შვიდი თვე გამიცდა. ფაქტობრივად, იტალიასთან მატჩი ჩემთვის პირველი ოფიციალური შეხვედრაა და ამ თამაშისთვის სერიოზულად ვემზადები.

**- საინტერესოა, რა განწყობა აქვთ იტალიელებს...**

- „სკუადრა აძურა" თბილისში სამ ქულას გეგმავს და ეს არც არის გასაკვირი. მაგრამ იტალიელებს ისიც კარგად ახსოვთ, რომ ჩვენი ნაკრების წინააღმდეგ იოლი მატჩი არასდროს ჰქონიათ, მით უმეტეს, თბილისში. ასე რომ, იტალიელებიც რთულ მატჩს ელიან და განსაკუთრებულადაც ემზადებიან. სხვადასხვა გამოცემა ბევრს წერს მოახლოებულ თამაშზე. იტალიელები მოგებას კი გეგმავენ, მაგრამ საქართველოს ნაკრებს ალარაფერს ეკითხებიან? ჩვენ ჩვენი მიზნები გვაქვს.

**- რა დატვირთვა აქვს თქვენთვის იტალიის ნაკრების წინააღმდეგ თამაშს?**

- რაკი იტალიაში ვთამაშობ, თამამად ვიტყოდი, რომ ეს ორმაგი დატვირთვაა, განსაკუთრებით ამ ბოლო ტრავმის გამო. ჯერ ერთი, „სკუადრა აძურაში" ჩემი ბევრი თანაკლუბელია. მეორეც - მინდა თავი შევახსენო ტიფოზებს. მაგრამ ჩემი უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ქართველებმა გაიხარონ.

**- შესარჩევი ციკლი დასასრულს უახლოვდება და საქართველოს ნაკრებს ჯერ არ მოუგია. თუმცა ბევრისთვის იტალიასთან ფრეც კი ჩვენთვის მოგების ტოლფასი იქნება...**

- მატჩამდე შედეგზე ლაპარაკი არ მჩვევია. ისე კი გეტყვით, რომ გამორიცხული არაფერია და ფრეც შესაძლებელია. თანამედროვე ფეხბურთში დაუმარცხებელი გუნდი არ არსებობს. ასე რომ, ყველა გუნდის წინააღმდეგ შეიძლება თამაში და წარმატებაზე ფიქრი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი განწყობით გავა ჩვენი გუნდი მოედანზე, რამდენად შევძლებთ მწვრთნელის დავალებების შესრულებას და რამდენად მობილიზებულები ვიქნებით. ჩვენს გუნდს მოტივაცია და საბრძოლო განწყობა არ აკლია, ახლა მთავარია კონცენტრაცია და სწორად თამაში.

**- რა თქმა უნდა, პირადი მოტივაცია აქვს ნაკრების თავკაც ექტორ კუპერსაც...**

- ბუნებრივია და ძლიერ მონდომებულიცაა ჩვენი მთავარი მწვრთნელი. თქვენ სწორად შენიშნეთ, კუპერსაც განსაკუთრებული მოტივაცია აქვს. წარმოიდგინეთ, რაოდენ პრესტიჟულია ნებისმიერი რანგის მწვრთნელისთვის იტალიის ნაკრების დამარცხება.

**- „სკუადრა აძურის" დაცვის საიმედოობით გამოირჩევა. ამ მხრივ, კუპერი სპეციალურად ხომ არ ამზადებს გუნდს?**

- იტალიის ნაკრებს ყოველთვის ძლიერი დაცვა რომ ჰყავს, ახალი ამბავი არ არის და ამას ნებისმიერი მწვრთნელი ითვალისწინებს. მაგრამ ერთიცაა - გაიხსენეთ ყველა მატჩი, რაც კი იტალიის ნაკრების წინააღმდეგ გვითამაშია და დარწმუნდებით, რომ ყოველთვის ვქმნიდით ასპროცენტიან საგოლე მომენტს. გახსოვთ ერთი წლის წინანდელი მატჩი უდინეში? 1:0-ს რომ ვაგებდით, ლევან ყენიას ჰქონდა გათანაბრების რეალური შანსი. ასე რომ, ბრძოლაც შეიძლება და სასურველი შედეგის მიღწევაც.

**- დაბოლოს, რას ეტყვის ნაკრების კაპიტანი ქომაგებს?**

- გვჯერა, რომ მიუხედავად ბოლოდროინდელი წარუმატებლობებისა, გულშემატკივარი გვერდში დაგვიდგება და მხარდაჭერას არ მოგვაკლებს. ქომაგი ჩვენთვის მე-12 მოთამაშეა და დარწმუნებული ვარ, ასე იქნება შაბათის მატჩშიც. მათი მხარდაჭერით, თუნდაც ჩვენს ნაკრებს, არაერთი თამაში მოუგია... ქომაგი ყველა გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსია. ყველანაირად ვეცდებით, გულშემატკივარი კარგი თამაშით გავახაროთ.



la Repubblica.it

რას წერენ ჩვენზე

# ფრთხილად, წინ კუპერის გუნდია!

**დღეს მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ნაკრები გვეწვევა. „სკუადრა აძურას", რომელიც აქამდე ოთხჯერ გახდა პლანეტის საუკეთესო გუნდი, მომავალ მუნდიალზე ტიტულის დაცვა მოუწევს. მაგრამ მანამდე, ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა აუცილებელი. საამისოდ, მარჩელო ლიპის აუცილებლად სჭირდება თბილისში მოგება...**
**შარშანდელი აგვისტოს ომი საქართველოში იტალიელებსაც კარგად ახსოვთ. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ თბილისური ვიზიტის წინ აპენინელებს აინტერესებთ, რა ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ერთი წლის წინ რუსული ბომბები ცვიოდა...**
**პოპულარულმა გამოცემა „ლა რეპუბლიკამ" რესპონდენტად საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე შეარჩია. თუმცა ჩვენეულ თარგმანში ყურადღება უფრო იტალიელთა ხედვაზეა გამახვილებული. აი, ეს მასალაც:**

შარშან აგვისტოში საქართველო საომარ ვითარებში აღმოჩნდა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მმართველებმა, რომელთაც რუსეთის გარდა არავინ აღიარებს, საქართველოდან გამოყოფაზე მორიგი კამპანია გააჩაღეს. ამჯერად, ეს კამპანია სისხლიანი იყო და რუსეთის ექსპრეზიდენტის, ამჯერად კი პრემიერ-მინისტრის ვლადიმირ პუტინის მხარდაჭერით წარიმართა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის რანგში ექტორ კუპერი მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ირლანდიასთან საშინაო მატჩში დებიუტს ელოდა. ეს მატჩი გასული წლის 6 სექტემბერს თბილისში უნდა გამართულიყო.

იმ მომენტისთვის საქართველოში ცეცხლი უკვე შეწყვეტილი იყო, მაგრამ ირლანდიამ ფიფას უსაფრთხოების მაქსიმალური ზომები მოსთხოვა და ამის გამო, მატჩი ნეიტრალურ ტერიტორიაზე, გერმანიის ქალაქ მაინცში ჩატარდა. ამ თამაშს მოჰყვა მატჩი უდინეში, რომელშიც იტალიამ ქართველებს უმასპინძლა და 2:0 დაამარცხა. თუმცა სტუმრებმა ბევრს დაამახსოვრეს თავი. საქართველოს ნაკრები ძნელად პროგნოზირებადი გუნდია და მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფში აუტსაიდერია, „აძურას" სიფრთხილე მართებს. სულაც არ იქნება დიდი სენსაცია, რომ ქართველებმა ფავორიტებს ქულები დააკარგვინონ. მით უმეტეს, ეს გუნდი საკუთარი ქომაგის წინაშე ბევრად უფრო მოტივირებულია, ვიდრე სტუმრად. ასე რომ, ფრთხილად - წინ კუპერის გუნდია!

საქართველოში ახლა სიმშვიდეა. თუმცა დროდადრო დესტაბილიზაციის ელემენტებიც იჩენს ხოლმე თავს. რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ერთიერთობა გაწყვეტილია, არ ხორციელდება საჰაერო მიმოსვლა. საქართველოს კურსი დასავლეთთან ინტეგრაციისკენ, ნატო-ში გაწევრებისკენაა მიმართული. ეს კი არანაირად არ შედის პუტინის ინტერესებში, რომლის მიზანია, საბჭოთა კავშირის ეს ყოფილი რესპუბლიკა ისევ რუსული ქოლგის ქვეშ დააბრუნოს. რუსეთს აღიზიანებს „ნაბუკო", რომელიც ევროპისთვის ენერგომომარაგების ალტერნატიული გზაა და საქართველო მასში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო რგოლია. ივლისში თბილისს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი, რომელმაც ღიად გამოხატა ამ ქვეყნის მხარდაჭერა პატარა კავკასიური სახელმწიფოს მიმართ. მიუხედავად ამისა, თბილისიდან 35-40 კილომეტრში კვლავ რჩება რუსული ჯარი, არც შარშან აგვისტოში ხელმოწერილი სარკოზი-მედვედევის შეთანხმებაა ბოლომდე შესრულებული...

მაგრამ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თავისტკივილი მხოლოდ რუსეთი და პუტინი როდია. გაზაფხულზე ქვეყანას ოპოზიციური ძალების საპროტესტო ტალღამ გადაუარა. მაგრამ ამ მხრივაც, დღეს თბილისში სიმშვიდეა...

„ამჟამად, თბილისსა და მთლიანად საქართველოში ნორმალური ვითარებაა. მართალია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს იურისდიქცია კვლავ არ ვრცელდება, მაგრამ ამ რეგიონებს საერთაშორისო საზოგადოება არ აღიარებს... სამწუხაროდ, გაიზარდა ლტოლვილთა რიცხვი. ახლა მთავარია მშვიდობა, რათა საქართველომ ნელ-ნელა მოიშუშოს შარშანდელი აგრესიისგან მიყენებული იარები. იტალიელებსაც და სხვებსაც შეუძლიათ, ჩამოვიდნენ საქართველოში ტურისტებად. ჩემს ქვეყანაში წელიწადის ნებისმიერ დროს ბევრი რამის ნახვაა შესაძლებელი", - აცხადებს საქართველოს ნაკრებისა და „მილანის" მცველი კახა კალაძე.

აი, ამგვარი ვითარებაა საქართველოში, რომელიც ბოლო 20 წელიწადია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ყალიბდება. ეროვნული ნაკრების არასახარბიელო შედეგების მიუხედავად, საქართველოში ფეხბურთი სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად რჩება. მარჩელო ლიპიმ საქართველოსა და ბულგარეთთან 6 ქულა დაგეგმა. „აძურას" შაბათს თბილისში მოგება კი სურს, მაგრამ კალაძე გვარწმუნებს, რომ „სკუადრას" მოგება გაუჭირდება.

„ვიცი, მსოფლიო ჩემპიონების წინააღმდეგ საქომაგოდ ეროვნულ სტადიონზე მრავალი ათასი გულშემატკივარი მოვა. დაუმატეთ ამას ისიც, რომ იტალიის ნაკრები უამრავ ქართველ გულშემატკივარში სიმპათიით სარგებლობს. ასე რომ, ვფიქრობ - შაბათს სტადიონი გაივსება. ამ ფონზე კი იტალიას თამაში ძალიან გაუჭირდება. 5 სექტემბრის მატჩს ათასობით ქართველი ქომაგი იმედით ელის. ძალიან გვინდა, ხალხი იტალიასთან ლამაზი თამაშით გავახაროთ. თუ ვერ მოვიგებთ, არც ფრე იქნება ურიგო შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ვფიქრობ, ფრისთვის ბრძოლა შესაძლებელია", - აღნიშნავს მეტოქის კაპიტანი.

კალაძე, რომელმაც მძიმე ტრავმის გამო ოპერაცია გადაიტანა, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნაკრებს უბრუნდება. როგორც კაპიტანი იგი აცხადებს, რომ უკვე სრულიად ჯანმრთელია და „მილანის" შემადგენლობაშიც მალე გამოჩნდება:

**„ექვსი თვე დიდი პაუზაა. ახლა უკვე მწყობრში ვარ და „მილანის" რიგებშიც მალე მიხილავთ. ალესანდრო ნესტასა და ტიაგო სილვასთან მომიწევს კონკურენცია. მაგრამ თუ საჭიროება იქნა, შემიძლია, დაცვის ცენტრიდან მარცხენა ფლანგზეც გადავინაცვლო".**

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

# გალიანი და ლეო: სხვა გზა არ არის, კალაძე მარცხნივ!

„მილანში" მონასტერი არეულია. გასულ შაბათს ლეონარდოს გუნდმა მტკივნეული დარტყმა იგემა - „ინტერთან" დერბიში 4:0 წააგო. ამ ტიპის მატჩებში მარცხს, მით უმეტეს ასეთს, ყოველთვის მოჰყვება გარკვეული ძვრები - მაგალითად, მწვრთნელის გაშვება, ან სერიოზული კორექტივები შემადგენლობაში და რაღაც ამდაგვარი...

მწვრთნელის გაშვება ჯერ არ იგეგმება, ყოველ შემთხვევაში, სილვიო ბერლუსკონიმ ლეონარდოს ნდობა გამოუცხადა და სრული კარტ-ბლანშიც მისცა. ლეო კი თავის მხრივ, აუცილებლად რაღაცას შეცვლის, თორემ მერე თავად შეიცვლება. ერთი იძულებითი, თუმც დროებითი კორექტივი უკვე დაანონსდა - ტრავმირებული (ამავე დროს, დისკვალიფიცირებული) ჯენარო გატუზო სექტემბრის შუა რიცხვებამდე ვერ ითამაშებს.

ცვლილება შეეხება დაცვის ხაზსაც. „მილანის" ბოსები ძლიერ უკმაყოფილონი არიან მარეკ იანკულოვსკის გარჯით, ეს კი უკვალოდ ვერ ჩაივლის. გუშინ გალიანიმ და ლეონარდომ თათბირი გამართეს. როგორც იტალიელი კოლეგები გვაუწყებენ, გადაწყდა - იანკულოვსკი დროებით სკამზე გადაინაცვლებს, ხოლო მის ადგილს დაიკავებს კახა კალაძე, რომელმაც ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და „სკუადრა აძურასთან" შაბათის მატჩისთვის ემზადება.

შეგახსენებთ, რომ კალაძის მილანური კარიერა მარცხენა მცველის პოზიციაზე დაიწყო, ბოლო ხანებში კი ძირითადად დაცვის ცენტრში უწევდა თამაში. ახლა, როცა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უკანა ხაზის ამ რგოლში ალესანდრო ნესტა დაბრუნდა, ხოლო ბრაზილიელი ახალწვეული ტიაგო სილვა, ასე თუ ისე, ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ტანდემის დაშლა ვერ იქნებოდა ჭკვიანური ნაბიჯი, სამაგიეროდ, კალაძეს დააბრუნებენ მარცხნივ. თავად საქართველოს ნაკრების კაპიტნისგან ვიცით, რომ მას დაცვის ცენტრში ურჩევნია თამაში, თუმცა კლუბის ინტერესებიდან და სათამაშო პრაქტიკის აუცილებლობიდან გამომდინარე, ძველ პოზიციაზე დაბრუნებას ნამდვილად არ იუარებს.

ასე რომ, უკვე მომდევნო ტურში (12 სექტემბერი), როცა „მილანი" „ლივორნოს" ესტუმრება, დიდია შანსი, კალაძე „როსონერის" დაცვის მარცხენა ფლანგზე ვიხილოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო-იტალია

მეტოქე

**საქართველო-იტალიის ხვალინდელ მატჩს აპენინურ სპორტულ პრესაში დიდი ყურადღება ეთმობა. ეს ბუნებრივიც არის, ეროვნული ნაკრები იტალიაში ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და ასეა ახლაც. მსოფლიოს ჩემპიონებს თბილისში რომ სამი ქულის აღება აქვთ დაგეგმილი, ეს გასაგებია, მაგრამ ტიფოზები მხოლოდ გამარჯვებას არ ითხოვენ - მათ მძლავრი "აძურას" ნახვა სურთ. დიახ, კონფედერაციათა თასის შემდეგ, იტალიის ნაკრებს ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა და მათ დასადუმებლად საქართველოსთან მხოლოდ გამარჯვება საკმარისი არ იქნება. რაც უნდა სამწუხარო იყოს, ჩვენს ეროვნულ გუნდთან სამი ქულის მოპოვებას, მარჩელო ლიპის არავინ ჩაუთვლის გმირობად და თუ მაესტროს რეაბილიტაცია სურს, თბილისში "სკუადრა აძურამ" თანამედროვე, საჩემპიონო თამაში უნდა აჩვენოს...**

სიტყვა "თანამედროვე" შემთხვევით არ გვიხსენებია, მეტწილად ექსპერტები სწორედ იმაზე ლაპარაკობენ, რომ იტალიის ნაკრები დროს ჩამორჩა და მოძველებულ ფეხბურთს თამაშობს. ვერ ვხედავთ მაღალ ტემპს, სისწრაფეებს, რომლის გარეშეც დღეს ფონს გასვლა ძალიან ძნელია. ხშირად მაგალითისთვის ესპანეთის უმთავრესი გუნდი მოჰყავთ, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორი ახალგაზრდული ენერგიის და შესაბამისად, თამაშის მაღალი ტემპის წყალობით გახდა. თითქოს სწორედ ეს ახალგაზრდული ენერგია აკლია "აძურას" და ლიპისგან ამ კუთხით ითხოვენ ვითარების გამოსწორებას. თუმცა არიან ექსპერტები, ჟურნალისტები და ტიფოზები, რომლებიც სულ სხვა რამეს ითხოვენ - მაგალითად, ეროვნულ ნაკრებში **ფრანჩესკო ტოტის, ალესანდრო დელ პიეროს** და **ანტონიო კასანოს** გამოძახებას. ბუნებრივია, როდესაც ახალგაზრდულ ენერგიაზე ვსაუბრობთ, იქ "პინტურიკიოსა" (დელ პიერო) და "პუპონეს" (ტოტი) მოხსენიება უადგილოა, მაგრამ ამ მოთხოვნის უკან სულ სხვა საფუძველი დგას: იტალიის ნაკრებს შემოქმედი ფეხბურთელების დეფიციტი აქვს და ასეთ დროს, ვირტუოზებზე უარის თქმა, ბევრს შეცდომად მიაჩნია. მოკლედ, რა გამოდის? - ჩვენს მომავალ მეტოქეს არც მაღალ სისწრაფეებზე შეუძლია თამაში და არც შემოქმედებითი ფეხბურთის ჩვენების უნარი აქვს. არადა, ჩვენ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონზე, იტალიის ეროვნულ ნაკრებზე გვაქვს ლაპარაკი.

"გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი **ფაბიო ლუკარი** "აძურას" შემადგენლობას აანალიზებს და თავის პროგნოზს გამოთქვამს, თუ ვის დააყენებს **მარჩელო ლიპი** თბილისში სასტარტო შემადგენლობაში. იტალიაში ყველაზე ავტორიტეტული სპორტული გამოცემა იშვიათად ცდება პროგნოზებში და ლუკარის ვარაუდთან გაცნობა ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. პრინციპში, შემადგენლობა პროგნოზირებადია, მაგრამ მაინც ღირს, რომ თანამიმდევრობით მივყვეთ. კარში **ჯანლუიჯი ბუფონი** ჩადგება და აქ ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილია. აქვე ვთქვათ, რომ ჯიჯი წვრთნებისას ტრადიციულად ყველაზე აქტიურია და მასმედიასთანაც ხშირი ინტენსივობით ურთიერთობს. ჯიჯიმ "გაძეტას" ვრცელი ინტერვიუც მისცა, რომელზეც ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ. დაცვის ცენტრში **ფაბიო კანავაროსა** და **ჯორჯო კიელინის** დუეტი უნდა ვიხილოთ. ალტერნატივა **ნიკოლა ლეგროტალიე** გახლავთ, კიდევ ერთი "იუვენტინო". საგულისხმოა, რომ არის შანსი, მარცხენა ფრთაზეც "ვეკია სენიორას" ფეხბურთელი ვიხილოთ. ლაპარაკი **ფაბიო გროსოზეა**, ფეხბურთელზე, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ გადაბარგდა "ლიონიდან" ტურინულ გრანდში. თუმცა, აქვე აღვნიშნოთ, რომ "გაძეტას" ჟურნალისტი სასტარტოში მოხვედრას **დომენიკო კრიშიტოს** უწინასწარმეტყველებს. "ჯენოას" უკანახაზელი საკმაოდ კარგ ფორმაშია და ლიპის ნდობას იმსახურებს. გროსო კი ბოლო პერიოდში მეტწილად სატრანსფერო საკითხების მოგვარებით გახლდათ დაკავებული და შესაძლოა ოპტიმალური კონდიციისგან შორს იყოს. ასე რომ, სავარაუდოდ თბილისურ პაექრობაში "აძურას" დაცვის მარცხენა ფრთას კრიშიტო გაამაგრებს. მარჯვნივ მაესტროს **ჯანლუკა ძამბროტას** და **დავიდე სანტონს** შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება. სანტონი ჯერჯერობით "ინტერის" სათადარიგოთა სკამზე ზის, **მაიკონის** კონკურენციას ვერ უძლებს და სავარაუდოდ, თბილისშიც რეზერვში იქნება, სასტარტო თერთმეტეულში კი მრავლისმნახველ ძამბროტას ვიხილავთ.

ნახევარდაცვის ხაზში პროგნოზის გაკეთება გაცილებით რთულია, მით უმეტეს, რომ ჯერ დანამდვილებით არც ის ვიცით, რა ტაქტიკურ მონახაზს აირჩევს ლიპი. "გაძეტას" ვარაუდით, მაესტრო 4-4-2-ზე შეაჩერებს არჩევანს, რადგან 4-3-2-1-მა კონფედერაციის თასზე არ გაუმართლა. ასე რომ, ოთხი შუახაზელი უნდა გამოვარჩიოთ. ცენტრში სავარაუდოდ **ანდრეა პირლოსა** და **დანიელე დე როსის** ტანდემი ითამაშებს. თუმცა, არის იმის შანსიც, რომ პირლოს **ანჯელო პალომბო** შეუწყვილდეს. დე როსიმ და მისმა "რომამ" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყეს და შესაძლოა, მისი სასტარტოში დაყენება ლიპიმ მიზანშეუწონლად მიიჩნიოს. თანაც, ამ ბოლო დროს, ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ დე როსი და პირლო მოედანზე ერთმანეთს ხელს უშლიან. პალომბოს კი მარჩელო ძალიან სწყალობს და მუდმივად შეჰყავს "სკუადრა აძურას" განაცხადში. მარჯვენა ფრთაზე ალბათ **მაურო კამორანეზი** გაირჯება, მარცხნივ კი **მარკო მარკიონი**. ამ უკანასკნელზე იტალიაში საკმაოდ დიდ იმედს ამყარებენ, რადგან ბოლო წლებში მარცხენა ნახევარმცველის პოზიცია "აძურაში" მუდმივად პრობლემური იყო. არ უნდა დაგვავიწყდნენ **სიმონე პეპე** და **გაეტანო დაგოსტინო**. ორივე მათგანს მარჩელო კარგი თვალით უყურებს და სისტემატურად იძახებს ეროვნულ ნაკრებში.

რაც შეეხება თავდასხმას, აქ ორ ადგილზე ხუთი პრეტენდენტია: **ჯუზეპე როსი, ვინჩენცო იაკვინტა, ალბერტო ჯილარდინო, ფაბიო კვალიარელა** და **ანტონიო დი ნატალე**. "გაძეტას დელო სპორტის" ვერსიით, ლიპი არჩევანს როსისა და იაკვინტაზე შეაჩერებს. ბოლო შეხვედრებში სწორედ ამ ფორვარდებმა გამოიჩინეს თავი პროდუქტიული თამაშით და მათი შანსებიც მეტად ფასობს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ძირითადში იგივე **ალბერტო ჯილარდინო** ვიხილოთ, ვინც "ფიორენტინაში" საკმაოდ კარგ ფეხბურთს თამაშობს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ "აძურას" ანტონიო დი ნატალე დაუბრუნდა. "უდინეზეს" ლიდერმა ტრავმის გამო კონფედერაციის თასი გამოტოვა, რაც გუნდს დაეტყო კიდეც. ტოტოს ლიპი ძალიან ენდობა, მაგრამ როსის შესანიშნავმა თამაშმა მისი სასტარტოში მოხვედრის შანსები ძალიან შეამცირა. აქვე, თავი მოვუყაროთ ჩამოთვლილ თერთმეტეულს: ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო, პირლო, დე როსი (ან პალომბო), მარკიონი, კამორანეზი, როსი, იაკვინტა.

ფაბიო ლუკარი საქართველოს ნაკრებზე არაფერს ამბობს და საერთოდაც, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს გუნდზე იტალიურ პრესაში ბევრი არაფერი იწერება. ჟურნალისტი ისევ "აძურას" გარშემო ტრიალებს და რამდენიმე აქტუალურ საკითხზე საუბრობს. მივყვეთ მის ნააზრევს:

### ახალი ტაქტიკა

ზემოთაც ვთქვით, რომ ლიპი საბაზო ტაქტიკას სავარაუდოდ შეცვლის. აქამდე, მაესტრო 4-3-2-1-ს იყენებდა, მაგრამ ამ სქემამ კონფედერაციათა თასზე "აძურას" სრული კრახი მოუტანა. ძნელია იმაზე ლაპარაკი, ტაქტიკის ბრალი იყო სამხრეთაფრიკული ფიასკო თუ რაიმე სხვისი, მაგრამ ფაქტია, რომ ლიპი 4-4-2-ისკენ შებრუნდა. ვარჯიშებზე სენიორ მარჩელო მეტწილად სწორედ ამ სქემას იყენებს და ესეც რომ არ იყოს, შვეიცარიასთან გამართულ ამხანაგურ პაექრობაში მწვრთნელმა სწორედ ეს მოდელი გამოიყენა. ლიპი სპეციალისტთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც თუნდაც ამხანაგურ შეხვედრაში ექსპერიმენტებს ნაკლებად მიმართავს. ასე რომ, სავარაუდოდ მარჩელო სამუნდიალოდ 4-4-2-ზე გააკეთებს აქცენტს.

### პირლო-დე როსი

იტალიაში ბევრს მიაჩნია, რომ ამ ორი ფეხბურთელის სასტარტო შემადგენლობაში ერთად დაყენება არ შეიძლება. მიზეზი? - ერთნაირი სათამაშო მანერა. ორივე შუახაზელი ბუნებით ლიდერია ჩამშლელი არიან და იმავდროულად, გუნდის შეტევების სულისჩამდგმელია. პირლო და დე როსი მოედანზე ერთმანეთს ხელს უშლიან - ასე მიიჩნევს ექსპერტთა და ჟურნალისტთა ნაწილი. "გაძეტას" წარმომადგენელს სხვაგვარი შეხედულება აქვს და ამბობს, რომ თუ **ჯერარდი** და **ლამპარდი** ეწყობიან ერთმანეთს, მაშინ რატომ უნდა შეექმნათ პრობლემები დე როსის და პირლოს? ლიპის თბილისური შემადგენლობა ამ მხრივაც საინტერესოა ვნახოთ, დააყენებს თუ არა იგი დანიელეს და ანდრეას ერთად სასტარტო შემადგენლობაში.

### ტოტი-დელ პიერო-კასანო

სჭირდება თუ არა ნაკრებს აღნიშნული სამეული? - როგორც ჩანს, ლიპი ჩამოყალიბებულია ამ საკითხზე და მისი პასუხია: არ სჭირდება. კასანოსთან დაკავშირებით, ასე გადაჭრით ლაპარაკი შესაძლოა მთლად სწორი არ იყოს, რადგან ის ახალგაზრდაა და თანაც, შთამბეჭდავად ასპარეზობს გენუის "სამპდორიაში". რაც შეეხება დელ პიეროს და ტოტის, აქ საქმე უფრო რთულად გახლავთ. პუპონეს ლიპიმ ფაქტობრივად ხაზი გადაუსვა, როდესაც განაცხადა, რომ ტოტის გადაწყვეტილებას ნაკრებიდან წასვლის შესახებ, იგი გაგებით მოეკიდა და მის გადახედვას აღარ აპირებს. დელ პიეროზე ასეთი ღია უარი არ უთქვამს, მაგრამ ფაქტია, რომ "აძურას" აღარ აკარებს. "გაძეტა" აქ კითხვას სვამს - შეიძლება ქვეყანას ჰყავდეს ასეთი შემსრულებლები და ეს არ გამოიყენოს? - როდესაც ქვეყანას ასეთი მწვრთნელი ჰყავს, მას უნდა დავუჯეროთ, ამბობს ლუკარი. თუმცა, ალბათ გულის სიღრმეში "აძურას" გულშემატკივრებს კვლავაც სურთ ცისფერ ფორმაში გამოწყობილი ტოტის და დელ პიეროს ხილვა.

### ამაური-მოტა-ბალოტელი

ბოლო წლებში, "სკუადრა აძურას" გარშემო მუდმივად ტრიალებენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ნაკრებებს შორის არჩევანის გაკეთება უწევთ. თავის დროზე, მაურო კამორანეზიმ არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელისგან მიწვევა ვერ მიიღო და ცისფერი მაისურა მოირგო. ანალოგიური სიტუაციაა **ამაურისთან** დაკავშირებითაც, მას ბრაზილიიდან არ ეძახიან და აქვს შანსი იტალიის უმთავრეს გუნდში იასპარეზოს. თუმცა, დღემდე კარვალიომ ვერ მოახერხა იტალიური პასპორტის აღება და შესაბამისად, მისი გამოძახების საშუალება ლიპის არ აქვს. რომც ჰქონდეს, დღეს ძნელია იმაზე ლაპარაკი იხმობს თუ არა. ლიპიმ პირდაპირ განაცხადა, რომ ინტერნაციონალური გუნდი მას არ სჭირდება, რადგან ნაკრები ნაკრებია და იქ ყველა რჯულის ხალხი არ უნდა მიიღოო. სწორედ ამის ნიადაგზე მოუჭრა მან გზა "აძურასკენ" **ტიაგო მოტას**, რომელსაც გულით უნდა იტალიის ნაკრებში ასპარეზობა. "აძურაში" თამაში სურს **მაიო ბალოტელისაც**, მაგრამ ჯერჯერობით არც მას იწვევენ. განაწყენებულმა მარიომ ამას წინათ განაცხადა, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე ყველა შემთხვევაში იასპარეზებს და თუ მას ლიპი არ მიიწვევს, განის ეროვნული გუნდის მაისურს მოირგებს. შეგახსენებთ, რომ ბალოტელი წარმოშობით განელია, მისი აფრიკული გვარი კი ბარვუა გახლავთ. იტალიაში ფიქრობდნენ, რომ რომელიმე მათგანი თბილისური მატჩის განაცხადში აუცილებლად მოხვდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მოტა ლიპის არ აინტერესებს, არც ამაურის გამო იკლავს თავს, ბალოტელიმ კი განის ნაკრებზე ჩამოაგდო სიტყვა. ასე რომ, ინტერნაციონალური იტალია ალბათ მხოლოდ საუბრებად დარჩება.

როგორც ხედავთ, საქართველოსთან მატჩი იტალიაში მრავალ ასპექტში განიხილება. თუ ლიპი თბილისში 4-4-2 ტაქტიკას აირჩევს, ეს იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ, სამუნდიალო "აძურა" ამ სქემაზე აეწყობა. ის, რომ თბილისში ტოტი და დელ პიერო არ მოდიან, ასევე ნათელი მესიჯია იტალიური საფეხბურთო სამყაროსთვის - არჩევანი გაკეთებულია და ამას ისინიც უნდა შეეგუონ, ვისაც ახალი "აძურა" არ მოსწონს. რაც დრო გავა, ლიპი ნაკლებ ექსპერიმენტს მიმართავს. წინასამუნდიალო ეტაპი იწყება, ათვლის წერტილი კი თბილისი, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონია.



# ათვლის წერტილი

## იტალია სამუნდიალო სეზონს იწყებს

**ლაშა ნიკლაური**

ინტერვიუ



გიორგი ფოფხაძე

## გიორგი ფოფხაძე —

# ოდენსე? ზამთარში...

ბოლო დროს გიორგი ფოფხაძეს ეროვნულ ნაკრებში სისტემატურად იძახებენ. დანიური „ვიბორგის" ახალგაზრდა მცველი ახლაც მოხვდა ჰექტორ რაულ კუპერის ყურადღების ცენტრში და სხვებთან ერთად, იტალიასა და ისლანდიასთან დაპირისპირებისთვის მონდომებით ემზადება. დიდი ხანია, „ლელო" ფოფხაძის შესახებ მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით შემოიფარგლება და ამიტომაც მას ეროვნული გუნდის ვარჯიშზე მოახლოებულ სანაკრებო მატჩებზეც ვთხოვეთ აზრის გამოთქმა და საკლუბო ამბებზეც დავეკითხეთ.

**- კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი ამჟამინდელი სათამაშო ფორმით?**

- დიახ, ვფიქრობ, დღეისათვის სანაკრებო დონეს ვაკმაყოფილებ. ბოლო პერიოდში საგრძნობლად მოვუმატე, ფიზიკურად მოვძლიერდი, მაქვს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა და თუ კუპერი შანსს მომცემს, მის გამოყენებას აუცილებლად შევეცდები.

**- მალტასთან განცდილი მარცხი რას უნდა მივაწეროთ?**

- რა მეთქმის, მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა, ჩვენ კი საშინლად ვითამაშეთ. ის შეხვედრა რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დავივიწყოთ, წინ უმნიშვნელოვანესი მატჩებია, სადაც ვალდებულნი ვართ, დავამტკიცოთ, რომ არცთუ ხელწამოსაკრავი ნაკრები გვყავს.

**- ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედი გაქვთ?**

- ვერაფერს გეტყვით, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. კუპერის გადაწყვეტილებას უყოყმანოდ დავემორჩილები. ისე კი, კარგი იქნება, თავის გამოჩენის შანსი იტალიასთან თუ არა, ისლანდიასთან მაინც მომეცემა. ჩემთვის ეროვნულ ნაკრებში მოწვევა უკვე დიდი პატივია, დანარჩენი კი უკვე ჩემზეა დამოკიდებული. მწვრთნელები კარგად მაკვირდებიან და თუ მოვეწონე, ნაკრებში უფრო საფუძვლიანად დავმკვიდრდები.

**- იტალიასთან როგორ თამაშს ელით?**

- ტრადიციულად, იტალიისთვის წინააღმდეგობის გაწევა გვეხერხება და იმედია, ამჯერადაც ასე იქნება. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონებს ვეთამაშებით, მაგრამ ამ გუნდს საუკეთესო დროება ნამდვილად არ უდგას, თანაც, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლია და წარმატების შანსი აუცილებლად გვექნება, მთავარია, მისი გამოყენება შევძლოთ. ერთი ზუსტად ვიცი, რომ არც მე და არც საქართველოს ნაკრების სხვა წევრებს მეტოქის მიმართ რიდი არ გვაქვს, ვინც მოედანზე გავა, იქ ბოლომდე დაიხარჯება და ქართველი გულშემატკივრის გასახარებლად თავს არ დაზოგავს.

**- რა სხვაობას ხედავთ ტოპმიოლერისა და კუპერის სტილს შორის?**

- არც ერთთან და არც მეორესთან დიდი ხანი არ მიმუშავია, მაგრამ როცა ნაკრებში მიძახებდნენ, ამ მწვრთნელებისგან ყოველთვის ბევრს ვსწავლობდი.

**- დანიის ქვედა ლიგაში თამაში დისკომფორტს არ გიქმნით?**

- მართალია, მუდმივი სათამაშო პრაქტიკა მაქვს, მაგრამ დაბალ დივიზიონში თამაში ნამდვილად არ მაკმაყოფილებს.

**- კლუბის შეცვლის შესაძლებლობა არ გქონდათ?**

- ცოტა ხნის წინ ძალიან რეალური იყო ჩემი გადასვლა დანიის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „ოდენსეში", მაგრამ კლუბები ჩემს ფასზე ვერ შეთანხმდნენ. არა უშავს, „ოდენსეში" გადასვლის პერსპექტივა ზამთარში კიდევ უფრო მეტი მექნება. იმ დროისთვის „ვიბორგთან" კონტრაქტის ამოწურვამდე ერთი წელიწადი მექნება დარჩენილი და სულ უფასოდ რომ არ დამკარგოს, „ვიბორგი" ზამთარშივე გადაწყვეტს ჩემს გაყიდვას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საკლუბო რეიტინგი

IFFHS

# დინამოსა და ოლიმპის დიდი ნახტომი

გამოქვეყნდა მსოფლიოს ახალი საკლუბო რეიტინგი, რომელსაც ყოველთვიურად მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაცია ადგენს. წინა თვის მსგავსად, მსოფლიოს საუკეთესო 350 კლუბს შორის საქართველოს ოთხი წარმომადგენელია მოხსენიებული. მათგან საუკეთესო, 174-ე პოზიცია თბილისის „დინამოს" უკავია, რომელიც წინა თვესთან შედარებით 20 საფეხურითაა დაწინაურებული. კიდევ უფრო დიდი ნახტომი გააკეთა რუსთავის „ოლიმპმა", რომელმაც 253-ედან 201-ე ადგილზე აინაცვლა. 330-ედან 279-ემდე დაწინაურდა „ზესტაფონი", „ვიტ ჯორჯია" კი 330-ედან 286-ე საფეხურზე ავიდა.

**საუკეთესო ათეული**

1. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგ)
2. ბარსელონა (ესპ)
3. ესტუდიანტესი (არგ)
4. ჩელსი (ინგ)
5. ჰამბურგი (გერ)
6. შახტიორი (უკრ)
7. არსენალი (ინგ)
8. ვერდერი (გერ)

9-10. ლივერპული (ინგ)

9-10. კრუზეირო (ბრა)

**ლევან ჯანეზაშვილი**

U 21. ესტონეთი–საქართველო

# ნაკრები, როგორც სტიმული

« მეორე გვერდიდან

შესაძლოა, მოსაგებად რაღაც გვაკლია, მაგრამ ქართველი ხალხის გასახარებლად, კლუბსა თუ ნაკრებში ბოლომდე უნდა დაიხარჯო. მჯერა, ეს დრო ნაკრებებსაც დაუდგებათ და კლუბებსაც.

**- ბოლო დროს უხეშობას მოუკელი და წითელ-ყვითელ ბარათებსაც ნაკლებად იღებ...**

- მსაჯებთან პრობლემა მაშინ მქონდა, როცა „ზესტაფონის" ძირითადში არ ვთამაშობდი. საკლუბო და სანაკრებო გამოცდილებამ ბევრი რამ მასწავლა, შეცდომებს კარგად ვხვდები და ვცდილობ, აღარ გავიმეორო. ფეხბურთელს პრაქტიკა ზრდის.

## ირაკლი კლიმიაშვილი

### სულაც არ ვარ იმედგაცრუებული

- სულაც არ ვარ იმედგაცრუებული, რადგან ახალგაზრდულში უახლოესი მეგობრები მყავს, რომელთა გვერდით თამაშიც მსიამოვნებს. ნაკრების ფორმით სადაც არ უნდა ვითამაშო, ეროვნულში თუ ახალგაზრდულში, ყოველთვის სტიმული მაქვს. კარგი თამაში ქვეყნის მთავარ გუნდში მოხვედრის გარანტიაა.

**- შენგან ყველა ელის იმ ფეხბურთს, რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩში რომ ითამაშე. თუმცა მას შემდეგ ასე ეფექტურად ბევრჯერ არ გითამაშია. საქართველოს ჩემპიონატში მოტივაცია გიქრება?**

- რუსებთან მე კი არა, ყველა ქართველს განსაკუთრებული სტიმული უჩნდება. თბილისში 2:0 ქართული სულისკვეთებით მოვიგეთ, ყველამ ძალიან ძლიერად ითამაშა... (იცინის) ასე მგონია, ჯგუფში პირველ ადგილზე მხოლოდ მაშინ გავალთ, თუ ყველა ჩვენი მეტოქე რუსეთი იქნება. თავს შევაკლავთ და არ წავაგებთ. ასეთი ემოციით საქართველოს ჩემპიონატში ვერ ვითამაშებ, ბოლოს და ბოლოს, ქართველებს ვხვდებით და არა რუსებს. თუმცა, სტიმული ყველა მატჩში მაქვს. საერთოდ, საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება არ მახასიათებს. შეიძლება, თამაში არ გამომივიდეს, მაგრამ ჟინი არასდროს მაკლია. გააჩნია, თამაში როგორ წარიმართება.

**- ალბათ, უცხოეთში გადასვლაზე ფიქრობ...**

- როგორ არ ვფიქრობ, წასვლა ნამდვილად მინდა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, ეს დრო უნდა შევარჩიო სწორად, დროც და გუნდიც. ესეც მნიშვნელოვანია - უნდა წახვიდეს იქ, სადაც უკეთ ათამაშდები. თუ ისეა საქმე, რომ მაინცდამაინც უნდა წახვიდე და არ აქვს მნიშვნელობა, სად წახვალ, ჩემი აზრით ამას ისევ საქართველოს ჩემპიონატში თამაში ჯობია.

**მერაბ მამულაშვილი**



ირაკლი კლიმიაშვილი

ინტერვიუ

## რევაზ ჯიქია —

# ორმაგი მოქალაქეობით რუსეთში გუნდს მოვძებნი

### სამტრედიაში გულშემატკივარმა მოგვიგო...

ზუგდიდის „ბაიამ" სეზონი მოულოდნელი ტრანსფერით დაიწყო: ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კლუბში რევაზ ჯიქია ჩაირიცხა - ბრიანსკის „დინამოს", ქუთაისის „ტორპედოს", რუსთავის „ოლიმპისა" და მახაჩყალის „ანჟის" ყოფილი თავდამსხმელი. გამოცდილმა ფორვარდმა რუსეთის პირველ ლიგაში გასულ წელს საკმაოდ ბევრი შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ ომარ თეთრაძემ პრემიერლიგისთვის მებრძოლი კლუბის წმენდაში ჯიქიაც მოახვედრა...

**- რევაზ, საქართველოდან „ანჟიში" მიდიან და შენ რატომ დაბრუნდი?**

- იძულებული გავხდი, ოჯახური მიზეზების გამო დავბრუნებულიყავი.

**- „ბაიასთვის" რუსეთში ნათამაშები ფეხბურთელი კარგი შენაძენია, თუმცა ფეხბურთელისთვის ეს უკან დახევას ნიშნავს. ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან - დაახლოებით ასე გამოგივიდა...**

- არაფერია, ახლა წინ სამ ნაბიჯს გადავდგამ.

**- ანუ, „ბაიასთან" ხანმოკლე კონტრაქტი გააფორმე?**

- ზამთრამდე გავაფორმე. მერე კარგად მოვიფიქრებ, რა გავაკეთო...

**- როგორც ვიცი, რუსეთის მოქალაქე ხარ...**

- ...არა მარტო რუსეთის, საქართველოს მოქალაქეც ვარ.

**- ანუ, რუსული პასპორტით კლუბს იოლად მოძებნი...**

- რა თქმა უნდა. დასამალი არ არის, რუსეთში ჩემპიონატი გაცილებით მაღალი დონისაა და პირობებიც ბევრად უკეთესია. აქ ჩამოსვლაზე არც ვფიქრობდი, ისევ რუსულ კლუბში თამაში მსურდა და რამდენიმე საინტერესო წინადადებაც მივიღე, მაგრამ... ველარ მოხერხდა...

**- რუსეთში წელიწადნახევრის წინ გადახვედი. ალბათ, ჩემპიონატში განსხვავებას შეამჩნევდი. წინსვლაა თუ რეგრესი?**

- სხვათა შორის, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ორი წლის წინანდელზე ბევრად საინტერესო, დაძაბული და უკეთესი ჩემპიონატია. კლუბები შედარებით თანაბრად არიან დაკომპლექტებულნი და უფრო მეტი სერიოზული ბრძოლა. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა და მესიამოვნა. ნელ-ნელა უკეთესობა აუცილებლად იქნება. მომეწონა აქაური გულშემატკივრობაც. ადრე მხოლოდ ქუთაისში იცოდნენ ისეთი მხარდაჭერა, როგორც ეს ზუგდიდსა და სამტრედიაში შეუძლიათ. ესეც სასიამოვნო სიურპრიზი იყო. თურმე, კიდევ არის ქალაქები, სადაც ხალხი ფეხბურთზე დადის და რაც მთავარია, თავისიანებს სერიოზულად ქომაგობენ. ასეთ ატმოსფეროში თამაში ერთი სიამოვნებაა. მაგალითად, სამტრედიაში გულშემატკივარმა მოგვიგო.

**- ზუგდიდის „ბაიაზე" როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა?**

- გამოცდილ ბიჭებს ჩემი დახასიათება არ სჭირდებათ, ონიანი და გუჩუა ძლიერი მოთამაშეები არიან. საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიული ახალგაზრდებიც არიან, რომელთაც დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. ზუგდიდი ხომ ტალანტებით სავსე ქალაქია.

**მერაბ მამულაშვილი**





რეზო ჯიქია

კიდევ ერთი ქართველი...

# რევიშვილი გარუსდა



კიდევ ერთმა ქართველმა ფეხბურთელმა მიიღო რუსეთის მოქალაქეობა - ყაზანის „რუბინის" სარეზერვო გოლკიპერმა **ნუკრი რევიშვილმა** რუსული პასპორტი აიღო. რუსული პრემიერლიგის მე-20 ტურის მატჩში მოსკოვის „სპარტაკთან" ქართველი უკვე რუსეთის მოქალაქედ იყო განაცხადში შეყვანილი. 22 წლის რევიშვილი უკვე მე-4 სეზონია „რუბინში". „სპორტ ექსპრესის" ცნობით, ის უახლოეს ხანებში თათრულ კლუბთან კიდევ ერთ ახალ კონტრაქტს გააფორმებს. თურმე რევიშვილს კარგა ხნით ადრე შეუტანია რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო-სავიზო სამსახურში შესაბამისი მოთხოვნა, რომელიც ახლაღა დაუკმაყოფილეს.

იანვარში ქართველმა ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი „რუბინთან". შეგახსენებთ, რომ ახლახან „რუბინმა" ჩემპიონთა ლიგის განაცხადში რევიშვილიც შეიყვანა 29-ე ნომრით. ნუკრის ყაზანის „რუბინის" შემადგენლობაში სამ სეზონზე მეტი ხნის განმავლობაში სულ რაღაც 6 მატჩი დაუგროვდა (ბოლო 2 სეზონია, არც ერთ მატჩში არ უთამაშია), ძირითადად ჩვენი ყოფილი თანამემამულე დუბლებში ირჯება, ან ძირითადი გუნდის სათადარიგოთა სკამზე ზის. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რევიშვილს 8 მატჩი აქვს ნათამაშები, ბოლოს მან 2008 წელს ითამაშა ეროვნულ გუნდში. ამიერიდან „რუბინის" მეკარე ველარ შეძლებს ჩვენს ეროვნულ ნაკრებში თამაშს, თუკი სპეციალურად არ დაიბრუნებს საქართველოს მოქალაქეობას.

შეგახსენებთ, რომ რუსეთში მოთამაშე ქართველთა დიდმა ნაწილმა უკვე მიიღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა. **ალექსანდრე ამისულაშვილი, ლევან გვაზავა, მიხეილ აშვეთია, გოჩა ხოჯავა, ედიკ საჯაია, ზურაბ არზიანი, გიორგი ნავალოვსკი** რუსეთის მოქალაქეები არიან. ამათგან ჯერჯერობით მხოლოდ ალექსანდრე ამისულაშვილმა დაიბრუნა საქართველოს მოქალაქეობა და მას უკვე შეუძლია საქართველოს ნაკრებში თამაშის გაგრძელება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

## პირველი ლიგა. განაცხადები

### ტორპედო 2008

| | |
|---|---|
| ომარ მიგინეიშვილი | 1984 |
| იორამ კუჭუხიძე | 1985 |
| ზვიად ჩხეტიანი | 1983 |
| შალვა ლონდაძე | 1978 |
| თეიმურაზ ფარულავა | 1983 |
| თეიმურაზ ხარებავა | 1987 |
| ირაკლი ჭანკვეტაძე | 1988 |
| ბექა ბიბილაშვილი | 1987 |
| თორნიკე დანელია | 1989 |
| ლევან კირკიტაძე | 1988 |
| ბექა ჩხეტიანი | 1989 |
| გიორგი გურული | 1988 |
| გიორგი კუხიანიძე | 1992 |
| რომეო კეჭეყმაძე | 1989 |
| ზვიად ქუთათელაძე | 1979 |
| რევაზ კვერნაძე | 1981 |
| გიორგი მემარნიშვილი | 1982 |
| შოთა ჯიქია | 1984 |
| გივი ჩხეტიანი | 1984 |
| ალექსანდრე ლალაძე | 1985 |
| ვახტანგ ვაჩიბერაძე | 1989 |
| რაულ ჩიხლაძე | 1988 |
| გიორგი თურმანიძე | 1973 |

მთავარი მწვრთნელი: გია გიგატაძე 1964; მწვრთნელები: იასონ ბზიკაძე1963, გიორგი სუხიაშვილი 1971

### კოლხეთი (ფ)

| | |
|---|---|
| გიზო შენგელია | 1983 |
| ბიძინა ჩემია | 1980 |
| გიორგი სიჭინავა | 1990 |
| ვიქტორ ლუსტა | 1989 |
| პაატა ცხვიტარია | 1989 |
| ამირან გეგელია | 1991 |
| ომარ გოგონაია | 1990 |
| ირაკლი მოისწრაფიშვილი | 1991 |
| კახა თურძია | 1985 |
| ბორის გელაჭეიშვლი | 1988 |
| ლაშა გვალია | 1991 |
| ლევან გულუა | 1991 |
| მანუჩარ წიქარიშვლი | 1985 |
| გელა ციკოლია | 1987 |
| ედუარდ ფარცვანია | 1984 |
| ჯაბა ავალიშვილი | 1979 |
| გიორგი ლემონჯავა | 1990 |
| გურამ აბურჯანია | 1989 |
| იური ღვანია | 1989 |
| გიორგი კილასონია | 1986 |
| დავით ციცხვაია | 1983 |
| ვლადიმერ ჯოჯუა | 1980 |
| ირაკლი მალიჩავა | 1984 |
| დათა სიჭინავა | 1989 |
| ოთარ სიჭინავა | 1989 |
| დავით ნარსია | 1982 |
| ლევან თედიაშვილი | 1986 |

მთავარი მწვრთნელი: ზაზა ინაშვილი 1969, მწვრთნელი: ნუგზარ თვარაძე 1960, მამუკა გვასალია 1967, დავით მახარაძე 1968

### ბათუმი

| | |
|---|---|
| თეიმურაზ კაკალაძე | 1988 |
| შოთა მამინაშვილი | 1986 |
| ლაშა რამიშვილი | 1990 |
| მირზა ფარტენაძე | 1990 |
| გიორგი გოგიტაური | 1991 |
| გელა გოგიტიძე | 1990 |
| ლაშა კალანდაძე | 1991 |
| ბესიკ დემურაძე | 1986 |
| ირაკლი ტულუში | 1985 |
| გიორგი ზოიძე | 1991 |
| ბეგლარ თედორაძე | 1983 |
| ზვიად ლობჟანიძე | 1987 |
| მიხეილ ჯორბენაძე | 1987 |
| ელგუჯა გრიგალაშვილი | 1989 |
| ნიკა ხუხია | 1988 |
| თორნიკე ბერიძე | 1990 |
| ალექსანდრე ბაციკაძე | 1990 |
| გიგა ბოხუა | 1989 |
| დემურ სამსეიშვილი | 1985 |
| დავით კეკელიძე | 1989 |
| დავით მალაზონია | 1991 |
| ლაშა მამეიშვილი | 1991 |
| ჯაბა მერაბიშვილი | 1992 |
| გენო ბეჟანიძე | 1984 |

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე 1964, მწვრთნელები: ალექსანდრე კანტიძე 1968, ივანე მახარაძე 1970, იური მამინაშვილი 1957

### მესხეთი

| | |
|---|---|
| გელა ძამუნაშვილი | 1981 |
| ზურაბ ბარძიმაძე | 1984 |
| ალექსი თელიაშვილი | 1976 |
| დიმიტრი ლეკიშვილი | 1981 |
| დავით ინასარიძე | 1976 |
| ზურაბ სუდაძე | 1982 |
| პაატა გვირჯიშვილი | 1978 |
| ირაკლი ცნობილაძე | 1984 |
| გიორგი ყულიჯანიშვილი | 1991 |
| მიხეილ მურმანიშვილი | 1989 |
| პავლე პარუნაშვილი | 1981 |
| გიორგი ძურდაძე | 1988 |
| სულხან მუმლაძე | 1989 |
| დავით მერაბიშვილი | 1988 |
| ბექა ჯაფარიძე | 1990 |
| კონსტანტინე რეხვიაშვილი | 1989 |
| თედორე გრიგალაშვილი | 1993 |

მთავარი მწვრთნელი: პაატა გოგოლაძე; მწვრთნელი: ზიგმუნდ ზილბერშტაინი

### ნორჩი დინამო

| | |
|---|---|
| გიორგი ძაძამია | 1988 |
| თამაზ ცინცაბაძე | 1993 |
| გიორგი მაისურაძე | 1991 |
| არჩილ შონია | 1992 |
| ირაკლი შენგელია | 1981 |
| გიორგი შლიმანოვი | 1991 |
| ალექსი ხვთისავრიშვილი | 1989 |
| ზვიად კვარაცხელია | 1992 |
| ირაკლი გაჩეჩილაძე | 1991 |
| ირაკლი კობახიძე | 1982 |
| მალხაზ გაბისონია | 1991 |
| გიორგი ბულოკაშვილი | 1991 |
| მანუელ მამულოვი | 1989 |
| გიორგი დაბრუნდაშვილი | 1990 |
| ლევან ელიზბარაშვილი | 1992 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | 1980 |
| მიხეილ მერეჩკო | 1981 |
| ილია ძავთარაძე | 1990 |
| ლაშა სულაძე | 1991 |
| ლევან ლაბარტყავა | 1989 |
| ლაშა ჩუხუა | 1992 |

მთავარი მწვრთნელი: ვალერი გაგუა 1980, მწვრთნელი: გიორგი ხიზანიშვილი 1980

### გურია

| | |
|---|---|
| რევაზ კუკულაძე | 1984 |
| ტარიელ კუკულაძე | 1982 |
| გოჩა წილოსანი | 1984 |
| მიხეილ გოგუაძე | 1989 |
| ვახტანგ ბრეგაძე | 1987 |
| ხვიჩა მგელაძე | 1985 |
| სოსო ურუშაძე | 1987 |
| ივანე კილაძე | 1989 |
| გიგა კვერენჩხილაძე | 1986 |
| გიორგი იმნაძე | 1987 |
| თეზიკო ძურიძე | 1986 |
| ჯემალ გოგიბერიძე | 1987 |
| ალექსანდრე იმნაიშვილი | 1986 |
| მიხეილ კოტრიკაძე | 1986 |

მწვრთნელები: რამაზ ფირცხალაიშვილი, ირაკლი ფაცურია, გიორგი ჩხაიძე

### ჭიათურა

| | |
|---|---|
| გიორგი ბადურაშვილი | 1982 |
| ალექსანდრე დარბაიძე | 1988 |
| გოჩა ბრეგვაძე | 1981 |
| დავით შეყილაძე | 1982 |
| ნიკა ტყემალაძე | 1987 |
| თემურ მიშველიძე | 1986 |
| თემირ მიშველიძე | 1986 |
| თემურ ასანიძე | 1988 |
| გიორგი ვაშაძე | 1990 |
| დავით სევასტოპულო | 1982 |
| ჯემალ ლაშხი | 1987 |
| დავით პეტრიაშვილი | 1978 |
| დავით ტაბატაძე | 1991 |
| ილია სარალიძე | 1988 |
| ბექა ჭუმბურიძე | 1992 |
| გიორგი აბესაძე | 1992 |
| დავით იობიძე | 1991 |
| თემურ შეყილაძე | 1992 |
| ლაშა ცუცქირიძე | 1989 |
| თამაზ ღვალაძე | 1991 |
| გიორგი მეცხოვრიშვილი | 1990 |
| გიორგი ნიორაძე | 1992 |
| დავით რობაქიძე | 1990 |
| ბექარ გიორგაძე | 1989 |

მთავარი მწვრთნელი: დავით იობაშვილი 1969, მწვრთნელი: ამირან გაჩეჩილაძე 1959

### ჩიხურა

| | |
|---|---|
| შალვა დოლაძე | 1980 |
| ერეკლე ზივზივაძე | 1987 |
| რატი ბარაბაძე | 1984 |
| გიორგი ბაგაშვილი | 1991 |
| გიორგი ენუქიძე | 1989 |
| დავით ენუქიძე | 1991 |
| ირაკლი ზაბახიძე | 1984 |
| ალექსანდრე ივანიშვილი | 1991 |
| მირიან მიქაძე | 1987 |
| ნუკრი მაჭარაშვილი | 1989 |
| ზურაბ მწყერაშვილი | 1986 |
| ზურაბ ნოზაძე | 1987 |
| ბესო პეტრიაშვილი | 1984 |
| ალექსანდრე როგავა | 1986 |
| იმედო ტყებუჩავა | 1986 |
| ლაშა ჩიკვაიძე | 1989 |
| გიორგი ცარციძე | 1990 |
| ლაშა კობახიძე | 1985 |
| ბესიკ დეკანოიძე | 1992 |
| ირაკლი ჭილლაძე | 1982 |
| ნოდარ მგალობლიშვილი | 1986 |
| დავით ძამუშაძე | 1989 |
| ნიკოლოზ სტეფანიშვილი | 1981 |
| გუგუა იაკობაშვილი | 1991 |
| ირაკლი გვეტაძე | 1987 |

მთავარი მწვრთნელი: სოსო ფრუიძე 1957, მწვრთნელები: ვახტანგ თურმანიძე 1973, ივანე თოდაძე 1964

### მეშახტე

| | |
|---|---|
| კახაბერ ძაგანია | 1987 |
| გიზო სიჭინავა | 1987 |
| მამუკა ჭკადუა | 1985 |
| დუშიკო მემარნიშვილი | 1984 |
| პაპუნა ძომეთიანი | 1988 |
| შალვა მუმლაძე | 1978 |
| გიორგი ტორაძე | 1987 |
| გაგა ჯიშიაშვილი | 1987 |
| მამუკა ბოჭორიშვილი | 1986 |
| რევაზ კალანდაძე | 1990 |
| ლევან რაზმაძე | 1991 |
| გიორგი მიძაბერიძე | 1988 |
| გიორგი გვენეტაძე | 1991 |
| იაკობ დეისაძე | 1987 |
| ნიკა ბაბუნიძე | 1990 |
| ლაშა კობახიძე | 1991 |
| ამირან სახელაშვილი | 1994 |
| ნიკოლოზ ხონელიძე | 1992 |
| იაგო დეისაძე | 1988 |
| არმაზ დოლონაძე | 1987 |

მთავარი მწვრთნელი: დავით გვენეტაძე, მწვრთნელები: მალხაზ ფორჩხიძე, მერაბ ბაბუხადია

### კოლხეთი (ხ)

| | |
|---|---|
| ლევან ჭურღულია | 1989 |
| ზაზა გელაშვილი | 1992 |
| გიორგი გოგენია | 1986 |
| კოტე გოგენია | 1988 |
| ვაგნერ ფირცხალავა | 1988 |
| გოგა გაგუა | 1986 |
| რობიკო ცოგეხია | 1991 |
| ლექსო ლეფსაია | 1987 |
| დავით სართანია | 1990 |
| თორნიკე ღლონტი | 1989 |
| ვლადიმერ ჯამბურია | 1980 |
| გელა ლომაია | 1986 |
| ლევან ჩაჩიბაია | 1989 |
| ოთარ ფიფია | 1985 |
| ალექსანდრე კვირკველია | 1984 |
| კოტე ალანია | 1983 |
| მამული შონია | 1987 |
| ლევან გოგენია | 1991 |
| ბაკურ ბუკია | 1991 |
| რობერტ ჩიტაია | 1988 |
| შოთა გრიგოლია | 1989 |
| ლევან თოდუა | 1987 |
| დავით ჩარგაზია | 1989 |
| ომერ ფიფია | 1988 |
| პაპუნა გაბრავა | 1990 |
| ირაკლი ჭითანავა | 1991 |
| ნიკოლოზ ბერაია | 1990 |

მთავარი მწვრთნელი: ლევან ნოდია 1974, მწვრთნელები:ალექსანდრე ხურცილავა 1968, რევაზ ქაშიბაძე, 1965, მამუკა გაბრავა 1965

### ჰერეთი

| | |
|---|---|
| ზაზა ჯალიაშვილი | 1985 |
| შოთა უშარაული | 1987 |
| ვიტალი მატვიენკო | 1991 |
| ვახტანგ თანდაშვილი | 1986 |
| კარლო წვერავა | 1986 |
| ბონდო ხარაიშვილი | 1991 |
| ვლადიმერ კურტანიძე | 1986 |
| ირაკლი ტაბატაძე | 1988 |
| გიორგი მაჭარაშვილი | 1986 |
| ლევან კობერიძე | 1989 |
| ივანე მერმანიშვილი | 1988 |
| ბესარიონ ფოფხაძე | 1984 |
| გიორგი ოძრუაშვილი | 1989 |
| ზურაბ ფოფხაძე | 1972 |
| შალვა კაპანაძე | 1991 |
| დიმიტრი კუპატაძე | 1986 |
| თეიმურაზ ყაველაშვილი | 1989 |
| არჩილ აბაშიძე | 1988 |
| გოჩა ძაჩლიშვილი | 1992 |
| შალვა მანაგაძე | 1990 |
| გიორგი აზარიაშვილი | 1986 |
| გიორგი ჩაველაშვილი | 1990 |
| მიხეილ მესხი | 1987 |
| შოთა ფარულავა | 1987 |
| ამირან ლომსაძე | 1986 |
| გია ყორღანაშვილი | 1991 |
| გიორგი პაპუაშვილი | 1986 |
| გურამ ნათენაძე | 1989 |
| ლაშა დონდოლაძე | 1985 |
| ზურაბ ბახტურიძე | 1986 |
| რომან დავითაძე | 1987 |
| უჩა ტუხაშვილი | 1987 |

მოთამაშე-მწვრთნ.: ზურაბ ფოფხაძე 1972

### მარტვილი

| | |
|---|---|
| ჯონი შეროზია | 1990 |
| დავით ჩხიკვაძე | 1986 |
| გიმზერი წოწორია | 1982 |
| კიჭი მელიავა | 1992 |
| გიორგი სილაგავა | 1988 |
| ოთარ ტორაძე | 1992 |
| ირაკლი ხვადაგიანი | 1990 |
| ცოტნე ბუკია | 1990 |
| ვალერი იობაშვილი | 1988 |
| ირაკლი დავითაშვილი | 1989 |
| ირაკლი ფაცაცია | 1988 |
| გიორგი გოგიბერიძე | 1990 |
| დავით ბერუაშვილი | 1989 |
| თორნიკე თურმანიძე | 1992 |
| გიორგი ბერიშვილი | 1990 |
| ზურაბ ენდელაძე | 1992 |
| თორნიკე ძველაია | 1991 |
| ლაშა კუჭუხიძე | 1992 |
| გოჩა ლომიძე | 1986 |
| ადონის პაპადოპულოსი | 1974 |
| ოთარ გიორგობიანი | 1991 |
| ზურაბ ვარდუაშვილი | 1990 |
| კოტე კუხიანიძე | 1992 |

მთავარი მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია 1976, მწვრთნელები: მოგელი დიხამინჯია 1964, ბაგრატ ხელაია 1986, ჯესი სურმავა 1986

### მერცხალი

| | |
|---|---|
| ლაშა ძაგანია | 1988 |
| გია გოგუა | 1970 |
| დავით სურგულაძე | 1987 |
| მიხეილ ძოგულაძე | 1974 |
| დავით სიამაშვილი | 1980 |
| სერგო გ. ჩიგოგიძე | 1989 |
| სერგო ვ. ჩიგოგიძე | 1988 |
| ვაჟა რამიშვილი | 1985 |
| გიგა გოგრონიძე | 1986 |
| ზაზა ძათამაძე | 1989 |
| ლაშა ჩხაიძე | 1986 |
| გოგიტა ხამაშურიძე | 1984 |
| კონსტანტინე ნაკაიძე | 1990 |
| ვლადიმერ ტუტოიანი | 1989 |
| რუბენ ჭეიშვილი | 1987 |
| გია მაკასარაშვილი | 1989 |
| საბა ლომჯარია | 1991 |
| თემურ ჩხატარაშვილი | 1988 |
| ირაკლი ნაჭყებია | 1986 |
| ნიკა ჭკუასელი | 1993 |
| ჯუმბერ კალანდაძე | 1969 |

მთავარი მწვრთნელი: ხარიტონ ჩხატარაშვილი, მწვრთნელები: ამირან ვანიძე, კახაბერ ტულუში, გია გოგუა

### 35-ე ს.ქ.

| | |
|---|---|
| თორნიკე ნიორაძე | 1991 |
| დათო მანია | 1989 |
| პაატა ბელთაძე | 1987 |
| ლევან ჭაფოძე | 1988 |
| გუჯა ავსაჯანიშვილი | 1990 |
| გიორგი თექთურმანიძე | 1990 |
| ილია მოდებაძე | 1987 |
| ვასილ ფურცელაძე | 1989 |
| მიხეილ ლომსაძე | 1991 |
| რევაზ ლვინიაშვილი | 1989 |
| გიორგი ეძგვერაძე | 1989 |
| ილია უგულავა | 1989 |
| ირაკლი არველაძე | 1988 |
| ლაშა მებალიშვილი | 1989 |
| ოთარ აბრამიშვილი | 1989 |
| პეტრე ბახტაძე | 1989 |
| ზურაბ თარაშვილი | 1990 |
| დათო ყაველაშვილი | 1991 |
| გიორგი გავაშელიშვილი | 1989 |
| ავთანდილ გაბაშვილი | 1989 |
| ნუკრი გოგოხია | 1988 |
| ამირან ნატროშვილი | 1990 |
| ზურაბ ახალგედაშვილი | 1989 |

მთავარი მწვრთნელი: კახა გოგიჩაიშვილი 1968, მწვრთნელები: ტარიელ კანდელაკი 1963, როლანდ გელენავა 1959

### IBSU

| | |
|---|---|
| ნუკრი ჯოლოგუა | 1987 |
| ალექსანდრე ბილიხოძე | 1988 |
| ბადრი ტეტუნაშვილი | 1990 |
| გიორგი ქუცურუა | 1986 |
| ალექსანდრე კუჭუხიძე | 1987 |
| ლევან მაჩალაძე | 1984 |
| ნოდარ გვიჩია | 1989 |
| ზურაბ ნიკორაძე | 1989 |
| ირაკლი კაკაბაძე | 1989 |
| გელა ბართია | 1984 |
| ლევან ცხოიძე | 1988 |
| ლაშა ნორაკიძე | 1985 |
| გრიგოლ ბენდიანაშვილი | 1987 |
| გიორგი ჯიშკარიანი | 1988 |
| გიორგი თავბერიძე | 1987 |
| გიორგი პირველი | 1986 |
| აკაკი ნოზაძე | 1986 |
| გურამ ოდიშარია | 1989 |
| ნუგზარ სალუქვაძე | 1990 |
| იოსებ მიქაძე | 1990 |

მთავარი მწვრთნელი: გოჩა ყორყოლიანი 1965, მწვრთნელი: იური გაბისკირია 1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ აფრიკა 2010

არგენტინა-ბრაზილიის წინ

# ბრაზილია მესის 5 გოლს არ უფრთხის

ბრაზილიის ეროვნული ნაკრები როსარიოში გვიან ღამით ჩაფრინდა, არგენტინის დროით საღამოს 11 საათზე (ჩვენი დროით, დღეს გამთენიისას). მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს აეროპორტში არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი **ფერნანდო სპანუოლო** დახვდა. აეროპორტიდანვე ბრაზილიელები სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" განათავსეს. უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულია, არგენტინა-ბრაზილიის მატჩს ხომ წინ უდიდესი აჟიოტაჟი უძღვის. სასტუმრო მთლიანად ბრაზილიის ეროვნულმა ნაკრებმა დაიქირავა სამი ოთახის გარდა, სადაც სპეციალურად შერჩეული დაცვის სამსახურის წევრები განთავსდებიან. მოკლედ, ბრაზილიელებთან სათოფე მანძილზე მიკარებას ძნელად თუ შეძლებს მოკვდავი.



"სელესაო" დღეს მოკლეხნიან ვარჯიშს გამართავს დილის საათებში, საღამოს კი გუნდი სტადიონ "გიგანტე დე აროიტოს" ბალახის საფარს მოსინჯავს. სწორედ ამ სტადიონზე გაიმართება შაბათის მატჩი **დიეგო მარადონასა** და **დუნგას** გუნდებს შორის. დუნგას და მარადონას დაპირისპირებაზე ბევრს საუბრობენ, თუმცა ბრაზილიელთა თავკაცი არ მიიჩნევს, რომ მას მარადონასთან ურთიერთობის პრობლემა აქვს. თუკი მარადონა 1986 წელს კაპიტნობდა მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრებს და მას იქ გაამარჯვებინა, დუნგამ იგივე გზა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიარა. 1990 წელს მათ შორის დაპირისპირება მოედანზე მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში შედგა. მაშინ, იტალიაში არგენტინის ნაკრებმა იმარჯვა.

დუნგა ამბობს, რომ სპეციალურად არანაირი დაცვითი სქემა არ მოუფიქრია "ბარსელონას" შემტევ **ლეო მესის** გასანეიტრალებლად: *"მეტოქის ყველა ფეხბურთელი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. შეუძლებელია მხოლოდ ერთი ფეხბურთელის "დაჭერაზე" იფიქრო, რაც უნდა მაგარი იყოს ის და 10 დანარჩენს მოქმედების თავისუფლება მისცე. რა თქმა უნდა, ნორმალურია, როცა ისეთ ფეხბურთელს ვუფრთხით, როგორიც მესია, მაგრამ გარწმუნებთ, შაბათს როსარიოში თავიდან არაფრის გამოგონებას არ დავიწყებთ, ვითამაშებთ ისევე, როგორც ყოველთვის, როგორც შეგვიძლია"*, - განაცხადა დუნგამ გამგზავრების წინ რიო დე ჟანეიროს გარეუბან გრანია კომარიში, საწვრთნელ ბაზაზე. დუნგას არ აშინებს მესის სუპერფორმა, თურმე "ბარსელონას" ვარსკვლავმა ოთხშაბათს ეროვნული ნაკრების ამხანაგურ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. მარადონამ გუნდი ადგილობრივი "ტრისტან სუარესის" წინააღმდეგ გაიყვანა. ნაკრებმა 7:0 მოიგო, მესის გარდა გოლები **კარლოს ტევესმა** და **ხესუს დატოლომ** გაიტანეს. არგენტინული პრესის აზრით, მარადონა სწორედ ასეთ სასტარტო შემადგენლობას გამოიყვანს. ასე რომ, ჩვენთვისაც საინტერესო იქნება არგენტინელთა სასტარტო შემადგენლობა "ტრისტან სუარესის" წინააღმდეგ: **ანდუხარი, ძანეტი, დომინგესი, ოტამენდი, ჰაინცე, როდრიგესი, მასკერანო, ვერონი, დატოლო, მესი** და **ტევესი**.

დუნგას იმედი აქვს, რომ არგენტინას სატურნირო მდგომარეობა არ აიძულებს აგრესიული და უხეში ფეხბურთი ითამაშოს. სამაგიეროდ, ასე ფიქრობს **რობინიო**: *"ძალიან რთული მატჩი გველის. არგენტინელები ყველაფერს გაიღებენ, რათა როსარიოში დაგვამარცხონ. ისინი თავს დადებენ მოედანზე და ბუნებრივია, არც ჩვენს ფეხებს გაუფრთხილდებიან"*.

დიდი ხანია ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში არ მოუგია არგენტინაში მასპინძელთა წინააღმდეგ. ბოლოს ეს 14 წლის წინ, 1995 წელს მოხდა. დუნგას კიდევ ერთი რეკორდის მოხსნა სურს - 1993 წელს **კარლოს ალბერტო პარეირამ** ბრაზილიის ნაკრებს ზედიზედი ოთხი შესარჩევი მატჩი მოაგებინა. შეგახსენებთ, რომ ამ შესარჩევ ჯგუფში ბრაზილიის ნაკრები 27 ქულით პირველ ადგილზეა, არგენტინის ნაკრებს 22 ქულა აქვს და მარადონას გუნდი ოდენ მეოთხეა. შაბათს ამ დიდი დაპირისპირების გარდა ითამაშებენ: პერუ-ურუგვაი, კოლუმბია-ეკვადორი, პარაგვაი-ბოლივია და ჩილე-ვენესუელა. დუნგამ როსარიოში ეს შემადგენლობა წაიყვანა:

მეკარეები - **ჟულიო სეზარი** (ინტერი), **ვიტორი** (გრემიო);

მცველები - **მაიკონი** (ინტერი), **დანიელ ალვეში** (ბარსელონა), **ანდრე სანტოსი** (ფენერბაჰჩე), **ფილიპე** (დეპორტივო), **ლუსიო** (ინტერი), **მირანდა** (სან პაულო), **ჟუანი** (რომა), **ლუიზაო** (ბენფიკა);

ნახევარმცველები - **ელანო** (მანჩესტერ სიტი), **ჟულიო ბაპტიშტა** (რომა), **კაკა** (რეალი), **ჟილბერტო სილვა** (პანათინაიკოსი), **ფელიპე მელო** (იუვენტუსი), **ლუკასი** (ლივერპული), **რამირესი** (კრუზეირო);

თავდამსხმელები - **ლუიშ ფაბიანო** (სევილია), **ადრიანო** (ფლამენგო), **რობინიო** (მანჩესტერ სიტი), **ნილმარი** (ვილიარეალი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სასჯელი

# ჩელსი მკაცრად დასაჯეს

## არისტოკრატები წელიწადნახევარი ახალ ფეხბურთელს ვერ დაიმატებენ

ფიფას პალატამ "ლანსის" ყოფილი ფეხბურთელის, ამჟამად კი "ჩელსის" ფორვარდის **გაელ კაკუტას** საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა. შეგახსენებთ, რომ ფრანგული კლუბის ხელმძღვანელობა "არისტოკრატებს" იმაში ადანაშაულებდა, რომ ინგლისური მხარე ფეხბურთელზე ზეწოლას ახდენდა და "ლანსთან" კონტრაქტის განყვეტისკენ მოუწოდებდა. საბოლოოდ ასეც მოხდა. სხვათა შორის, იმ მომენტში კაკუტა 15 წლის იყო.

ფიფას ცნობით, "ჩელსიმ" საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი წესი დაარღვია, რომელიც ნებისმიერ გუნდს უკრძალავს კონტრაქტის გაფორმებას მოთამაშესთან, თუ ამ უკანასკნელმა წინა კლუბი არადამაჯერებელი მიზეზის გარეშე დატოვა.

"ჩელსი" მკაცრად დაისაჯა. ლონდონურ კლუბს 2010 წლის განმავლობაში, ანუ ზამთრისა და ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრების დროს ახალი ფეხბურთელების გაფორმება აეკრძალა. გარდა ამისა, ფეხბურთელსაც და კლუბსაც ფულადი ჯარიმა დააკისრეს. კერძოდ, კაკუტა "ლანსს" მორალური კომპენსაციისთვის 780 ათას ევროს გადაუხდის, გარდა ამისა, "ჩელსი" ლანსს" დამატებით კიდევ 130 ათას ევროს გადაურიცხავს ფეხბურთელის წვრთნისთვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად. და კიდევ, 18 წლის კაკუტა ოთხი თვის განმავლობაში ვერ მიიღებს მონაწილეობას ნებისმიერი რანგის საფეხბურთო მატჩებში.



გაელ კაკუტა (წინა პლანზე)

გაელი 2007 წელს გადავიდა "ჩელსიში" და ინგლისური კლუბის ახალგაზრდულ შემადგენლობაში თამაშობდა. გარდა ამისა, კაკუტა საფრანგეთის იუნიორთა ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

"ლანსის" პრეზიდენტმა **ჟერვე მარტელმა** კმაყოფილება გამოთქვა ფიფას გადაწყვეტილების გამო. *"ასეთ გადაწყვეტილებას ველოდი*, - მოჰყავს Sky Sports-ს მარტელის სიტყვები, - *მოთამაშე ჩვენთან კონტრაქტით იყო დაკავშირებული, "ჩელსი" კი მოვიდა და ფორვარდი მოგვპარა. ლონდონელებმა წესები დაარღვიეს. მათ კონტაქტი ჰქონდათ ფეხბურთელთან, რომელიც ჯერ არ იყო 16 წლის. ჩვენ გაელი რვა წლის ასაკში გავიფორმეთ. ფიფას პალატამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა, რადგან ახალგაზრდა ფეხბურთელების დაცვა სერიოზული პრობლემაა"*.

"ჩელსიმ" ფიფას გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალური განცხადება გაავრცელა და უახლოეს დღეებში მის გასაჩივრებას აპირებს.

*"უპრეცენდენტო შემთხვევაა. სხვა კომენტარის მიცემა არ შეგვიძლია იქამდე, სანამ სრულ წერილობით გამარტებას არ მივიღებთ არბიტრაჟის ამ უნიკალური გადაწყვეტილების შესახებ, რომლის გასაჩივრებასაც აუცილებლად ვაპირებთ"*, - წერია ლონდონელთა განცხადებაში.

ზენიტი



# 4 მილიონი სპალეტისთვის

იტალიური პრესის ინფორმაციით, "რომას" ყოფილმა დამრიგებელმა **ლუჩანო სპალეტიმ** წინასწარ შეთანხმებას მიაღწია სანკტ-პეტერბურგის "ზენიტთან". იმ შემთხვევაში, თუ იტალიელი სპეციალისტი რუსულ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს, ხელფასის სახით წელიწადში 4 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.

ჯერჯერობით ეს ცნობა მხოლოდ იტალიურ პრესაში გავრცელდა. "ზენიტის" პრესსამსახურმა თავი შეიკავა ყოველგვარი კომენტარისგან. თუმცა კლუბთან დაახლოებული სანდო წყარო ადასტურებს, რომ გარიგება უახლოესი ერთი-ორი კვირის განმავლობაში შედგება.

თავად სპალეტიმ ერთ-ერთ თავის ბოლო ინტერვიუში გამოაცხადა, რომ "რომადან" თავისი ინიციატივით წავიდა, თუმცა მომავალი კარიერის შესახებ რაიმეს დაზუსტება არ ისურვა.

შეგახსენებთ, რომ სპალეტიმ სერია A-ს ბოლო ტურის შემდეგ დატოვა "რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტი, "ზენიტმა" კი ასევე მიმდინარე სეზონის მსვლელობისას გაათავისუფლა ჰოლანდიელი **დიკ ადვოკაატი**.

ტრავმა

## მარსელი კონეს გარეშე დარჩა

"მარსელის" ფორვარდი **ბაკარი კონე** სავარაუდოდ ორ თვეს გამოტოვებს მუხლის ტრავმის გამო, რომელიც "ბორდოსთან" ბოლო ტურის მატჩის მე-13 წუთზე მიიღო.

ექიმებს ჯერ საბოლოო დასკვნა არ გაუკეთებიათ, მაგრამ თუ მათი ვარაუდი გამართლდება, 27 წლის კოტდივუარელ თავდამსხმელს თითქმის მთლიანად მოუწევს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის გამოტოვება.

"მარსელის" ძირითად შემადგენლობაში კონეს ადგილს **მატიო ვალბუენა** დაიკავებს.

**გია თვალაბეიშვილი**

კონფლიქტი



რაიან ბაბელი

## რა ფასი აქვს რაფას სიტყვას?

**რაიან ბაბელმა** რაფა ბენიტესს პირობის დარღვევაში დასდო ბრალი. "ლივერპულის" ფეხბურთელი ამბობს, რომ ესპანელმა მწვრთნელმა შესაძლოა მას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის ოცნება მოუსპოს. ერთი სიტყვით, ჰოლანდიელი გარემარბი "აიაქსში" დაბრუნებას ლამობს. უნდა, რომ მერსისაიდელებმა ამსტერდამის კლუბს მიაქირაონ. კიდევ, ბაბელი გაბრაზებულია, რომ იგი "ტოტენჰემ ჰოთსპურთან" აგვისტოს მარცხში (2:1) დაადანაშაულეს, თავს განტევების ვაცად გრძნობს.

22 წლის ბაბელი ასე ამბობს: *"კლუბი უამრავ რამეს დამპირდა, მაგრამ ერთი დანაპირებიც არ აუსრულებია. მაგალითად, ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად უნდა მეთამაშა, მაგრამ პირველსავე შეხვედრაში დამარცხების შემდეგ, სხვათაგან გამომარჩიეს და სათადარიგოთა სკამზე დამსვეს".*

"სფურზთან" დამარცხების შემდეგ ბაბელმა, რომელიც ბენიტესმა ორი წლის წინ "აიაქსისგან" 11,5 მილიონ ფუნტად იყიდა, მოედანზე მართლაც მხოლოდ 14 წუთი გაატარა, რის გამოც ჰოლანდიის ნაკრებშიც აღარ გამოიძახეს - ნარინჯისფერებს შაბათს იაპონიასთან ამხანაგური, ხოლო იქითა ოთხშაბათს შოტლანდიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები ელით. თუმცა, შემდეგ **იბრაჰიმ აფელაი** დაშავდა და ჰოლანდიელთა ეროვნული გუნდის ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ, შეკრებაზე ისევ ბაბელისთვის ეხმოთ. ლივერპულელი დასძენს:

*"როდესაც გავიგე, რომ ნაკრებში არ მიძახებდნენ, თავზარი დამეცა. ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი. თვითმფრინავის ბილეთი წინასწარ მქონდა შეკვეთილი. ერთი სიტყვით, იანვრიდან სიტუაციას თავიდან უნდა გადავხედო. ვფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, სეზონის მეორე ნახევარს "აიაქსში" თუ გავატარებ, ყველაფერი დალაგდება. ეს "ლივერპულისთვისაც" გამოსავალი იქნება. დღეს ამ გუნდში ისეთი სიტუაციაა, რომ ვატყობ, მე სულ ნაკლებად და ნაკლებად მათამაშებენ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

პრობლემა

# ვნახოთ ვიდეო და დავიცვათ ედუარდო!

"ტოტენჰემის" მწვრთნელი **ჰარი რედნაპი**, მოგეხსენებათ, გაზეთ "სან-ში" მესვეტედ მუშაობს და პერიოდულად ფეხბურთის საჭირბოროტო საკითხებზე თავის მოსაზრებებს გვთავაზობს. ამჯერად რედნაპი ინგლისურ ფეხბურთში ბოლო დღეებში წამოწეულ სიმულაციის თემას ეხმაურება.

"სფურზის" თავკაცი გვარწმუნებს, რომ მართალია, ის მწვრთნელია და ხშირად უწევს გუნდის ისეთ შეხვედრებში გაყვანა, რომელთა მოგებას არც მეტი, არც ნაკლები, "სამკვდრო-სასიცოცხლო" მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისთვის სიმულაცია ანუ, საფეხბურთო ჟარგონზე რომ ვთქვათ, "ყვინთვა", მიზნის მიღწევის საშუალება არასდროს ყოფილა. მაშინაც კი, როდესაც ერთ მოგებაზე უამრავი რამ არის დამოკიდებული, რედნაპი ფეხბურთელებს თაღლითურად წაქცევასა და მსაჯისთვის პენალტის ან ჯარიმის გამოტყუებას არ სთხოვს.



მაიკლ ქერიკი ტოტენჰემის მეკარეს არ წაუქცევია, თუმცა არბიტრმა პენალტი დანიშნა

*"საერთოდაც, მჯერა, რომ "ყვინთვა" იშვიათობაა. კიდევ მჯერა, რომ არ არსებობს პრემიერლიგაში მწვრთნელი, რომელიც ფეხბურთელებს მოედანზე გასვლის წინ თაღლითობას ავალებს. რა გააკეთა ედუარდომ გასულ კვირაში "სელტიკთან" შეხვედრის დროს? ეს მხოლოდ მან იცის. დღეს "არსენალი" ჩემპიონთა ლიგაშია, "სელტიკი" კი შეჯიბრების მიღმა დარჩა, მაგრამ ენა არ მომიბრუნდება, იმ მატჩის რომელიმე მონაწილეზე ვთქვა, რომ ის სიმულაციის მომხრეა. ვერ წარმომიდგენია არსენ ვენგერი, ან გნებავთ "მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ფეხბურთელს აფერისტობას ავალებდეს. მართლაც საშინელებაა, როდესაც თაღლითობას გაბრალებენ. ამას რომ ჩემს მოთამაშეზე ამბობდნენ, ძალიან შეურაცხყოფილი ვიქნებოდი. ორი აზრი არ არსებობს, თუ თაღლითობის გზას შევუდგებით, ფეხბურთს დავკარგავთ, მაგრამ პრობლემა მაინც არსებობს და მას მოვლა სჭირდება. რა უნდა ვქნათ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?*

*ვფიქრობ, დასმულ კითხვაზე პასუხი დიდი ხანია არსებობს. გასულ სეზონში ჩემი "სფურზი" "მანჩესტერ იუნაიტედს" 2:0-ს უგებდა, როდესაც მეკარე მაიკლ ქერიკისთვის ხელის შესაშლელად გამოვარდა და მეტოქეს ფეხებში ჩაუწვა. გოლკიპერი ქერიკს არ შეხებია, მაგრამ მსაჯმა პენალტი დანიშნა. ასე გაიტანა "მანჩესტერმა" პირველი გოლი და ამის გამო მერე მოვლენები ისე განვითარდა, რომ ჩვენ 5:2 წავაგეთ. სხვათა შორის, პენალტი რომ დაინიშნა, "ოლდ ტრეფორდზე" იქვე, სადაც ვიჯექი, ჩანაწერის ნახვის საშუალება მომეცა და ეპიზოდიდან 10 წამის მერე უკვე ვიცოდი, რომ ჩვენს კარში ტყუილი პენალტი დანიშნეს. იმავე მონიტორზე, იმავე ჩანაწერის ნახვა მეოთხე მსაჯსაც შეეძლო, მაგრამ არ უნახავს, რადგან აქეთ-იქით დარბოდა და ყველას გვეუბნებოდა, ტექნიკურ ზონას ერთი ნაბიჯით გაცილებული ხართ და უკან შებრუნდითო. აი, ამით იყო დაკავებული. მიმიხვდით, ალბათ, ტექნოლოგიების გამოყენება ძველისძველი არგუმენტია, მაგრამ ყველაზე სერიოზულად ის ჟღერს. ვიდეოტექნიკა რომ გამოგვეყენებინა, ედუარდოს შემთხვევაშიც ყველაფერი მარტივად გადაწყდებოდა, პენალტი არ დაინიშნებოდა და თამაში ჩვეულებრივ გაგრძელდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და შედეგად დღეს საშინელი აურზაური და მტყუან-მართლის გარჩევა გვაქვს. მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლუბი უეფას უჩივის და თავის სიმართლეს უმტკიცებს. ვის შეუძლია დაბეჯითებით თქვას, ითაღლითა ედუარდომ თუ არა?*

*როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ამის თქმა დედამიწაზე ერთადერთ ადამიანს, თავად ედუარდოს შეუძლია. მსაჯი ადამიანის განზრახვას, მითუფრო თვალის წამიერი შევლებით, ვერაფრით ამოიცნობს. ფეხბურთელი ვიყავი, მწვრთნელი ვარ და კარგად ვიცი, რომ ხშირად ხდება ასეთი რამ: თავდამსხმელი ჩქარა მირბის, ამ დროს ხედავს, რომ მისკენ მეკარე მოემართება და სწრაფ სირბილში მიმართულების შეცვლას ცდილობს. ასეთ დროს დიდი შანსია, ადამიანმა წონასწორობა დაკარგოს და წაიქცეს. და რას აკეთებს ასეთ ეპიზოდში მსაჯი? ალბათ, თავდამსხმელს "ყვინთვას" აბრალებს და ყვითელი ბარათით სჯის. საქმე ის არის, რომ მსაჯები თავად არ ყოფილან თავდამსხმელები და სიტუაცია, რომელიც ზემოთ აღვწერე, ვერც კი წარმოუდგენიათ.*

*საერთოდ, "ყვინთვას" დიდი ხნის ისტორია აქვს. 1970-იან წლებში "მანჩესტერ სიტი" დიდებული გუნდი იყო, ხოლო ფრენსის ლი საუცხოო ფეხბურთელი, მაგრამ მას თაღლითის სახელი ჰქონდა, თუმც, ამაში არასდროს არავის უმხელია. ანდა, თუ გნებავთ, პაოლო დი კანიოს ამბავი გავიხსენოთ. "ვესტ ჰემში" თამაშის დროს მისი წაქცევისთვის სამჯერ აშკარა პენალტი იმიტომ არ დანიშნეს, რომ სახელი ჰქონდა გატეხილი. და აი, ახლაც, როგორც უნდა დასრულდეს ედუარდოს საქმე და "არსენალის" საჩივრის ამბავი, ფეხბურთელს სახელი უკვე გაუტყდა და ამას ველარავინ უშველის. ამიერიდან მას მცველებიც თამამად ეუხეშებიან, რადგან იფიქრებენ, რომ მსაჯებს ედუარდოს ყოველი წაქცევა თაღლითობა ეგონებათ და წესის დარღვევა შერჩებათ".*

მოსაზრება

# როდისაა თაღლითობა კარგი...



კრეიგ გორდონი

პრემიერლიგის ვარსკვლავები თაღლითობასა და "ყვინთვას" თავს არ დაანებებენ. მიზეზი: გამარჯვებაში მათ ძალიან ბევრს უხდიან - ეს მოსაზრება "სანდერლენდის" მეკარეს **კრეიგ გორდონს** ეკუთვნის. ასეა, გორდონი თავად ფეხბურთელია და მოვლენებს "კულისებიდან" ხედავს. თან, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ გორდონის ეროვნებას. ის შოტლანდიელია ანუ ბრიტანელი, ამას კი ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ ამ შემთხვევაში თეორია, თითქოს პრემიერლიგაში თაღლითობას მხოლოდ ლათინური ქვეყნების წარმომადგენლები ამართლებენ, ბათილდება. მეტიც, გორდონი არსენალელი **ედუარდოს** ამბავს უბრუნდება და ამბობს, რომ ხორვატიის ნაკრების წევრი ბრაზილიელის ერთი "ჩაყვინთვა" ნამდვილად ღირდა იმ ორთამაშიან დისკვალიფიკაციად, რომელიც მას უეფამ მიუსაჯა - "არსენალმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრით 16 მილიონი ფუნტი მიიღო. შეგახსენებთ, რომ შეჯიბრების საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო შეხვედრაში გლაზგოს "სელტიკის" წინააღმდეგ, ედუარდომ მეტოქის საჯარიმოში ყალბი წაქცევით მსაჯს პენალტი გამოსტყუა. ეს ამბავი ტელეკამერებმა დააფიქსირეს.

26 წლის მეკარე განმარტავს: *"დააკვირდით, რა მოაქვს თითოეულ გამარჯვებას და მიხვდებით, რატომ არ მოეშვება ბევრი ფეხბურთელი საამისოდ ყველა ხერხის გამოყენებას. ედუარდოს ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლამ კლუბს 16 მილიონი ფუნტი მოუტანა, თავად მოთამაშემ კი, შესაძლოა, 100-ათასიანი პრემიაც კი მიიღო. მე მეკარე ვარ და კარგად ვიცი, რა მწარეა, როდესაც მეტოქეს არ შეხებიხარ, მსაჯი კი პენალტს ნიშნავს, მაგრამ ეს ხშირად ხდება და ამას ვერსად გავექცევით. იმის თქმა კი არ მინდა, რომ "ყვინთვა" კარგია, უბრალოდ, ვერ ვხედავ, ასეთი თაღლითობა რამ უნდა შეაჩეროს. იმ დღეს, ედუარდომ თავისი "ჩაყვინთვით" შოტლანდიური გუნდი გააგდო და სქოთთა მხრიდანაც იმიტომ მოჰყვა ამ ამბავს ამხელა რეაქცია. მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ, რომ ედუარდოსნაირად რომელიმე ჩვენი ფეხბურთელი მოქცეულიყო და მოგონილი პენალტის წყალობით შოტლანდიის ნაკრები, ვთქვათ, მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფში გაეყვანა. ვითომ, გლაზგოდან "ყვინთვის" წინააღმდეგ ისევე გაილაშქრებდნენ? რაღაც ძალიან მეეჭვება".*

შეგახსენებთ, რომ, მეორე მხრივ, უეფას ვერდიქტმა ძალიან ალაშფოთა "არსენალის" მწვრთნელი **არსენ ვენგერი**. ის თანახმაა, რომ ჩანაწერის მიხედვით შეიძლება იკამათო იყო თუ არა პენალტი, მაგრამ ამტკიცო, რომ თავდამსხმელმა განზრახ ითაღლითა, ყოვლად შეუძლებელია. ვენგერი მიიჩნევს, რომ უეფამ თავისი გადაწყვეტილებით ჩირქი მოსცხო ადამიანს და ის მთელი მსოფლიოს წინაშე თაღლითად გამოაცხადა.

"არსენალის" თავმჯდომარემ, **პიტერ ჰილ-ვუდმა** ამასთან დაკავშირებით განაცხადა: *"რასაკვირველია, არსენის პოზიცია აბსოლუტურად მართალია და ჩვენი კლუბის დირექტორატი მას თავისი სიმართლის დამტკიცებისას მხარში დაუდგება".*

გერმანიის ნაკრები

# ბალაკი: შეიძლება, წავიდე!

## ბუნდესკაპიტანი მუნდიალის შემდეგ სანაკრებო კარიერის დამთავრებაზე დაფიქრდება

დიდი შანსია, რომ გერმანიის ნაკრების კაპიტანმა **მიხაელ ბალაკმა** მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო კარიერა დაასრულოს. "ჩელსის" ნახევარმცველს ბუნდესგუნდიდან წასვლა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ აქვს, მაგრამ ნაკრებიდან წასვლაზე სერიოზულად ფიქრობს და განაცხადა, მუნდიალის შემდეგ გადავწყვეტ, წავალ თუ დავრჩებიო.

"მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ზუსტად ისეთი სიტუაცია შეიქმნება, როცა შემიძლია, ამ საკითხზე სერიოზულად დავფიქრდე. სანამ მონდომებული და მოტივირებული ვარ, ნაკრებიდან არაფრის დიდებით არ წავალ," - განუცხადა 32 წლის ბალაკმა "კიოლნერ ექსპრესს".

დღესდღეობით, მიხაელი მხოლოდ გერმანიის ნაკრების უახლოეს მატჩებზეა კონცენტრირებული და მისი უმთავრესი მიზანი ის არის, რომ ბუნდესგუნდმა მუნდიალის საგზური გაინაღდოს. მუნდიალის შემდეგ კი გაირკვევა, მიიღებს თუ არა ბალაკი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილეობას და ითამაშებს თუ არა ევრო 2012-ზე.


გერმანიის ნაკრების კაპიტანი მიხაელ ბალაკი

ბალაკმა ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში ისიც თქვა, რომ **ლუკას პოდოლსკისთან** კინკლაობა წარსულს ჩაჰბარდა და რომ "კიოლნის" ფორვარდთან შერიგებულია. როგორც იცით, 1-ელ აპრილს პოდოლსკიმ უელსთან მატჩის დროს (2:0 გერმანიის სასარგებლოდ) ბალაკს სილა გააწნა, რასაც გერმანიაში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა. საფეხბურთო გერმანია ყველაზე მეტად იმ ფაქტმა ალაშფოთა, რომ პოდოლსკი ამ საქციელის გამო დაუსჯელი დარჩა – გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** ლუკასს მატჩის დროს კაპიტნისთვის სილის გარტყმა აპატია.

"პრობლემა ამოწურულია და ჩემთვის ეს ფაქტი უკვე წარსულს ჩაჰბარდა. ნაკრების თავკაცს ყველაფერზე თავისი წარმოდგენა აქვს და მას ვერავინ შეეწინააღმდეგება. რაც მოხდა, ეს უდისციპლინობა იყო. პოდოლსკის იმ მომენტში ჩემი რეპუტაციის შელახვა და ჩემი შეურაცხყოფა ნამდვილად არ უნდოდა. ზუსტად ვიცი, რომ ეს ასეა. უბრალოდ, ლუკასი ახალგაზრდაა და ნერვები ვერ მოთოკა. გამოცდილი ფეხბურთელი ასე არ მოიქცეოდა," - აცხადებს ბალაკი.

ბუნდესკაპიტანს გერმანიის ნაკრებში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად "ვერდერის" ნახევარმცველი **მესუთ იოზილი** ესახება. "ამ ბიჭში უდიდეს პოტენციალს ვხედავ. იმედი მაქვს, რომ პროგრესს არ შეწყვეტს. ასეთ შემთხვევაში, სულ მალე გერმანიას ახალი ტიპური ათიანი ეყოლება. ზოგადად, ვფიქრობ, რომ გერმანიაში ძალიან კარგი თაობა მოდის. ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონი შემთხვევით არ გამხდარა," - ამბობს ბალაკი.

**გოტფრიდ ლენცი**

ბაიერნი

# დაძაბულობის დასასრული?

## რუმენიგე: რობენი მხოლოდ დასაწყისია

**ფრანკ რიბერიმ** ლუის ვან გაალი გააკრიტიკა და თქვა, რომ მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობა აქვს. მიუხედავად ამისა, "ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** არ ფიქრობს, რომ ამის გამო რეკორდმაისტერში პრობლემა შეიქმნება და მდგომარეობა დაიძაბება.

"ფეხბურთელმაც და მწვრთნელმაც მითხრეს, რომ მათ შორის პრობლემა არ არის. "ბაიერნში" ფრანკიც ძალიან კარგად გრძნობს თავს და ლუისიც, ისინი ერთმანეთს უგებენ," - განუცხადა რუმენიგემ "კიკერს". არადა, რიბერიმ ფრანგული "ეკიპისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მწვრთნელთან საკმაოდ "დაძაბული ურთიერთობა აქვს" და ჰოლანდიელი მწვრთნელი "ზედმეტი სიმკაცრის" გამო გააკრიტიკა. რუმენიგე მიიჩნევს, რომ ახლა გუნდში სიტუაციის დაძაბვის დრო არ არის, მით უმეტეს იმიტომ, რომ "ვოლფსბურგის" 3:0-ზე განადგურების შემდეგ, მიუნხენურ გრანდში შესანიშნავი და ძალიან ოპტიმისტური ატმოსფეროა.

ნაცვლად იმისა, რომ კალეს კრიტიკულად განწყობილი რიბერისთვის თავისი ადგილი მიეჩინა, მან ახალი ფრონტი გახსნა "ბაიერნის" ყოფილი კაპიტნებისა და ამჟამად სატელევიზიო ექსპერტების, **ოლივერ კანის**, **ლოთარ მათეუსისა** და **შტეფან ეფენბერგის** წინააღმდეგ. ეს სამეული "ბაიერნის" პოლიტიკას ბოლო დროს ძალიან ხშირად აკრიტიკებს. "მათ უნდა გაითავისონ ის, რომ ტელევიზიები ფულს იმაში კი არ უხდიან, რომ "ბაიერნი" აკრიტიკონ, არამედ იმაში, რომ აზრიანად ილაპარაკონ, - იკბინება რუმენიგე, - მე ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ "ბაიერნს" საუკეთესო, იდეალური მწვრთნელი დავუნიშნეთ და მჯერა, რომ ვან გაალი მიუნხენში დიდ წარმატებებს მიაღწევს. იმედი მაქვს, რომ ჰოლანდიელი მიუნხენში ძალიან დიდხანს იმუშავებს."

როგორც იცით, კანმა, ეფენბერგმა და მათეუსმა რუმენიგესა და "ბაიერნის" მენეჯერ ული ჰიონესს ბოლოდროინდელი პოლიტიკა დაუწუნეს. კანმა თქვა, "ბაიერნს" ველარ ვცნობო...

რუმენიგემ ისიც თქვა, რომ კლინსმანის ეპოქისგან განსხვავებით, "ბაიერნის" შეფები ვან გაალის საქმიანობაში არ ჩაერევიან და დარწმუნებულია, რომ ვან გაალი თავის საქმეს თვითონვე შესანიშნავად მიხედავს. რუმენიგე: "ლუისი ისეთი მწვრთნელია, რომელსაც დახმარება არაფერში სჭირდება. ის თავის საქმეს თავს ჩინებულად გაართმევს."

ვიცე-პრეზიდენტი იმასაც ამბობს, რომ ახლო მომავალში "ბაიერნი" კიდევ განახორციელებს გრანდიოზულ ტრანსფერებს და მიუნხენში **არიენ რობენისა** და **ფრანკ რიბერის** დარ არაერთ ფეხბურთელს ვიხილავთ. "ჩვენ უნდა ავაშენოთ ისეთი გუნდი, რომელიც ევროპაშიც უძლიერესი იქნება," - აცხადებს კალე. ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ რობენის ტრანსფერი მხოლოდ დასაწყისია...

**გოტფრიდ ლენცი**



ლუის ვან გაალს ფრანკ რიბერის გამო სტრესი აქვს

ფეხბურთელის მონათხრობი



# ჯერმეინის უმძიმესი დღე

ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავმა, **ჯერმეინ დეფომ** დუმილი დაარღვია და საჯაროდ გაიხსენა თავისი ცხოვრების უმძიმესი წუთები - როგორ ემსხვერპლა მისი ძმა, უფრო სწორად კი ნახევარძმა, **ჯეიდ დეფო** ქუჩურ ისტორიას.

იმ საშინელ დღეს ჯერმეინი "სფურზის" ვარჯიშზე იყო, როდესაც საწვრთნელ ცენტრში დედამ მიაკითხა და უთხრა, რომ 26 წლის ჯეიდი რეანიმაციაში წაიყვანეს. თან, ეს ამბავი დიდი ხნის არ გეგონოთ, სულ რაღაც ხუთი თვის წინ, აპრილში მოხდა.

"შუა ვარჯიშში ვიყავით, როდესაც მწვრთნელმა მითხრა, რომ მანქანების სადგომთან დედა მელოდებოდა, -იგონებს ფორვარდი, - გავედი, სახეზე შევხედე და იმწუთას მივხვდი, რომ რაღაც საშინელება მოხდა. დედამ მითხრა: ჯერმეინ, მას დაახლოებით ორი საათი დარჩა. საავადმყოფოსკენ გავვარდი, ჯეიდს რამენაირად უნდა ამოვდგომოდი მხარში, აუცილებლად იქ უნდა ვყოფილიყავი".

და ჯერმეინმა ჯეიდს ცოცხალს მოუსწრო. როდესაც თავში დაუნდობელი ცემით დასახიჩრებული მუსიკოსი და "დი ჯეი" ფსევდონიმით **ესკო ბარსი** გარდაიცვალა, ძმა სარეცელთან ჰყავდა. საბრალო ჯეიდ დეფოს აღმოსავლეთ ლონდონში, ლეიტონსტოუნში გაუსწორდნენ. ეჭვმიტანილი დაპატიმრებულია.

"ეს ნამდვილი საგიჟეთი იყო. ჯეიდის ოჯახი და სამეგობრო სრული შემადგენლობით რეანიმაციაში ვიდექით. ვფიქრობ რყევამ, რაც იმ დღეს განვიცადე პიროვნულადაც კი შემცვალა. მე და ჯეიდი ერთმანეთთან ძალიან ახლოს ვიყავით და მისი გარდაცვალება ჩემთვის თავზარი იყო".

ჯერმეინი და ჯეიდი მამით იყვნენ ერთნი. ჯერმეინი ჰყვება, რომ ბავშვობაში ისინი ერთად დასდევდნენ ბურთს.

"სამწუხაროდ, ბოლო დროს ერთმანეთს ხშირად ველარ ვხვდებოდით. მე, ჩემი ფეხბურთის გადამკიდე, სულ სადღაც ვმოგზაურობ და ოჯახის წევრებსაც ნაკლებად ვხვდები, მაგრამ მეორე მხრივ, განსაკუთრებული ძმობა გვქონდა. ვერ შევეგუებივარ აზრს, რომ ის ასე ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. როდესაც ადამიანი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ კვდება, უფრო იოლი გადასატანია, რადგან მის გარდაცვალებას თანდათან ეგუები, მაგრამ როდესაც მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდება, გირეკავენ და გეუბნებიან, რომ შენი ახლობელი აღარ არის, გონს მოგება გიჭირს, მთელი ცხოვრება თავზე გემხობა".

და ჯერმეინი, რომელსაც ხვალ, ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში სლოვენების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაში ვიხილავთ, ამბობს, რომ მას ისევ თავისი ფეხბურთი შველის.

"ფეხბურთი... აი, სად ვმშვიდდები. მოედანი ერთადერთი ადგილია, სადაც მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რაც მეხერხება და კარგად გამომდის".

გასული გაზაფხული კი "ტოტენჰემის" ფეხბურთელებისთვის მართლაც უბედურების გამოდგა. ჯერმეინ დეფოს ძმის გარდაცვალებიდან ერთ თვეში მის თანაგუნდელს, **უილსონ პალასიოსს** ჰონდურასიდან დაურეკეს და შეატყობინეს, რომ მისი 16 წლის ძმა გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით მოიტაცეს და მოკლეს.

დეფო: "ვიცი, მისთვის ეს საშინელი დარტყმა იყო. ყველაზე კარგად, ალბათ, მე გავუგე, რადგან თავად ახალი გადატანილი მქონდა ტრაგედია".

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — არიენ რობენი

# ჰოლანდიელი მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ ჰოლანდიაში დავიბადე

## რობენის მიუნხენური მიზნები: რაც შეიძლება ბევრი ტიტულის მოგება

მივიდა, ნახა, გაიმარჯვა! და უფრო მეტიც, სადებიუტო შეხვედრაში ორი გოლიც გაიტანა. აგერ უკვე ერთი კვირაა, რაც საფეხბურთო გერმანიაში მთავარი სასაუბრო თემა "ბაიერნის" ჰოლანდიელი ახალწვეული არიენ რობენია, რომელშიც მიუნხენელებმა 24 მილიონი ევრო გადაიხადეს. რომელ გამოცემას უნდა გაეკეთებინა რობენთან პირველი ექსკლუზიური ინტერვიუ, თუ არა "ბილდს"? მოკლედ, ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და ჩვენც ამ ინტერვიუს გთავაზობთ.

**- ჰერ რობენ, სადებიუტო მატჩის შემდეგ მაშინვე ჰოლანდიაში გაემგზავრეთ და ნაკრებს შეუერთდით. როდის დაბრუნდებით მიუნხენში?**

- ჰო, მიუნხენში მხოლოდ ორი დღე გავატარე. შესაძლოა, უკეთესი ყოფილიყო ის, რომ ახალ გარემოსთან შესაგუებლად მეტი დრო მქონოდა, მაგრამ არა უშავს. ნაკრები ჩემთვის ყველაზე მაღლა დგას და ესეც რომ არ იყოს, მიუნხენში მალევე დავბრუნდები და ყველაფერს მოვასწრებ.

**- თქვენს ყოფილ კლუბ "რეალს" დღესდღეობით საუკეთესო გუნდი ჰყავს. მადრიდელებმა კაკა და კრისტიანო რონალდო გადაიბირეს და ყველა თანხმდება იმაზე, რომ შემადგენლობის მხრივ პირველები არიან. თქვენ კი ასეთი გუნდი დატოვეთ და "ბაიერნში" გადმოხვედით. რატომ?**

- "ბაიერნის" ხელმძღვანელებმა პირველივე შეხვედრის დროს მაგრძნობინეს, რომ ჩემი შეძენა ძალიან უნდოდათ და რომ რეკორდმაისტერს ძალიან ვჭირდებოდი. ეს ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია. სწორედ ამიტომ დიდხანს არც მიფიქრია და "ბაიერნში" გადასვლაზე თანხმობა განვაცხადე. აქ თავი ძალიან კარგად ვიგრძენი და მიმაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ნდობის ფაქტორია, რასაც მიუნხენში ვგრძნობ, "რეალში" კი ეს გრძნობა დაკარგული იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, "ბაიერნი" ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია.

**- რა როლი აქვს თქვენთვის თანამემამულე მარკ ვან ბომელს, რომელიც "ბაიერნის" კაპიტანია?**



არიენ რობენი მიუნხენში უპირველესი სალაპარაკო თემაა

**- არის თუ არა თქვენთვის დიდი პლუსი ის, რომ "ბაიერნს" ჰოლანდიელი მწვრთნელი ჰყავს და ხომ არ ფიქრობთ, რომ ლუის ვან გაალი მიუნხენშიც იმავეს აპირებს, რაც თავის დროზე "ბარსელონაში" გააკეთა – გუნდის გაჰოლანდიურებას ვგულისხმობ.**

- პლუსი ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, რომ უკვე 10 წელია, რაც ვან გაალს ვიცნობ. ლუისი შესანიშნავი მწვრთნელია, რომელიც ყველა გუნდში და ყველა ფეხბურთელში თავის კვალს ტოვებს. არ მესმის, რატომ აკრიტიკებდნენ თავის დროზე იმისათვის, რომ "ბარსელონაში" ბევრი ჰოლანდიელი ჩაიყვანა. თუ კლუბის შეფებს ეს არ სურდათ, შეეძლოთ ეთქვათ და ლუისი ასე არ მოიქცეოდა.

**- რა მიზნები გაქვთ პირადად თქვენ მიუნხენურ კლუბში?**

- ცხადია, მიზანი მხოლოდ ერთია: რაც შეიძლება მეტი ტიტულის მოგება. პირველ რიგში ის მინდა, რომ "ბაიერნთან" ერთად გერმანიის ჩემპიონი გავხდე. ამასთან ერთად, აუცილებელია ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება შორს გავიდეთ.

**- და როდის მოიგებთ ჩემპიონთა ლიგას?**

- ჩემპიონთა ლიგა ისეთი ტურნირია, რომელზეც ვერასდროს იტყვი, რომ აუცილებლად მოიგებ. გამორიცხული არც ისაა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგება წელსვე შევძლოთ, მაგრამ ეს ძალიან ძნელი იქნება. ვფიქრობ, უახლოეს 2-3 წელიწადში "ბაიერნი" კიდევ არაერთ სერიოზულ ტრანსფერს განახორციელებს და მერე უკვე ნამდვილად გვექნება იმის შანსი, რომ ევროპა დავიპყროთ.

- ცხადია, ვან ბომელის ფაქტორმაც ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მარკი და მე ერთმანეთს უკვე ძალიან დიდი ხანია ვიცნობთ – "ეინდჰოვენიდან" და ჰოლანდიის ნაკრებიდან. სანამ მიუნხენში კონტრაქტს ხელს მოვაწერდი, ვან ბომელმა აქაურობის შესახებ ბევრი მიამბო.

**- და რაც შეეხება ფრანკ რიბერის?**

- კონტრაქტის გაფორმებამდე, "ბაიერნის" ხელმძღვანელები შემპირდნენ, რომ რიბერი აქ დარჩებოდა. ეს ინფორმაცია ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რადგან რიბერი "ბაიერნისთვის" ფასდაუდებელია, ჩვენ ის ძალიან გვჭირდება.

**- "ბაიერნში" თქვენ მარჯვენა გარემარბი უნდა იყოთ. სწორედ ამ პოზიციაზე თამაშობდა თავის დროზე ული ჰიონესიც...**

- პირველ ვახშამზე ულისთან ამაზეც ვისაუბრე. ჩემპიონთა ლიგა, ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიოს ჩემპიონატი – "ბაიერნის" მენეჯერმა ყველაფერი მოიგო. მისი მიღწევების გამეორება ჩემთვის ძალიან ძნელი იქნება.

**- როგორ უყურებთ გერმანელებისა და ჰოლანდიელების საფეხბურთო მტრობას?**

- ჩემთვის ასეთი მტრობა არ არსებობს. მე მხოლოდ იმიტომ ვარ ჰოლანდიელი, რომ ჰოლანდიაში დავიბადე. ახლა კი უაღრესად ბედნიერი ვარ იმით, რომ ფეხბურთს გერმანიაში ვთამაშობ. ისე კი, ცხადია, გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების მატჩები ყოველთვის დაძაბული და საინტერესოა.

**გოტფრიდ ლენცი**

რეალური ამბები



# პერესი რობერტო კარლოსს აბრუნებს

**ფლორენტინო პერესის** ფანტაზიებს დასასრული არ ჰქონია, სატრანსფერო სეზონი კი დასრულდა, მაგრამ "რეალის" ახალი ძველი პრეზიდენტი უკვე ზამთრის ტრანსფერებზე ფიქრობს, იანვარში პერესი "სამეფო გუნდში" **რობერტო კარლოსს** დააბრუნებს! გამოცდილ ბრაზილიელ მარცხენა მცველს "ფენერბაჰჩესთან" კონტრაქტი იანვარში უსრულდება, ვეტერანმა უკვე გამოთქვა სურვილი კარიერა მშობლიურ "სანტოსში" გააგრძელოს, მაგრამ "დიარიო ას-ის" აზრით, პერესმა შეიძლება მას გადაწყვეტილება შეაცვლევინოს.

36 წლის კლუბი თავიდან მოთამაშე-მწვრთნელი იქნება, ხოლო კარიერის დასრულების შემდეგ მას "რეალში" სამწვრთნელო შტაბში გააგრძელებინებენ მუშაობას. შეგახსენებთ, რომ რობერტო კარლოსს "რეალში" 11 სეზონი აქვს გატარებული. მიუხედავად მისი სათამაშო პოზიციისა, რობერტო კარლოსს "რეალის" მაისურით 47 გოლი აქვს გატანილი. ბრაზილიის ნაკრებში მან 125 მატჩში 11 გოლი გაიტანა. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ის ეროვნულ ნაკრებს საბოლოოდ გამოეთხოვა.

### რუდიც გამოცოცხლდა

სანაკრებო პაუზით ისარგებლა "რეალმა" და უახლოესი რეზერვი საკონტროლო მატჩში გამოცადა. **მანუელ პელეგრინის** გუნდი მისსავე ახალგაზრდულ გუნდს, "კასტილიას" შეხვდა და 6:2 მოუგო. შეხვედრა საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა, პელეგრინის ერთბაშად 11 ვარსკვლავი აკლდა, რომლებიც სხვადასხვა ნაკრებში არიან გამოძახებულნი. მიუხედავად ამისა, "რეალის" შემადგენლობას მაინც ძლიერი ეთქმოდა. კარში **დუდეკი** ჩადგა, დაცვის ხაზი **მარსელომ, გარაიმ, მეტცელდერმა** და **დრენტემ** შეადგინეს, ნახევარდაცვაში მოქმედებდნენ **იგუაინი, მამადუ დიარა, გრანერო** და **ვასკესი,** შეტევაში **რაულმა** და ტრავმამოშუშებულმა **რუდ ვან ნისტერლოიმ** ითამაშეს. ძალიან კარგად ითამაშა მარცხენა ნახევარმცველად გამწესებულმა გონსალო იგუაინმა, რომლის ანგარიშზე ჰეთთრიკი და საგოლე პასია. სხვათა შორის, ერთი ტაიმი "კასტილია" თანაბრად ეთამაშა "რეალს", ტაიმი 2:2 მორჩა. მეორე ტაიმში თითო გოლი იგუაინმა, რაულმა და ვან ნისტელროიმ გაიტანეს, ერთი გოლი კი ახალგაზრდებმა საკუთარ კარში ჩაჭრეს. "რეალს" **გუტი** და **სერხიო რამოსი** აკლდნენ, რომლებიც ინდივიდუალურად ემზადებიან.

### რამონ კალდერონი: რონალდო მე ჩამოვიყვანე

მადრიდის "რეალის" ყოფილი პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** ირწმუნება, რომ პორტუგალიელი სუპერვარსკვლავი მან შეიძინა და არა **ფლორენტინო პერესმა** "რეალისთვის". *"ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს ჩემი ინიციატივა იყო. გარდა ამისა ფულიც ჩემია - მე გავილე კლუბისთვის 115 მილიონი ევრო, რამაც რეალს მისცა საშუალება კრიშტიანოს სანაცვლოდ 94 მილიონი გადაეხადა"*, - განაცხადა კალდერონმა, რომელიც "სამეფო კლუბის" პრეზიდენტობიდან იანვარში გადადგა.

ზაფხულის შეჯამება

# დიეგო საუკეთესო შენაძენია

პოპულარულმა საფეხბურთო ვებგვერდმა "გოლმა" საიტის სტუმართა შორის გამოკითხვა მოაწყო, რომლის მიზანიც სატრანსფერო სეზონის საუკეთესო ტრანსფერის გამოვლენა იყო. მართალია, **კრიშტიანო რონალდო** ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა, მართალია, "მანჩესტერ სიტიმ" უამრავი თანხა დახარჯა ვარსკვლავების გადასაბირებლად, "ბარსელონამ" ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა **ზლატან იბრაჰიმოჩის** გადაბირებით, მაგრამ გულშემატკივართა უმეტესობამ მაინც "იუვენტუსის" მიერ ბრაზილიელი **დიეგოს** გადაბირება ჩათვალა საუკეთესო ტრანსფერად.

26 მაისს ტურინულმა კლუბმა "ვერდერიდან" 24 წლის ბრაზილიელი გამთამაშებელი დიეგო რიბას და კუნია 24,5 მილიონ ევროდ გადაიბირა. ბრაზილიელმა "ბებერ ქალბატონთან" 5-წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. დიეგო მართლაც კარგად შეეწყო ახალ გუნდს, სერია ა-ს ორ ტურში მის ანგარიშზე ორი გოლი და ამდენივე საგოლე პასია. დიეგოს ტრანსფერი საუკეთესოდ გამოკითხულთა 38,8%-მა შერაცხა. მოულოდნელად მეორე ადგილზე **მაიკლ ოუენის** ტრანსფერია "მანჩესტერ იუნაიტედში" - 13,6%. მესამე ადგილზეა **კაკას** ტრანსფერი "მილანიდან" მადრიდის "რეალში". შემდეგ მოდიან: ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ბარსელონა) - 7,6%, კრიშტიანო რონალდო (რეალი) - 4,2%, **სამუელ ეტოო** (ინტერი) - 4,0%, **არიენ რობენი** (ბაიერნი) - 3,8%, **ვესლი სნეიდერი** (ინტერი) - 3,5%, **გლენ ჯონსონი** (ლივერპული) - 3,3%.

ერთი მეტია დანარჩენზე

# მდიდრები და ღარიბები იტალიურად

"გაძეტა დელო სპორტი" ამტკიცებს, რომ პირველად კალჩოს ისტორიაში სეზონში ყველაზე მეტ ხელფასს ფეხბურთელი კი არა მწვრთნელი იღებს. **ჟოზე მოურინიო** იტალიური ფეხბურთის უპირველესი ვარსკვლავია. მოურინიოს ხელფასი 11 მილიონი ევროა. რადგან "ნერაძური" ჯერაც უხდის ხელფასს ყოფილ მწვრთნელ **რობერტო მანჩინის**, სამწვრთნელო ხელფფასი "ინტერში" ჯამში 17,5 მილიონი ევრო გამოდის. ეს მეტია, ვიდრე სერია A-ს დანარჩენი 19 გუნდის მწვრთნელთა ერთად აღებული ხელფასი, რომელიც სულ 15,7 მილიონ ევროს შეადგენს. ჯამში სერია A-ს 20 კლუბი ხელფასის სახით (ფეხბურთელები და მწვრთნელები) 840 მილიონ ევროს გასცემს. ყველაზე მეტი ხელფასი ფეხბურთელებს შორის "ინტერის" ახალწვეულ **სამუელ ეტოოს** აქვს - 10,5 მილიონი ევრო. აფრიკელის შემდეგ ბრაზილიელი **რონალდინიო** (მილანი) მოდის - 7,5 მილიონი ევრო. ერთნაირი ხელფასი აქვთ **ჯანლუიჯი ბუფონსა** (იუვენტუსი) და **პატრიკ ვიეირას** (ინტერი) -5,5-5,5 მლნ. ევრო. ასე გამოიყურება სერია ა-ს მდიდართა სასტარტო შემადგენლობა: ბუფონი (5,5), **მაიკონი** (4,5), **ლუსიო** (4,5), **ნესტა** (4), კივუ (3,5), ვიეირა (5,5), **პირლო** (5), **სნეიდერი** (4), რონალდინიო (7,5), ეტოო (10,5) და **ტოტი** (5,4). 6 მათგანი ინტერელია, 3 - მილანელი, თითო რომაელი და იუვენტუსელი. თუკი "ინტერი" სეზონში 150 მილიონ ევროს ხარჯავს მხოლოდ ხელფასის სახით, "ატალანტა" და "კიევო" მხოლოდ - 13-13 მილიონს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მშვილდოსნობა

# ჩვენი ქალები მარაქაში

მსოფლიოს ჩემპიონატი




კორეულ ულსანში მიმდინარე მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატში გუშინ ჩვენი ქალთა ნაკრებიც ჩაება და საკმაო წარმატებითაც. პირად პირველობაში **ქრისტინე ესებუამ** 1331 ქულა დააგროვა და შესარჩევი ეტაპი მეთორმეტე ადგილზე დაამთავრა, **ხათუნა ნარიმანიძის** ანგარიშზე 1329 ქულა და მეთოთხმეტე ადგილია, **ასმათ დიასამიძე** კი 1279 ქულით 56-ზე გავიდა.

ქალთა ტურნირში 97 მანდილოსანი გამოდის და დაგვეთანხმებით, მეთორმეტე და მეთოთხმეტე ადგილები კარგი შედეგებია. თუმცა რაოდენობასაც თავი დავანებოთ და, მსოფლიოს ჩემპიონატზე თუნდაც საკვალიფიკაციო ეტაპის ასე მოწინავეთა შორის დამთავრებაც დიდი საქმეა. სხვა თუ არაფერი, ეს იმის გარანტიაა, რომ პლეი ოფში შედარებით სუსტი მეტოქე შეგვხვდება, მაგრამ ამ შემთხვევაში საყურადღებო და გასახარი ჩვენი ლიდერების პირადი მაჩვენებლებია - ორივემ გვარიანად გადააბიჯა 1300-იან მიჯნას. ამით ისევ დაუბრუნდნენ ძველ შედეგებს, რაც ორმაგად სასიხარულოა. ცოტა უცნაური ისაა, რომ ამჯერად ნარიმანიძე ესებუას ჩამორჩა - ბოლო წლებში უმეტესად პირიქით ხდებოდა, თუმცა შიდა ტურნირებზე ესებუას შესარჩევიც ხშირად მოუგია, მაგრამ პლეი ოფში ნარიმანიძეს უჯობნია. საერთოდ, ნარიმანიძე უფრო მტკიცე ნერვებით გამოირჩევა, ესებუას ახლანდელი წარმატება კი სასიამოვნო მოულოდნელობა იმიტომაც აღმოჩნდა, რომ მას ძალიან ბევრი გაუცდა და ვარჯიში მხოლოდ ამ პირველობისთვის განაახლა. ზამთარში ის უკრაინაში დაბრუნდა სავარჯიშოდ, მაგრამ დედის ავადმყოფობის გამო სპორტს იძულებით ჩამოშორდა...



ქრისტინე ესებუა

პირადში მიღწეული წარმატება პირდაპირ აისახება გუნდურ შედეგზე, რაკილა ის ინდივიდუალური ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამივე მონაწილის შედეგების შეკრებით ხდება და არა ცალკე ტურნირში. ამჯერადაც ასე აისახა და ულსანში ჩვენს სამეულს მეხუთე შედეგი აღმოაჩნდა - 3939 ქულა. გუნდურ პირველობაში პლეი ოფები 7 სექტემბერს გაიმართება, ჩვენები კი პირველ წრეში 3887-ქულიან კანადელებს შეხვდებიან. ამ გუნდებს შორის ქულათა სხვაობა იქნებ არც ისე დიდია, მაგრამ ინდივიდუალურად ჩვენი ნაკრები უფრო ძლიერია და ამ ეტაპის გავლა არათუ შეუძლიათ, მართებთ კიდეც. კანადელი მსროლელები საერთაშორისო არენაზე ჩვენებურთა დარი მაჩვენებლებითაც ვერ დაიკვეხნიან და ახლაც მათგან 1300-იან მიჯნას მხოლოდ **მარი-პიერ ბოდეტმა** გადააბიჯა.

ამ წყვილს შორის მოგებულს მეორე წრეში ბელარუსი-უკრაინის დუელში გამარჯვებული ელოდება. სავარაუდოდ, ეს უკრაინა იქნება, რომელიც მეტოქეზე ბევრად ძლიერია. მართალია, მათ კორეაში გადახალისებული ნაკრები ჩაიყვანეს, მაგრამ შესარჩევი მეოთხეზე მაინც დაასრულეს. მათგან საუკეთესოებმა - **ვიქტორია კოვალმა** და ჩვენმა თანამემამულე **იულია ლობჟანიძემ** ერთნაირი შედეგი, 1339 ქულა გააკეთეს, დებიუტანტმა **ოლენა კუშნირიუკმა** კი 1271 დააგროვა. ბადის ამავე ნახევარშია მსოფლიოში უძლიერესი სამხრეთ კორეის ნაკრები, აგრეთვე - ბრიტანეთი და პოლონეთი.

პირად პირველობაში პლეი ოფები 6 სექტემბერს გაიმართება და ასპარეზობები 1/64-ფინალიდან დაიწყება. ვინაიდან ტურნირში მხოლოდ 97 მონაწილეა (ვფიქრობთ, აჯობებდა, პლეი ოფში ადრინდელივით 64 სპორტსმენი დაეშვათ და 1/32-ფინალიდან დაეწყოთ), რამდენიმე მსროლელი პირველ წრეში თავისუფალია. ჩვენი ლიდერები - ესებუა და ნარიმანიძე მათ შორის მოხვდნენ, დიასამიძე კი პირველ წრეში ესპანელ **ბეატრის კაბრეროს** შეხვდება, რომელმაც შესარჩევი 73-ე ადგილზე დაამთავრა. მათ შორის მოგებულს მეორე წრეში ლობჟანიძე ელოდება, რომელიც თავიდან ისვენებს. ესებუას მეტოქე ფრანგი **სირილე დელამარესა** და სამხრეთაფრიკელი **კარენ ჰულტზერის** შეხვედრაში გაირკვევა. სავარაუდოდ, ფრანგმა უნდა მოიგოს, რადგან მეტოქეზე ძლიერია, მაგრამ ესებუას მასთან არ უნდა გაუჭირდეს. დელამარე შესარჩევში 1286 ქულით 53-ზე გავიდა. სატურნირო ბადეს თუ გავყვებით, აქედან გაღწეულს მესამე წრეში სოლიდური მეტოქე შეხვდება - ტაივანელი **იუან შუ-ჩი**. მან საკვალიფიკაციო 21-ზე კი დაამთავრა და გუნდშიც ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს, მაგრამ იქაური სკოლა, როგორც ჩინურის ნაწილი, საკმაოდ ძლიერია და ურიგო არც მისი პირადი შედეგია - 1317 ქულა. არაა გამორიცხული, შუ-ჩი მესამე წრეში ვერც გავიდეს, მაგრამ ეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია - პირველ წრეში თავისუფალია, მეორეში კი ბუტანელსა და კოლუმბიელს შორის მოგებულს შეხვდება. აქ ისიც ვთქვათ, რომ ტაივანის ნაკრები გუნდურში მესამეა.

პირველი წრიდან თავისუფალი ნარიმანიძის მეტოქე რუსი **ტატიანა სეგინასა** და თურქი **ნესლიან ჩაკიროღლუს** შერკინებაში გაირკვევა. რუსი დებიუტანტია (რუსებსაც საგრძნობლად გადაუხალისებიათ გუნდი), თურქი - ბევრად გამოცდილი, მაგრამ ამჯერად ორივემ ძალიან ცუდად იასპარეზა (სეგინა 51-ეა, ჩაკიროღლუ - სულაც 78-ე) და ჩვენებურის შესაფერისი არც ერთი არ გვგონია, აი, მესამე წრეში კი მათი ერთ-ერთი სავარაუდო მეტოქე ეროვნებით მოლდოველი, იტალიის მოქალაქე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევაა**. ახლა ვერც მან გაიბრწყინა - 1319 ქულა და მოკრძალებული მე-19 ადგილი, მაგრამ მსოფლიოს პირველობებზე აზიელების, კონკრეტულად კი ჩინელების და კორეელების ერთადერთი ძილის გამტეხი და ნერვების ამშლელი ევროპელი ისაა. თანაც, ნამდვილი ბრძოლა ხომ პლეი ოფებიდან იწყება და ვალეევას გამოფხიზლება სულაც არაა გამორიცხული.

ირაკლი თავაძე

კრივი

# ჟვანიამ ნოკაუტით იმარჯვა

საქართველოს ნაკრების ლიდერმა, 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **კახაბერ ჟვანიამ** მსოფლიოს ჩემპიონატი წარმატებით დაიწყო. პირველ ბრძოლაში მან იაპონელი **იოშიუკი ჰირანო** მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა. იმ დროისთვის ანგარიში 9:2 იყო ქართველის სასარგებლოდ. შემდეგ წრეში კახას მეტოქე ბელარუსი **მაჰამედ ნურუზინაუ** იქნება.

ბრძოლას გამოეთიშა **ერანოზ ჩეჩელიანი** (48 კგ), რომელიც თურქ **ფერჰათ ფეჰლივანთან** 2:11 დამარცხდა.

დღეს ბრძოლაში კიდევ ერთი ქართველი, **მერაბ თურქაძე** (51 კგ) ჩაებმება, რომლის მეტოქეც უნგრელი **ნორბერტ კალუჟა** იქნება. დღესვე ჩაატარებენ მეორე ეტაპის შეხვედრებს **ლევან ღვამიჩავა** (64 კგ), რომელიც ამერიკელ **ფრენკი გომესს** შეებრძოლება, და **კობა ფხაკაძე** (60 კგ), რომელიც რუმინელი **გაბრიელ პოდასკას** წინააღმდეგ დადგება.

ლევან ჯანეზაშვილი

ჩოგბურთი

# ერიჰაა, შაფათავა ურეიტინგოსთან დამარცხდა

საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა, 20 წლის **სოფიო შაფათავამ** 10-ათასიანი ტურნირის მერვედფინალში „მოახერხა" წაგება. შაფათავა მსოფლიოს 357-ე ჩოგანია და იტალიურ ბასანო დელ გრაპოში პირველ ნომრად იყო განთესილი. ჩოგბურთელთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ ტურნირზე რეიტინგის ხუთასეულის მიღმაა. თუმცა სოფიომ მეორე წრეში ურეიტინგო რუსთან, **ანასტასია მუხამეტოვასთან** წააგო - 3:6, 2:6. გავარდა **მანანა შაფაქიძეც** (577), რომლის მეტოქეც მე-4 ნომრად განთესილი იტალიელი **ალის მორონი** (447) იყო - 4:6, 0:6. ძალიან ცუდია, როცა საქართველოს ნაკრების ჩოგბურთელები ასეთ მცირე საერთაშორისო ტურნირში ადრეულ ეტაპზევე აგებენ.

სოფიო ტურნირზე კვლავ რჩება, ის წყვილთა ბადეშიც პირველ ნომრად არის განთესილი რუს **მარინა შამაიკოსთან** (538) ერთად. მეოთხედფინალში სოფიო და მარინა უზბეკ **ალინა ბარონოვას** (987) და ჰოლანდიელ **კიკა ჰოგენდორნს** შეხვდნენ და 6:4, 6:3 მოუგეს. ნახევარფინალში მათი მეტოქეები იტალიელები (**სილვია ალბანო, სარა ეკელი**) იქნებიან. შაფაქიძის და მუხამეტოვას დუეტმა მე-2 ნომრად განთესილი იტალიური წყვილი, **სტეფანია ჩიეპა** (475) და **ვალენტინა სულპიციო** (478), დაამარცხა - 6:1, 6:4. ნახევარფინალში მათ კვლავ მასპინძლებთან მოუწევთ ბრძოლა, მე-4 ნომრად განთესილ **ეველინ** და **იულია მაირებთან**. ასე რომ, დიდი შანსია, წყვილთა თანრიგის ფინალში ერთმანეთის პირისპირ სოფიო შაფათავა და მანანა შაფაქიძე ვიხილოთ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჭადრაკი

# ძაგნიძემ გუნდი მარცხისგან იხსნა

ჩინურ ნინბოში ეს-ეს არის ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და უკვე მეორე ტურმა სიურპრიზები შემოგვთავაზა. მასპინძელთა პირველ ნაკრებს უკრაინელებმა აჯობეს, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მოჭადრაკეებით დაკომპლექტებულმა ამერიკის ნაკრებმა ძირძველი სომხეთის ეროვნულ გუნდს 3,5:0,5 მოუგო, ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი რუსეთი ინდოეთთან დამარცხდა. მე-4 დაფაზე მოთამაშე **გუნინამ გომესთან** შეხვედრაზე დააგვიანა და წაგება ჩაეთვალა. მატჩის ბედიც ამ ერთმა ქულამ გადაწყვიტა.

შეჯიბრებაზე მხოლოდ საქართველო-ჩინეთი-2-ის პაექრობა დამთავრდა ფრედ — 2:2. **მაია ჩიბურდანიძე თან ჟონგს** 29-ე სვლაზე შეუთანხმდა ყაიმზე. **ვან იუამ** მუდმივი ქიშით აიძულა თეთრებით მოთამაშე **ლელა ჯავახიშვილი**, 43-ე სვლისთვის ზავზე მოეწერა ხელი. **მაია ლომინეიშვილმა დინ იისინთან** 35-ე სვლაზე წააგო და მასპინძლები 2:1 დაწინაურდნენ. საბოლოო შედეგი **ჟან სიაოვენისა** და შავი ფიგურებით მოთამაშე **ნანა ძაგნიძის** შეხვედრაზე იყო დამოკიდებული. პარტიაში სიცილიური დაცვის ნაიდორფის ვარიანტი გათამაშდა.




ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, სიაოვენს მე-20 სვლაზე კxc5 რომ ეთამაშა, სტრატეგიულად უკეთეს პოზიციას მიიღებდა, მაგრამ ჩინელმა მოჭადრაკემ **მg3** სვლით პასიური გაგრძელება აირჩია, რითაც ისარგებლა ძაგნიძემ და 23-ე სვლაზე (**20. მg3 მxa4 21. ეxa4 g6 22. b3 ეc3 23. მe2**) ხარისხის ეფექტური შეწირვით (**23.... ეxe3**) ინიციატივას დაეუფლა, რომელიც ორთაბრძოლის ბოლომდე შეინარჩუნა. მასპინძელს 25-ე სვლაზე (**24. fxე3 ლa7**) მფf2-ის ნაცვლად ეტლის **d3**-ზე გადაადგილებით თავდაცვის იქნებ უკეთესი გზისთვისაც მიეგნო, მაგრამ, ეტყობა, ცაიტნოტში ეს ვერ შენიშნა. ნანამაც ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა და პარტია ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა: **25. მფf2 h5 26. მc3 ეc8 27. მd5 კxd5 28. exd5 კh6 29. ლe2 მd7 30. g4 hxg4 31. hxg4 კg5 32. ეd1 მფg7 33. ეaa1 e4 34. კg2 ეc3 35. მფf1 ეxe3 36. ლf2 მe5 37. კxe4 მxg4 38. ლg1 f5 39. კh1 კf4 40. ეd2 ლc5 41. c4 ლb4** და თეთრები დანებდნენ.

მეორე ტურის შეხვედრებმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე აშკარა ფავორიტები და აუტსაიდერები არ არსებობენ. ყველა მეტოქესთან დასაპირისპირებლად მეტი მობილიზებაა საჭირო.

აქვე გაცნობებთ მსოფლიოს ჩემპიონატზე დანარჩენი 4 მატჩის შედეგებს:

აშშ-სომხეთი 3,5:0,5 (**ირინა კრუში-ელინა დანიელიანი 1:0, ანა ზატონსკიხი-ლილით მკრტიჩიანი 0,5:0,5, რუსუდან გოლეთიანი-ნელი აგინიანი 1:0, თათევ აბრაჰამიანი-სირანუშ ანდრიასიანი 1:0**).

რუსეთი-ინდოეთი 1,5:2,5 (**ტატიანა კოსინცევა-ჰარიკა დრონავალი 0,5:0,5, ნადეჟდა კოსინცევა-ტანია საჩდევი 1:0, მარინა რომანკო-ეიშა კარავადე 0:1, ვალენტინა გუნინა-მერი გომესი 0:1**).

ჩინეთი-1-უკრაინა 1:3 (**ჰოუ იფანი-ანა უშენინა 0,5:0,5, ჟაო სიუ-ნატალია ჟუკოვა 0,5:0,5, შენ იანი-ინა გაპონენკო 0:1, იუ ვენიუნი-მარია მუზიჩუკი 0:1**).

პოლონეთი-ვიეტნამი 2,5:1,5 (**ივეტა რაილიჩი-თრამ ჰოანგი 0,5:0,5, იოლანტა ზავადსკა-ჰუ ჰოანგი 0:1, იოანა მაიდანი-ნგოკ ჰამი 1:0, კარინა სზერკოვსკა-ჰოროვსკა — კიმ ჰუნგ ვო 1:0**).

ამდენად, ორი ტურის შემდეგ 4 ქულით (პარტიებში მოპოვებული ქულების ჯამი — 5) **პოლონეთის** გუნდი ლიდერობს. მომდევნო ადგილებზე მოდიან: **უკრაინა** — 3 (5), **ინდოეთი** — 3 (4,5), **საქართველო** — 3 (4,5), **აშშ** — 2 (5), ჩინეთი-1 — 2(4), **რუსეთი** — 1 (3,5), **ჩინეთი-2** — 1 (3), **სომხეთი** — 1 (2,5), **ვიეტნამი** — 0 (3) ქულა.

დღეს მე-3 ტურში ითამაშებენ: **უკრაინა-საქართველო, ვიეტნამი-ამერიკა, ჩინეთი-2-პოლონეთი, ინდოეთი-ჩინეთი-1, სომხეთი-რუსეთი.**

ვაჟა დანელია

# იღბლიანი ტური

იტალიურ ფერმოში 10-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე გუშინ მე-4 ტურის პარტიები გათამაშდა. გაცნობებთ ქართველ გოგონათა და ვაჟთა შეხვედრების ანგარიშებს:

10-წლიანები: **ნინო დახუნდარიძე-ანაბელ ნავასი** (ესპანეთი) 1:0, **ალექსანდრე ურდულაშვილი-იულიუს ფამი** (პოლონეთი) 1:0.

12-წლიანები: **ნინო ხომერიკი-მარია სონია ბლუმი** (გერმანია) 1:0, **ტიჯანა ვლადოევიჩი** (ჩერნოგორია)-**ადა ქქუთია** 0,5:0,5, **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი-ელხან ბაირამოვი** (აზერბაიჯანი) 0,5:0,5, **გიორგი სიბაშვილი-ჯუზეპე ვენტურელი** (იტალია) 1:0.

14-წლიანები: **ლაურა სტოერი** (შვეიცარია)-**ნატო იმნაძე** 1:0, **ელენა ხოლოვა** (რუსეთი)-**ლიკა კობეშავიძე** 0:1. **ირაკლი ბერაძე-ომარ ელთიგანი** (უნგრეთი) 0,5:0,5.

16-წლიანები: **ეკატერინა ბოგდანი** (ბელარუსი)-**მერი არაბიძე** 0:1, **ევიე ვარმელინკი** (ჰოლანდია)-**მარიამ დანელია** 0,5:0,5, **რობერტ ეგიაზარიანი** (სომხეთი)-**ზურაბ ჯავახაძე** 0,5:0,5, **ადრიან პოზუეტა** (ესპანეთი)-**ნოდარ ლორთქიფანიძე** 1:0, **სტეფანო რასულო** (იტალია)-**გიორგი ცირეკიძე** 0:1.

18-წლიანები: **კუბრა ოზთურქი** (თურქეთი)-**ქეთი წანალაშვილი** 0,5:0,5, **გულნარა მამედოვა** (აზერბაიჯანი)-**ნაზი პაიკიძე** 0:1, **დავით ბენიძე-აიაზ მამედოვი** (აზერბაიჯანი) 1:0, **დავიდ გევორქიანი** (სომხეთი)-**ლუკა პაიჭაძე** 0:1.

ფერმოში (იტალია) გუშინ გამართულ მე-4 ტურს ქართველებისთვის, შეიძლება, წარმატებული ვუწოდოთ - ჩვენებმა 18 პარტიიდან 10 მოიგეს, 6 ყაიმით დაამთავრეს და მხოლოდ 2 შეხვედრაში დამარცხდნენ. ჩვენებურთა სატურნირო მდგომარეობა ასაკების მიხედვით:

10-წლიანები: 4-4 ქულა აქვთ **ირინა დროგოვოზს, ანა ვასენინას** (ორივე რუსეთი), **ბენჯამენ გლედურს** (უნგრეთი), **ევგენი შტემბულიაკს** და **მარტინ ნაიჰებაუერს** (სლოვაკეთი). **დახუნდარიძემ** 2.5 ქულა მოაგროვა, **ურდულაშვილმა** კი 2.

12-წლიანები: **მარია ვასოვა** (ბულგარეთი), **ელიზავეტა პაპადანასიუ** (საბერძნეთი), **ბალაშ სონკა** (უნგრეთი), **ავითალ ბორუშოვსკი** (ისრაელი) - 4-4, **ხომერიკი** - 3.5, **ქუმსიაშვილი** - 3, **ქქუთია, სიბაშვილი** - 2.5-2.5 ქულა.

14-წლიანები: მარსელ ეფროიმსკი (ისრაელი), **ალექსანდრა ლაჩი** (პოლონეთი), **კიპრიან ბერბატოვი** (ბულგარეთი), **ივან ბუკავშინი** (რუსეთი), **ალექსანდრ ბორტნიკი** (უკრაინა) - 4-4, **ბერაძე** - 3, **იმნაძე, კობეშავიძე** - 2-2 ქულა.

16-წლიანები: **ანდრეა ვინჩე** (სერბეთი) - 4, ექვს მოჭადრაკეს 3.5-3.5 ქულა აქვს. **არაბიძე, ჯავახაძე** - 3-3, **დანელია** - 2.5, **ლორთქიფანიძე, ცირეკიძე** - 1.5-1.5 ქულა.

18-წლიანები: **ოლგა გირია** (რუსეთი) - 4, **წანალაშვილი, პაიკიძე, იოვანა ვოინოვიჩი** (ჩერნოგორია) - 3.5-3.5 ქულა. დღეს წანალაშვილი და პაიკიძე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ვაჟებში 4-ქულიანი არავინაა. 9 მოჭადრაკემ 3.5-3.5 ქულა მოაგროვა. მათ შორისაა **ბენიძე**. **პაიჭაძე** ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება.

ვაჟა დანელია

# კვინტეტი უდანაკარგოდ

კალკუტაში გრძელდება დიდი საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სახელოვანი დიდოსტატები — **შაჰრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2721), **ნაიჯელ შორტი** (ინგლისი, 2706), **ნი ჰუა** (ჩინეთი, 2692), **ვლადისლავ ტკაციევი** (საფრანგეთი, 2669), **გედირ გუსეინოვი** (აზერბაიჯანი, 2667), **ევგენი პოსტნი** (2651), **ალექსეი ალექსანდროვი** (ბელარუსი, 2639), **ჩანდა სანდიპანი** (ინდოეთი, 2611) და სხვები, მათ შორის საქართველოს ორი წარმომადგენელია — **მიხეილ მჭედლიშვილი** (2613) და **მერაბ გაგუნაშვილი** (2564).

პირველ ორ ტურში გაგუნაშვილმა ბანგლადეშელ **რაჰმანსა** და ინდოელ **სუვრაჯითს** სძლია, **მჭედლიშვილმა** კი მასპინძელ **იუდიფ დუტას** მოუგო, ხოლო მის თანამემამულე **კონგეველს** დაუზავდა.

გუშინ მესამე ტურში გაგუნაშვილი შავი ფიგურებით შორტთან დამარცხდა, მჭედლიშვილმა კი მასპინძელი **როი საფთარშის** აჯობა.

სამი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ შორტი, **საფარლი** (აზერბაიჯანი), სანდიპანი, **პანჩანადანი** (ორივე — ინდოეთი) და **ჰოსაინი** (ბანგლადეში) ლიდერობენ.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა


კალათბურთი

საქართველოს ნაკრები ღია ვარჯიში ბელარუსში გამგზავრების წინ

# ზაზა ფაჩულია
# ბელარუსთან პლეი ოფი კი არა, ფინალია!

ღამის სამ საათზე საქართველოს ნაკრები ბელარუსში გაფრინდა. ჩვენი კალათბურთელები დღეს მოგილიოვის დარბაზს გაუშინაურდებიან, ხვალ კი, 19:30 საათზე პირველ საპლეიოფო მატჩში ბელარუსებს დაუპირისპირდებიან.

ჩრდილო-დასავლეთისკენ გაფრენამდე საქართველოს ნაკრებმა ღია ვარჯიში სპორტის სასახლეში გამართა. პირველი, რაც წვრთნისას თვალში გვეცა, კალათბურთელთა ხალისიანი განწყობა იყო. ეს რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: მათ ხომ 26 აგვისტოს უამრავი ქართველი გაახარეს, დაამარცხეს ქვედა ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გუნდი შვედეთი და სწორედ ამის წყალობით საკუთარი შესაძლებლობებისა ბოლომდე ირწმუნეს. თითოეული კალათბურთელი ბელარუსში ხალისიანად და იმედიანად გაემგზავრა.

ვარჯიშის დასაწყისი ჟურნალისტებისთვის დახურული იყო, ამიტომ ძნელი სათქმელია, მწვრთნელმა რა კომპონენტებზე გაამახვილა ყურადღება, თუმცა ფაქტია, რომ როგორც აქამდე, შეგირდები გუშინაც ბოლომდე გამოწურა. ვერ ვიტყვით, დაღლილობის გამო, თუმცა ვარჯიშის შემდეგ კალათბურთელები სათადარიგოთა სკამზე მსხდარნი ცდილობდნენ ბურთის კალათში მოთავსებას. ამ შეჯიბრებამ მოთამაშეებიც გაახალისა და დამსწრე საზოგადოებაც...

მედიისთვის პირველმა **ვიქტორ სანიკიძემ** მოიცალა:

*- A დივიზიონთან ასე ახლოს ჯერ არ ვყოფილვართ. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ამ შანსის ხელიდან გაშვება. ბელარუსში საბრძოლო განწყობით მივემგზავრებით, კარგად ვართ მომზადებულნი. დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება. ვნახეთ ბელარუსის ამხანაგური შეხვედრა ჩერნოგორიასთან. იმ მატჩში ბელარუსმა კარგი კალათბურთი აჩვენა და ოვერტაიმში წააგო. ჩვენც სათანადოდ კონცენტრირება გვმართებს.*

კალათბურთელთა უმეტესობა ვარჯიშის შემდგომი ინტერვიუებისას სწორედ ბელარუს-ჩერნოგორიის მატჩს იხსენებდა. როგორც ჩანს, მთავარმა მწვრთნელმა **იგორ კოკოშკოვმა** შეგირდებთან ყველაზე მეტი ყურადღება სწორედ ბელარუსის ჩერნოგორიასთან მატჩზე გაამახვილა, რათა კალათბურთელებისთვის ეჩვენებინა, რომ მეტოქე სერიოზული ძალაა. რეალურად რა შესაძლებლობების გუნდია ბელარუსი, შაბათს გამოჩნდება. მანამდე ნაკრების უკანახაზელ **ლაშა გამყრელიძეს** მოვუსმინოთ:

*- ვფიქრობ, შაბათს ფსიქოლოგიური ფაქტორი ბევრს გადაწყვეტს. ჩვენ ფსიქოლოგიურადაც კარგად ვართ მომზადებულნი და ფიზიკურადაც. ამ კვირაში ერთი დღე დავისვენეთ. პირველი შეხვედრის ჩატარება სტუმრად გვიწევს. ამიტომ მძიმე ბრძოლა გველის. ჩემი აზრით, ყველაფერი მაინც 9 სექტემბერს თბილისში გადაწყდება. ვიმედოვნებ, რომ სპორტის სასახლეში ანშლაგი იქნება.*

გულშემატკივართა ფაქტორზე **კოტე ტულუშმაც** ისაუბრა:

*- გულშემატკივრის თანადგომა ახლა ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. ბელარუსთან ორ მატჩზე ბევრი რამაა დამოკიდებული. გულშემატკივარს დავპირდებით, რომ შაბათს მეტოქეს არაფერს დავუთმობთ. თუმცა მძიმე ბრძოლა გველის...*


ზაზა ფაჩულია


იგორ კოკოშკოვი

ალექსანდრე კორძაშვილის ფოტოები

ვლადიმერ ბოისა ნაკრებში **ტაირონ ელისის** შემდეგ ყველაზე გამოცდილია. მას 2001 წელს ბელარუსში ერთხელ უკვე უთამაშია:

*- აგვისტოში ოთხი თამაში თბილისში ჩავატარეთ. საშინაო და საგარეო შეხვედრები ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გასვლით მატჩზე გადაწყობა იოლი არ იქნება, თუმცა ყველაფრისთვის ვემზადებით და ვეცდებით, ქართველ ქომაგს იმედები არ გავუცრუოთ. თუ ჩვენი თამაში ვუჩვენეთ, ბელარუსში დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა შეიძლება. ასეთ შედეგში კი გამარჯვება ან მცირე სხვაობით მარცხი იგულისხმება. იმ სხვაობით, რომლის გაბათილება თბილისში შესაძლებელი იქნება.*

ტაირონ ელისს შვედეთთან მატჩის ემოციები ჯერაც არ განელებოდა:

*- 26 აგვისტოს გადაჭედილი ტრიბუნების ხილვა საოცარი სანახავი იყო. ასეთმა გულშემატკივრობამ დიდი ენერგიით აგვავსო. ბელარუსში მსგავსი ატმოსფერო არ იქნება, თუმცა ჩვენ არაფერს დავიშურებთ წარმატების მისაღწევად. საქმე სერიოზულ მეტოქესთან გვაქვს – ბელარუსმა ხომ ორი წლის განმავლობაში ერთადერთი მატჩი წააგო. მძიმე ვარჯიშები გვქონდა, კარგად მოვემზადეთ და, თუ გუნდური კალათბურთი ვითამაშეთ, ყველაფერი კარგად დასრულდება.*

გუშინ სრული დატვირთვით ივარჯიშა **თორნიკე შენგელიამ**, რომელსაც ვირუსის გამო სიცხეები ჰქონდა და რამდენიმე დღით საწვრთნელ პროცესს იყო მოწყვეტილი:

*- თავს კარგად ვგრძნობ. უკვე ჩვეულ რიტმში ვარ. მართალია, სამი დღე ვერ ვივარჯიშე, ცოტა სისუსტესაც ვგრძნობ, მაგრამ თვენახევარია, ნაკრებთან ერთად ვემზადები და ფორმიდან ნამდვილად არ ამოვვარდნილვარ.*

გასახდელიდან ყველაზე ბოლოს **ზაზა ფაჩულია** გამოვიდა. ეს არცაა გასაკვირი, იგი ხომ ნაკრების კაპიტანია. მას NBA-ს პლეი ოფში თამაშის გამოცდილება აქვს. ზაზას "ატლანტა" ბოლო ორი წელიწადია რეგულარული ეტაპის ბარიერს იოლად ძლევს და პლეი ოფში კარგ კალათბურთს უჩვენებს:

*- ამერიკაში ბოლო ორი სეზონია, პლეი ოფებში ვთამაშობ. როგორც წესი, ამ ეტაპზე თამაშს ერთი-ორად ვაუმჯობესებ. იმედი მაქვს, რომ საქართველოს ნაკრების შემთხვევაშიც ასე იქნება. თუმცა ბელარუსთან შეხვედრებს უბრალოდ პლეი ოფს ვერ დავარქმევ, ეს ფინალია, სადაც ერთი შეცდომაც ძვირად ფასობს და ერთი ჩაგდებული ბურთიც. საბოლოოდ გამარჯვებულის ბედი უამრავ ნიუანსზეა დამოკიდებული. ამიტომ მაქსიმალური მობილიზებაა საჭირო.*

**ვაჟა სიმონიშვილი**




ავტოსპორტი

## იალტასა და სერბეთში

ქართველ ავტომრბოლებს უკვე კარგად იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. აღმოსავლეთ ევროპის თასის გათამაშებაში, მაგალითად, 2006 და 2007 წლებში **მევლუდ მელაძის** და **აჩიკო ბეჟანიშვილის** ეკიპაჟი ვერცხლის პრიზიორი გახდა. წლეულს საქართველოს სახელით ამ ავტორიტეტულ ასპარეზობაში **გოგა არჯევანიძის** და **ქეთი ბოჭორიძის** ეკიპაჟი ჩაებმება. რალი 11-13 სექტემბერს იალტაში გაიმართება. 19-21 სექტემბერს კი სერბეთში „სერბია რალიში" **გიორგი კოდუას** და **ვიქტორ ბაგრამოვის** ეკიპაჟი მიიღებს მონაწილეობას.

— იალტის 600-კილომეტრიანი რალი სერიოზულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას მოითხოვს. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ქართულმა ეკიპაჟმა 15 ქვეყნის 70-მდე მრბოლს შორის ღირსეულად იასპარეზოს. ასევე დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენს ეკიპაჟზე სერბეთში, რომელსაც გამარჯვების კარგი შანსი აქვს. — თქვა გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ამ ასპარეზობებისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **მევლუდ მელაძემ**.

**"ლელოს" კორ.**



სპორტი ყველასათვის

## გამგებელმა სპორტი სხვებისთვის სამაგალითოდ გაიხსენა

50 მეტრზე ცურვა, ფრენბურთი და კალათბურთი წყალზე – ასეთი ორიგინალური იყო თბილისის მერიის ინიციატივით, საწყლოსნო კომპლექს „ტონუსში" ჩატარებული დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს, რაიონების გამგეობებისა და საკრებულოების თანამშრომელთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიების (მთავარი მსაჯი **გივი ცქიტიშვილი**) პროგრამა.

სამივე სახეობაში წარმატებას ვაკე-საბურთალოს წარმომადგენლებმა მიაღწიეს. თანამშრომლებს ჩინებული მაგალითი რაიონის გამგებელმა, ყოფილმა წყალბურთელმა **დავით გელაშვილმა** მისცა. მან პირველ მოადგილე **მიხეილ ნაბიჯაშვილთან** ერთად ჯამური შედეგით 50 მ ცურვაში გაიმარჯვა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, დიდგორისა და ძველი თბილისის რაიონების მოცურავეები გავიდნენ.

წყლის ფრენბურთში ვაკე-საბურთალოს გუნდმა ფინალში დიდგორელთა ნაკრებს აჯობა (10:4, 10:2). წყლის კალათბურთშიც ვაკე-საბურთალოელებმა იმარჯვეს. აქაც დიდი წვლილი გამგებელს მიუძღვის. მეორე-მესამე ადგილებზე დიდგორისა და გლდანი-ნაძალადევის გუნდები გავიდნენ.



— შესანიშნავი ღონისძიება გამოვიდა. ამგვარი ასპარეზობები დიდი სტიმული იქნება დედაქალაქში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. სასურველია, სამომავლოდ შეჯიბრებებში უბნების გუნდებსაც თუ ჩართავენ. გამგეობებსა და საკრებულოებს ეს ხელს შეუწყობს, ახლოს გაეცნონ მოსახლეობის ჭირ-ვარამს და უფრო ეფექტურად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა, - გვითხრა დავით გელაშვილმა, რომელიც ჭაბუკობისას საქართველოს და საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრებების წევრი იყო და უამრავ შეჯიბრებაში მიუღწევია წარმატებისთვის.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი

# ლელო: უკვე პლეი ოფი!

ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო



## ვისოლი ყოჩები–ლელო 20:37

ვისოლი ყოჩები (15-9) მახარაშვილი, გეგენავა, პ.მაისურაძე, ადანაია, ნიჟარაძე, ე.ძაგნიძე (ხუხუნეიშვილი 58), ხელაძე (ბეგაძე 34), (1-8) ასეიშვილი (ბარბაქაძე 67), ბრეგვაძე, კიკნაველიძე (მამუკაშვილი 63), ბელაშვილი, არჩუაშვილი, ტრაპაიძე, დგებუაძე (მეტრეველი 46), კობახიძე (კალმახელიძე 46).

*2ლ: ასეიშვილი, კალმახელიძე. 2გ: მახარაშვილი. 2ს: კობახიძე.*

ლელო (15-9) ყიასაშვილი (მანჯავიძე 48), მჭედლიშვილი, კორკელია, ლომინაძე, თოდუა, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) ყალიჩავა (სანიკიძე 52), ჭყონია, მირცხულავა (სუჯაშვილი 52), აზალაძე, ი.დაუშვილი, დ.დაუშვილი (ხორბალაძე 72), კოლელიშვილი, იორდანიშვილი (ახალაია 57).

*5ლ: ყიასაშვილი (2), კოლელიშვილი, კორკელია, აზალაძე. 3გ,2ს: მჭედლიშვილი.*

მსაჯი: გ. ჯავახიშვილი.

გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ლელო" დაუმარცხებლის რენომეს ინარჩუნებს. მე-11 ტურის შეხვედრაში ჩემპიონობის ერთ-ერთმა უმთავრესმა მაძიებელმა „ვისოლი ყოჩები" დაამარცხა – 37:20.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ლელო" საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან ყველაზე გამართულ, საინტერესო და ლამაზ რაგბის თამაშობს. **ლევან მაისაშვილის** ბიჭებმა, როგორც ჩანს, საზაფხულო არდადეგებზე მუყაითად იშრომეს და ქომაგების წინაშე კიდევ უფრო მომძლავრებულნი წარდგნენ.

გუნდი სატრანსფერო პერიოდში ორმა წამყვანმა მორაგბემ დატოვა. მეორეხაზელი **ვახტანგ მაისურაძე** საფრანგეთში გადაბარგდა, ხოლო პირველხაზელმა **შოთა ცხოვრებაშვილმა** კარიერის გაგრძელება შოტლანდიაში არჩია. „ლელო" მხოლოდ ერთი მორაგბით, გუნდში მობრუნებული **დავით დაუშვილით** გაძლიერდა.

საკმაოდ სერიოზული ნამატი აქვს „ვისოლი ყოჩებს". ამ კლუბის მესვეურებმა გუნდის მოლონიერება ვეტერანი მორაგბეებით გადაწყვიტეს. გუნდში ათი ნომრის პოზიცია რუსეთიდან დაბრუნებულმა **ემზარ ძაგნიძემ** დაიკავა. შერკინების მესამეხაზის გაძლიერება კი **კახა კობახიძეს** დაევალა, რომელიც აქამდე „ვისოლი ყოჩების" დუბლშემადგენლობას წვრთნიდა და იქვე თამაშობდა. მოთამაშე მწვრთნელის ფუნქცია აქვს **ნიკო ჭავჭავაძეს**, რომელიც „ლელოსთან" მატჩში მოედანზე არ გამოჩენილა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ვეტერანების დესანტმა „ყოჩებს" ვერაფერი უშველა. „ლელო" მინდორზე თავიდანვე საბრძოლველად შემართული გამოვიდა და ანგარიში პირველივე შეტევისას, მე-2 წუთზე გახსნა.

ლელოელი მორკინალები მეტოქეს ოცდაორმეტრიანი ზონის მისადგომებთან უტევდნენ. წარმოქმნილ რაკებში ბურთს სწრაფად ასუფთავებდნენ, რამაც საშუალება მისცათ, მარცხნივ, გრძელ ფრთაზე ხელდახელ გათამაშებული კომბინაცია ლელოთი დაესრულებინათ. ათმა ნომერმა **ლაშა ხმალაძემ** შეტევაში შუამარბი **გიორგი კორკელია** ჩართო. მან ბურთი კიდისკენ გარემარბ **ალექსანდრე თოდუას** გადააწოდა, რომელმაც უკნიდან შეტევაში ჩართული ფულბეკი **ირაკლი ყიასაშვილი** დროულად შენიშნა. ამან ლელო კიდესთან ახლოს გაიტანა. გარდასახვა ირაკლიმ თავად დაარტყა, მაგრამ არაზუსტად – 5:0.

ოთხ წუთში საჯარიმო უკვე „ლელოს" გარემარბმა **უჩა მჭედლიშვილმა** დაარტყა და გაიტანა – 8:0. ორ წუთში კი ისევ უკანახაზელებმა გაიბრწყინეს. მოედნის შუაგულში მეტოქის ხაზი ხმალაძემ გაჭრა, თხუთმეტიოდე მეტრი გაირბინა და მარცხნივ, კიდისკენ გარემარბ ალექსანდრე თოდუას გადააწოდა. მას ისევ ირაკლი ყიასაშვილი წამოეშველა, რომელმაც ლელო კარის ძელებს შუა გაიტანა. მჭედლიშვილმა გარდასახა – 15:0.

ათ წუთში თამაშის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბოლოოდ „ლელომ" 17 ქულის სხვაობით მოიგო, გამოდის, საწყის ათ წუთში მიღწეული უპირატესობა გადამწყვეტი ყოფილა. „ყოჩებმა" ანგარიშის შემცირება მე-12 წუთზე მოახერხა. კახა კობახიძემ საჯარიმო დაარტყა ზუსტად – 3:15. მომდევნო 15 წუთში გუნდებმა კიდევ თითო საჯარიმო გაცვალეს – 6:18.

ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი „ყოჩების" ცხრა ნომერმა **გოგა ხელაძემ** საბედისწერო შეცდომა დაუშვა. შერკინება „ყოჩების" ლელოდან ათ მეტრში დაინიშნა. იქიდან გამოსული ბურთი ხელაძემ აიტაცა და მეტოქის მოედანზე ფეხით გადატანა სცადა. ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ უეცრად ფეხი დაუცდა და ბურთი ხელიდან გაუვარდა, რომელიც „ლელოს" მესამეხაზელის **ვიქტორ კოლელიშვილის** ნადავლი გახდა. „ვიტო" ლელოში ისე შევიდა, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. გარდასახვა ისევ მჭედლიშვილმა დაარტყა - 25:6.

მეორე ტაიმი პირველის მსგავსად დაიწყო. საწყის ცამეტ წუთში ლელოელებმა კიდევ ორი ლელო მიითვალეს და ანგარიშში სხვაობა 31 ქულამდე გაზარდეს – 37:6. განსაკუთრებულად ოსტატური 53-ე წუთზე გატანილი ბოლო, მეხუთე ლელო აღმოჩნდა. „ლელო" მარჯვენა ფრთიდან უტევდა. მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონაში მორკინალები მოკლე დარტყმებით წინ მიიწევდნენ. მერე უეცრად ბურთი ხაზზე ლაშა ხმალაძეს გამოუტანეს, რომელმაც ფეხით მარცხნივ, კიდისკენ დაკიდა. აქ „ყოჩების" გარემარბ **ლაშა გეგენავას** საჰაერო დუელი ალექსანდრე თოდუამ მოუგო, რომელმაც ბურთი შიგნით გიორგი კორკელიას შემოუბრუნა. მას ლელოს გატანა აღარ გასჭირვებია.

უკვე ვთქვით, რომ ანგარიშში სხვაობა საკმაოდ სოლიდური გახდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, „ლელოს" მოწინააღმდეგე უნდა გაეცამტვერებინა. ასეც მოხდებოდა, „ყოჩების" მწვრთნელს ვეტერანი მოთამაშეები რომ არ შეეცვალა.

შედარებით ახალგაზრდა ყოჩმა მორაგბეებმა კი გუნდის თამაში საგრძნობლად გამოაცოცხლეს. 59-ე წუთზე მათი საკმაოდ ხანგრძლივი შეტევა ლელოთი დასრულდა. შერკინების მოთამაშეების დარტყმებს „ყოჩებმა" უკანახაზელების აქტიური, უფრო ეფექტური თამაშიც დაურთეს. ბოლოს კი ისევ პირველხაზელმა **კარლენ ასეიშვილმა** იყოჩაღა. გარდასახვა ფულბეკმა **შალვა მახარაშვილმა** გაიტანა – 13:37.

„ლელო" მეტოქეს თამაშში აჰყვა. თამაში უფრო გახსნილი, ოდნავ ქაოსური გახდა. 72-ე წუთზე „ყოჩების" ძალისხმევა კიდევ ერთი ლელოთი დასრულდა. ამჯერად თავი შეცვლაზე შესულმა **გიორგი კალმახელიძემ** გამოიჩინა. მახარაშვილმა ისევ გარდასახა – 20:37.

„ყოჩებს" მადა ჭამაში მოუვიდა, მაგრამ „ლელომ" მეტის უფლება აღარ მისცა და მორიგი გამარჯვება მიითვალა – 37:20.

# ბათუმელები საპლეიოფო ოთხეულში

## უნივერსიტეტი–ბათუმი XV 6:19

უნივერსიტეტი (15-9) ბაირამაშვილი, ფერაძე (ხუხუნეიშვილი 41), კუპრეიშვილი (კვიციანაძე 70), ლუკა კილასონია (მორჩაძე 70), ჯიმუხაძე (ნადარეიშვილი 41), ნუცუბიძე, ა.ზაბახიძე (ჯანაშვილი 70). (1-8) ქორიძე, ქარაბაქი, მასხარაშვილი (გ.ზაბახიძე 41), ჟღენტი, სურგულაძე, ლადო კილასონია, ტუჩაშვილი, დარასელია.

*2ს: ნუცუბიძე.*

ბათუმი XV (15-9) ნინიძე, სვინტრაძე, ოქროპირიძე (გ.ევგენიძე 69), ხონელიძე, ცისკარიშვილი, აშვეთია, კიკაჩეიშვილი (ს.ევგენიძე 50). (1-8) ღლონტი, აბესლამიძე, მოქია (წულუკიძე 49, დიაკონიძე 73), ბერიძე, კუნჭულია, გუგუშვილი, თხილაშვილი, სირბილაძე.

*ლ: მოქია. 4ს,გ: ნინიძე.*

მსაჯი: ნ.რობიტაშვილი

საქართველოს განახლებულ ჩემპიონატს, საზაფხულო არდადეგების შემდეგ, უკეთ მომზადებული „ბათუმი XV" შეხვდა, რომელმაც სტუმრად, „სინათლის" სარაგბო სტადიონზე აუტსაიდერი „უნივერსიტეტი" – 19:6 დაამარცხა.

უნივერსიტეტელებმა საზაფხულო სატრანსფერო ციებ-ცხელებისას ყველაზე მეტად იზარალეს. გუნდი ერთბაშად რვა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. აქედან სამი უცხოეთში გაემგზავრა უკეთესი მერმისის საძებნელად, ხუთმა კი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის, თბილისის „ლოკომოტივის" ღირსების დაცვა არჩია.

შესაბამისად, „უნივერსიტეტის" მწვრთნელ **ბადრი ბოხუას** პრობლემა მოუმრავლდა. ბათუმელებთან ნაგების შემდეგ კი, უნივერსიტეტელები ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატები არიან. ამის თქმის უფლებას თვით გუნდის ულიმღამო თამაშიც გვაძლევს. თავად განსაჯეთ, ოთხმოცი წუთის განმავლობაში მათ ერთი სალელოვე შეტევაც არ განუხორციელებიათ.

ანგარიში მატჩში ბათუმელებმა საჯარიმო დარტყმით მე-5 წუთზე გახსნეს. ფულბეკმა **მამუკა ნინიძემ** 48 მეტრიდან დაარტყა – 3:0. უნივერსიტეტელებმა ერთ წუთში გაათანაბრეს. საპასუხო ჯარიმა ათ ნომერზე გამწესებულმა **რატი ნუცუბიძემ** გაიტანა – 3:3.

სათამაშო უპირატესობას, უფრო მძლავრი და მობილური შერკინების ხაზის ხარჯზე, ბათუმელი მორაგბეები ფლობდნენ, თუმცა ხშირი ტექნიკური წუნის გამო მის გამოყენებას ვერაფრით ახერხებდნენ. ალალად უნდა ითქვას, რომ „ბათუმი XV" თავისი თამაშით არაფრით ტოვებდა პლეი ოფის ოთხეულში მოსახვედრი გუნდის შთაბეჭდილებას.

ერთადერთი ლელო მე-19 წუთზე გავიდა. უნივერსიტეტელებმა ლელოდან ხუთ მეტრში დანიშნული თავიანთი შერკინება წააგეს. ბურთი რვა ნომერმა **გელა სირბილაძემ** აიტაცა, ის ოდნავ წინ წაიწია და შებოჭეს. რაკიდან ბურთი პირველხაზელმა **სერგო მოქიამ** გამოიტანა, რომელმაც მორიგი მოკლე დარტყმით ჩათვლის მოედანში შეაღწია. გარდასახვა ნინიძემ დაარტყა ზუსტად – 10:3.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში საინტერესო არაფერი ხდებოდა. ისევ ხშირი შეცდომა, არასწორი გადაწყვეტილებები. თამაში დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა. ნინიძემ 34-ე წუთზე ანგარიში ისევ საჯარიმოთი გაზარდა. ტაიმის მიწურულს კი მასპინძლები ოდნავ გააქტიურდნენ და ნუცუბიძემ საპასუხო საჯარიმო გაიტანა – 6:13. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმი პირველზე უარესი აღმოჩნდა. მოედანზე ვითარება ვერც ცვლილებებმა გამოასწორა. ბათუმელებმა შეხვედრის ბოლო თხუთმეტ წუთში მონაგარს კიდევ ექვსი ქულა შემატეს. ორი საჯარიმო ნინიძემ გაიტანა – 19:6.

ბათუმელებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე გადაინაცვლეს. დარჩენილ სამ ტურში ბათუმელი მორაგბეები უშუალო კონკურენტებს დაუპირისპირდებიან: 8 სექტემბერს ქუთაისის „აიას" უმასპინძლებენ. ამ შეხვედრის შედეგი თითოეული გუნდის ბედს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს.

### XI ტური

| | |
|---|---|
| აია-ხარები | 32:13 |
| აკადემია-ლოკომოტივი | 21:21 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 11 | 11 | 0 | 0 | +187 | 22 |
| 2.ლოკომოტივი | 11 | 7 | 1 | 3 | +21 | 15 |
| 3.აკადემია | 11 | 6 | 1 | 4 | +14 | 13 |
| 4.ბათუმი XV | 11 | 5 | 1 | 5 | -20 | 11 |
| 5.ყოჩები | 11 | 5 | 0 | 6 | +1 | 10 |
| 6.აია | 11 | 4 | 0 | 7 | +13 | 8 |
| 7.ხარები | 11 | 2 | 1 | 8 | -87 | 5 |
| 8.უნივერსიტეტი | 11 | 2 | 0 | 9 | -20 | 4 |

ლეგიონერები

# ქუბრიაშვილი და ტულონი დაუმარცხებელნი არიან

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მორიგი, მეოთხე ტური უჩვეულო დროს, შუა კვირაში გაიმართა. პირველი მარცხი იწვნია **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა". ჯერჯერობით ისევ დაუმარცხებელია და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი".

მე-4 ტურის ცენტრალური შეხვედრა სწორედ ამ კლუბების დაპირისპირება იყო. ტულონში, „სტად დე მაიოზე" მასპინძლებმა პირველი ტაიმი ორი ქულის სხვაობით დათმეს – 10:12, თუმცა მერე მდგომარეობა ნელ-ნელა გამოასწორეს და თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ორი ქულით თვითონ დაწინაურდნენ – 23:21.დარჩენილ დროში ქულათა შემატების შანსი ორივე გუნდს თანაბრად ჰქონდა, საბოლოო წერტილი კი **ჯონი ვილკინსონის** ნაცვლად შესულმა **სებასტიან ფოკემ** დასვა საჯარიმო დარტყმით – 26:21 ტულონელთა სასარგებლოდ.

ორივე ქართველი მორაგბე ძირითად შემადგენლობაში იყო. ზირაქაშვილი 65-ე წუთზე შეცვალეს. ხუთ წუთში მოედანი ქუბრიაშვილმაც დატოვა. იგი 37-ე წუთზე მატჩის არბიტრმა გაასინბინა კიდეც.

ყველასთვის მოულოდნელად ფრანგული რაგბის ერთ-ერთი გრანდი „სტად ფრანსე" სტუმრად დაამარცხა **გოდერძი შველიძისა** და **ბექა შეყლაშვილის** „მონტობანმა" – 40:35. აღსანიშნავია, რომ მეათე წუთიდან მოყოლებული, მონტობანელები ანგარიშში მუდმივად წინ იყვნენ. 65-ე წუთისთვის კი 16 ქულითაც დაწინაურდნენ. ბოლო თხუთმეტ წუთში მასპინძლები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მაგრამ საბოლოოდ ჩვენებურთა გუნდმა მაინც შეინარჩუნა მისთვის სასარგებლო ანგარიში.

შველიძე სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო. შეყლაშვილს შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

ტრავმის მოშუშების შემდეგ წლევანდელ სეზონში პირველად ითამაშა საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს" მესამეხაზელმა **მამუკა გორგოძემ**. სამაგიეროდ, ტრავმის გამო სამი თვე დააკლდება გუნდს **გიორგი ჩხაიძე**, რომელმაც განვლილ სამ ტურში შეუცვლელად ითამაშა.

„მონპელიემ" საკუთარ მოედანზე ბასკურ „ბიარიცთან" უმნიშვნელოვანეს გამარჯვებას მიაღწია – 22:18, რითაც სატურნირო ცხრილის ფსკერს თავი დააღწია. გორგოძემ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა რვა ნომრის პოზიციაზე და 74-ე წუთზე შეცვალეს.

მეორე მარცხი იწვნია ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ „პერპინიანთან" გასვლით მატჩში **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივმა" – 9:21. ჩვენებურის გუნდი კატალონიელებთან მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა და წარმატების მიღწევის შანსი არ მისცემია. ხინჩაგიშვილმა თამაში ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 51-ე წუთზე შეცვალეს.

დაუმარცხებლად ასპარეზობს **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრიც", რომელმაც მესამე და მეოთხე ტურების შეხვედრები გუნდში გავრცელებული ღორის გრიპის ვირუსის გამო გამოტოვა.

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**IV ტური**

ტულუზი – ბაიონი 21:17, სტად ფრანსე - მონტობანი 35:40, მონპელიე – ბიარიცი 22:18, ტულონი – კლერმონი 26:21, ბურგუენი – მეტრო რასინგი 17:13, პერპინიანი – ბრივი 21:9, ალბი – კასტრი (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა:**

1.ტულონი – 14 ქულა, 2. ტულუზი – 14, 3.პერპინიანი – 13, 4.კლერმონი – 12, 5. მეტრო რასინგი – 9, 6. კასტრი – 8, 7. ბურგუენი – 8, 8. მონპელიე – 8, 9. ბიარიცი – 7, 10. სტად ფრანსე – 7, 11. ბრივი – 7, 12. ბაიონი – 5, 13. მონტობანი – 5, 14. ალბი – 2.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კრივი

*ინტერვიუ დევიდ ჰეისთან*

# ვალუევს დანდობა არ ექნება

სკანდალურად ცნობილ ბრიტანელ მოკრივეს დევიდ ჰეის 7 ნოემბერს საჩემპიონო ბრძოლა უწევს სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონთან, რუს ნიკოლაი ვალუევთან. Fightnews-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბრიტანელმა განაცხადა, რომ რუს გიგანტს ნოკაუტით დაამარცხებს და შემდეგ მისი მომდევნო მსხვერპლი ძმები კლიჩკოებიდან ერთ-ერთი იქნება.

**- ვალუევთან ბრძოლის დანიშვნამ შოკში ჩააგდო ძმები კლიჩკოების თაყვანისმცემლები. მოგვიყევით, რა მოხდა სინამდვილეში.**

- რაც შეეხება 20 ივნისს ვლადიმერ კლიჩკოსთან დანიშნულ ბრძოლას, მაშინ ზურგის ტრავმა მართლა მაწუხებდა და ამის გამო ვერ გავედი რინგზე. ძალიან დამწუხრებული ვიყავი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. კრივში ასეთი რამ ხდება ხოლმე.

**- ბევრი ექსპერტი ამტკიცებდა, რომ ამ ბრძოლაზე უარის თქმის მთავარი მიზეზი ის ფაქტი იყო, რომ ტელეარხი Setanta Sports, რომელსაც ბრიტანეთში თქვენს ბრძოლებზე ექსკლუზიური უფლებები ჰქონდა, უშუალოდ ჩხუბის წინ ბანკროტი გახდა.**

- ჩემი სატელევიზიო პარტნიორების გაკოტრებამ მართლაც საფრთხის წინაშე დააყენა ბრძოლის ჩატარება, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ტრავმა იყო.

**- ამის შემდეგ ვიტალი კლიჩკოსთან უნდა გეჩხუბათ, მაგრამ ვალუევი აირჩიეთ...**

- პირობები, რომელიც ვიტალის გუნდმა წამოაყენა, უბრალოდ, საშინელება იყო - იმაზე უარესი, ვიდრე ვლადიმერთან ბრძოლის კონტრაქტი. კაბალური პირობები შემომთავაზეს. როგორც ჩანს, ვიტალი მიიჩნევს, რომ მეც ის თანხა ვლირვარ, რაც მისი სხვა დაბალი ხარისხის მოწინააღმდეგეები. მაგრამ ეს ასე არ არის. მე მძიმე წონაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ვიყავი. შემიძლია არა მარტო თანაბარი ბრძოლა გავუმართო ძმებ კლიჩკოებს, არამედ დავამარცხო ისინი. საუკეთესო პირობებს ვიმსახურებ. ვალუევის გუნდთან სულ სხვა ლაპარაკი იყო. კონტრაქტის პირობებიც მომეწონა და მოლაპარაკებების წარმართვის პროფესიონალური მანერაც.

**- ვალუევთან გამარჯვების შემთხვევაში, ალბათ, რომელიმე კლიჩკოსთან მოლაპარაკებებისას ჰონორარის თანაბრად გაყოფას მოითხოვთ...**

- მართალი ხართ. თუ ჩემპიონი გავხდები, როგორც ტიტულის მფლობელი მოვითხოვ, რომ მათ (კლიჩკოები) უკვე ჩემ მიერ წამოყენებული პირობები მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერასოდეს ეღირსებიან ყველა საჩემპიონო ქამრის მოგების შანსს.

**- ვინ მიგაჩნიათ უფრო სახიფათო მოწინააღმდეგედ: ვალუევი თუ ვიტალი კლიჩკო?**

- ვიტალი უფრო სერიოზული მეტოქეა.

**- რომელი არხი გადასცემს თქვენს ბრძოლას ბრიტანეთში?**

- ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკებები BBC-სთან და Sky Sports-თან. ალბათ, უპირატესობას Sky Sports-ს მივანიჭებ.

**- ბრძოლისთვის მზადება უკვე დაიწყეთ?**

- დიახ, უკვე ორი კვირაა, საწვრთნელ ბანაკში ვიმყოფები. ჯერჯერობით თეორიული ინფორმაციის შესწავლით ვარ დაკავებული, ვუყურებ ვალუევის ბოლო ბრძოლების ვიდეოჩანაწერებს. ამჟამად ინგლისში ვარ, მაგრამ ცოტა ხანში ჩემს ბანაკს კვიპროსზე გადავიტან.

**- რაში მდგომარეობს თქვენი უპირატესობა მომავალ მეტოქეზე?**

- ვალუევს მხოლოდ დიდი გაბარიტები და წონა გამოარჩევს. ის ნელია, მოუქნელი... მე მას ჩემი სისწრაფითა და მომაკვდინებელი დარტყმით მოვუღებ ბოლოს, და ის ამას გრძნობს. დარწმუნებული ვარ, ბრძოლა 12 რაუნდს არ გაგრძელდება და ვადაზე ადრე გავიმარჯვებ.

**- მართალია, რომ ბრძოლისთვის მოსამზადებლად საწვრთნელ ბანაკში MMA-ის (შერეული ორთაბრძოლები) მებრძოლებს მიიწვევთ?**

- დიახ, ეს მართალია. თავადაც კარგად გესმით, რომ ვალუევის მსგავსი სპარინგპარტნიორის მოძებნა ძალიან რთულია, ამიტომაც მომიწია ამ ნაბიჯის გადადგმა. სერიოზულად ვარ განწყობილი და 7 ნოემბერს რუსი თავის ბოლო ბრძოლას გამართავს მსოფლიოს ჩემპიონის რანგში. ის მხოლოდ პენსიონერებს ამარცხებს: ჰოლიფილდს, რუიზს... როცა რინგზე მე შემხვდება, მიხვდება, რომ ჩემგან დანდობა არ ექნება. ახალგაზრდა და ძლიერი ვარ. მას შანსს არ დავუტოვებ.

**- ბრძოლა გერმანიაში გაიმართება. ვალუევის მიმართ იქაური მსაჯების სიმპათიები თქვენთვის პრობლემა არ გახდება?**

- არა, ჩემთვის ეს პრობლემა არ არის. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ პენსიონერი არ ვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მსაჯების გადაწყვეტილებამდე საქმე არ მივიდეს. ვალუევის დამარცხების შემდეგ, კლიჩკოებთან ბრძოლისთვის სერიოზულად ვიზრუნებ.

**- მათ გამოაცხადეს, რომ არასოდეს წამოვლენ თქვენთან მოლაპარაკებებზე...**

- მაშინ მათ მოუწევთ უბრძოლველად, სამარცხვინოდ გადმომცენ თავიანთი საჩემპიონო ქამრები. მე სერიოზული მიზანი მაქვს: ლენოქს ლუისის შემდეგ მე უნდა ვაჩუქო ბრიტანეთს სუპერმძიმე წონაში ახალი ჩემპიონი.



# რიკი ჰატონი დაბრუნებას ფიქრობს

ბრიტანელმა **რიკი ჰატონმა** განაცხადა, რომ სავარაუდოდ გააგრძელებს პროფესიულ კარიერას. ამა წლის 2 მაისს ჰატონმა გამანადგურებული მარცხი იწვნია ფილიპინელი **მანი პაკიაოსგან** (მეორე რაუნდში ნოკაუტით წააგო) და იქედან მოყოლებული, თავისი მომავალი კარიერის შესახებ ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებია.

*"არ მტოვებს ის აზრი, რომ კიდევ მომიწევს რინგზე გასვლა. რა თქმა უნდა, ნაღვლიანი სანახავია მუჰამედ ალი, რომელიც საშინელ ავადმყოფობას ებრძვის, მაგრამ იმავდროულად, ჩემზე უკეთ საკუთარ შესაძლებლობებს არავინ იცნობს. ტრიუმფული დაბრუნების უამრავი მაგალითი არსებობს და ამის გაკეთება მეც შემიძლია. როცა ხელთათმანების ლურსმანზე დაკიდების დრო მოვა, ამას აუცილებლად გავაკეთებ", - ამბობს ჰატონი.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



პროფესიულ კრივში სექტემბერში გასამართავი ბრძოლებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ჩხუბი 19 სექტემბერს შედგება. ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი** მექსიკელ **ხუან მანუელ მარკესს** შეხვდება. მეივეზერი დარწმუნებულია, რომ შეძლებს ამ ბრძოლის მოგებასა და თავისი წაუგებელი სერიის გაგრძელებას.

# ყველა გზა ფლოიდისკენ მიდის

*"19 სექტემბერს ყველა გაკვირვებული დარჩება. მათ მიაჩნიათ, რომ კრივიდან წასვლამ ჩემზე უარყოფითად იმოქმედა, მაგრამ ეს ასე არ არის. ეს დრო დასვენებისთვის გამოვიყენე და საკუთარი თავი ოჯახს მივუძღვენი. ახლა დაბრუნების დრო დადგა. შევხვდები თუ არა ოდესმე მენი პაკიაოს? თქვენ ხომ იცით, რომ ყველა გზა ფლოიდ მეივეზერისკენ მიდის?! მე საუკეთესო ვარ და ბოლომდე ასეთად დავრჩები"*, - ამბობს დაუმარცხებელი ამერიკელი მოკრივე.

მომავალ ბრძოლას გამოეხმაურა ლეგენდარული **ოსკარ დე ლა ჰოია**. მას მიაჩნია, რომ ჩხუბის წინ და მისი მსვლელობისას უფრო მეტი ზეწოლა მეივეზერზე იქნება: *"მარკესის უკან მთელი მექსიკა დგას, რადგან ბრძოლა 19 სექტემბერს გაიმართება, ეს კი მექსიკის დამოუკიდებლობის დღეა. გარდა ამისა, მეივეზერი ორი წელია არ გასულა რინგზე და ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. მისთვის აუცილებელია, რაც შეიძლება დამაჯერებლად გამოიყურებოდეს".*

ხუან მანუელ მარკესი ადასტურებს, რომ ბრძოლის წინ არანაირ ზეწოლას არ განიცდის. პირიქით, იმის განცდა, რომ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლა აქვს ჩასატარებელი, მექსიკელს მეტ მოტივაციას აძლევს: *"მე ამას ზეწოლას ვერ ვუწოდებ, პირიქით, ზედმეტ მოტივაციად აღვიქვამ. კარგად მესმის მომავალი ბრძოლის მნიშვნელობა და ამიტომაც 100 პროცენტით მომზადებული შევხვდები მას".*

ოლიმპიზმი

# ფინიშის სწორზე

ზუსტად ერთ თვეში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს აირჩევს, მანამდე კი სოკ-მა ოთხ კანდიდატ ქალაქში მოგზაურობის შემდეგ შეფასებითი კომისიის საბოლოო დასკვნა მოისმინა. ტოკიოში, რიო-დე-ჟანეიროში, ჩიკაგოსა და მადრიდში ვიზიტის შემდეგ, კომისიის ცამეტმა წევრმა 98-გვერდიანი დოკუმენტი მოამზადა, რომელშიც თავისი აზრი გამოთქვა ამ ქალაქების ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

დოკუმენტში არ არის შეფასებული კანდიდატების შანსები, სამაგიეროდ, კომისიამ ხაზი გაუსვა ქალაქების დადებით და უარყოფით მხარეებს. მაგალითად, ჩიკაგოს არ აქვს ფინანსური გარანტიები, სამაგიეროდ, ეს ქალაქი ინფრასტრუქტურის მხრივ არის მიმზიდველი: ამერიკელები ოლიმპიური ობიექტების განლაგებას ერთ რაიონში აპირებენ, რომელიც ცენტრიდან რვა კილომეტრით იქნება დაცილებული.

ტოკიოში საზოგადოების სუსტი მხარდაჭერა შეინიშნება, მადრიდის განაცხადს ფანტაზია აკლია, რიო-დე-ჟანეიროში მოსაწესრიგებელია სასტუმროების ქსელი და უსაფრთხოების საკითხი.

შეგახსენებთ, რომ გამარჯვებულ ქალაქს 2 ოქტომბერს კოპენჰაგენში ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე, სამრაუნდიანი კენჭისყრის შემდეგ აირჩევენ.

ველოსპორტი

# მსოფლიოს ჩემპიონატი კონტადორის გარეშე

წლევანდელი ტურ დე ფრანსის ტრიუმფატორი **ალბერტო კონტადორი** გამოტოვებს მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც 24-27 სექტემბერს შვეიცარიაში გაიმართება,

*"ჩემს მწვრთნელ ლუის სანტოსს მოველაპარაკე. იმის გამო, რომ ტურ დე ფრანსის შემდეგ პრაქტიკა არ მქონია, გადავწყვიტეთ უარი გვეთქვა მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლაზე და ნაკრებში ადგილი სხვა მრბოლელისთვის დაგვეთმო.*

*ის ველომრბოლები, რომლებიც ახლა ვუელტაზე გამოდიან, უკეთეს ფორმაში იქნებიან და მათთან ბრძოლა ძალიან გამიჭირდება. ვიცი, რომ მენდრიზიოს ტრასა ჩემს სტილს შეესაბამება, რადგან ის საკმაოდ რთული გასავლელია, მაგრამ ურთულესი წელი მქონდა და ამ ეტაპზე დასვენება ვარჩიე"*, - ამბობს კონტადორი "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

■ ■ ■

თანდათან ივსება ლეგენდარული ამერიკელის **ლენს არმსტრონგის** ახალი გუნდის Radio Shack-ის შემადგენლობა. მომავალი ორი წელი ამ ველოსაჯინიბოს წევრი იქნება ცნობილი ამერიკელი ველომრბოლი **ლევი ლაიპჰაიმერი**, რომელიც წელს ლენსთან ერთად ყაზახურ "ასტანაში" გამოდიოდა.

35 წლის ლაიპჰაიმერმა განაცხადა, რომ მომავალ წელს კალიფორნიის ტურში, Dauphine Libere-სა და ტურ დე ფრანსზე გამოვა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ტურ დე ფრანსის მსვლელობისას ლევიმ მარჯვენა მაჯა მოიტეხა და ვადაზე ადრე გამოეთიშა ბრძოლას. ლაიპჰაიმერის პროფესიულ ტურში დაბრუნება მისურის ტურზეა დაგეგმილი.

RadioShack-ის კიდევ ერთი ახალი წევრი გახდა რუსული გუნდის "კატიუშას" ყოფილი სპრინტერი, ბელგიელი **გერტ სტეგმანსი**, რომელსაც ტურ დე ფრანსის რამდენიმე ეტაპი აქვს მოგებული.

სტეგმანსმა ამა წლის აგვისტოში დატოვა "კატიუშას" რიგები, რადგან არ მოისურვა შიდაგუნდურ ანტისადოპინგო დეკლარაციაზე ხელის მოწერა. ამ დოკუმენტის თანახმად, გუნდის ის წევრი, რომელსაც დოპინგის მიღებაში ამხელენ, საჯინიბოს 5 წლის ხელფასის ოდენობის თანხას გადაუხდის. სტეგმანსმა დეკლარაციას ხელი არ მოაწერა და ორმხრივი შეთანხმების თანახმად რუსულ გუნდთან კონტრაქტი გაწყვიტა.



ფორმულა 1

# მალაიზიას გუნდი ეყოლება

ფორმულა 1-ის მომავალი წლის ჩემპიონატში ინდური "ფორს ინდიას" გარდა, შესაძლოა, მალაიზიური საჯინიბო გამოჩნდეს. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ "BMW-ზაუბერის" შეძენის სურვილს კონსორციუმი Petronas და AirAsia გამოთქვამენ. მალაიზიური Mailsport მომავალი გარიგების დეტალებს აზუსტებს.

AirAsia - "უილიამის" სპონსორია და როგორც ჩანს, ბრიტანულ საჯინიბოსთან თანამშრომლობას გააგრძელებს. მაგრამ კომპანიის ერთ-ერთ მფლობელს **ტონი ფერნანდესს** კერძო პირის სტატუსით სურს "BMW-ზაუბერის" შეძენა.

ახლა მხარეები მალაიზიის მთავრობის გადაწყვეტილებასა და მისგან მხარდაჭერას ელიან. რამდენიმე წლის წინ მთავრობის მხარდაჭერით ფორმულა 1-ში დებიუტი ჰქონდა მალაიზიელ **ალექს იონგს**, ახლა კი ამ ქვეყანას, შესაძლოა, ეროვნული საჯინიბო გაუჩნდეს.

მალაიზიის სპორტის მინისტრმა არც უარყო და არც დაადასტურა ეს ინფორმაცია. მოლაპარაკებები გრძელდება. შესაბამისი განცხადების გაკეთება სექტემბრის ბოლოს იგეგმება...

# რენოს საქმეს 21 სექტემბერს განიხილავენ

ესპანური გამოცემა Diario AS ვარაუდობს, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) მსოფლიოს საბჭო 21 სექტემბერს განიხილავს სინგაპურის შარშანდელი გრან-პრის დროს "რენოს" პილოტ **ნელსინიო პიკეს** ავარიის საქმეს. როგორც უკვე ვწერდით, ფედერაციის მესვეურებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ფრანგულმა საჯინიბომ ეს ავარია სპეციალურად მოაწყო, რათა პიკეს თანაგუნდელ **ფერნანდო ალონსოს** რბოლაში გამარჯვება მოეპოვებინა. საბოლოოდ ესპანელი პირველი მივიდა ფინიშთან.

გასულ უიკ ენდზე ბელგიის გრან-პრის მსვლელობისას ფედერაციის წარმომადგენლები ალონსოს, "რენოს" შეფ **ფლავიო ბრიატორესა** და მთავარ ინჟინერ **პეტ სიმონდსს** გაესაუბრნენ. გარდა ამისა, FIA-მ ყველა მასალა და რადიომოლაპარაკებების ჩანაწერები ამოიღო, რომელიც სინგაპურის შარშანდელ გრან-პრის შეეხებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ჩოგბურთი — აშშ-ის ღია პირველობა

# არის პირველი სენსაცია!

## აშშ-ის ღიას მთავარ ფავორიტად აღიარებულმა ელენა დემენტიევამ 17 წლის ამერიკელთან წააგო

აშშ-ის ღია პირველობის წინ, ამერიკული ტურნირების ტრადიციულ სერიაში საუკეთესოდ წარმოაჩინა თავი რუსმა **ელენა დემენტიევამ** და ჩოგბურთის სპეციალისტების შეფასებით, "ფლეშინგ მედოუს" კორტების მთავარი ფავორიტის სტატუსი მოიპოვა. ლეგენდარული საჩოგბურთო აკადემიის დამაარსებელი **ნიკ ბოლეტიერი** სწორედ ელენას უწინასწარმეტყველებდა "დიდი სლემის" რიგით მეოთხე ტურნირში გამარჯვებას. ამიტომაც გუშინ დემენტიევას მარცხი 17 წლის ამერიკელ **მელანი ოუდინთან** ჯერჯერობით ამერიკის ღიას მთავარ სენსაციად მოინათლა.

ოუდინმა საჩოგბურთო სამყაროს თავი წლევანდელ უიმბლდონზე გააცნო, როცა მესამე წრეში სერბი **ელენა იანკოვიჩი** დაამარცხა და მერვედფინალში გაალწია, თუმცა იქ პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკასთან** წააგო. სხვა მხრივ ამერიკელს წელს თავი არაფრით გამოუჩენია. დემენტიევა კი ამერიკის ღიას ტორონტოს უმაღლესი კატეგორიის ტურნირის გამარჯვებულის რანგში შეხვდა. ამიტომაც ცოტა ვინმეს თუ ეგონა, რომ თინეიჯერი ამერიკელი 27 წლის რუსისთვის წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდა.

მატჩი ფავორიტის უპირატესობით დაიწყო. დემენტიევა ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ ოუდინმა მეექვსე გეიმში დაიბრუნა თავისი მოწოდება - 3:3. ამის შემდეგ ჩოგბურთელებმა ბრეიკები გაცვალეს, ყველაფერი კი მე-11 გეიმში გადაწყდა, როცა რუსმა მესამედ აილო გეიმი მეტოქის მოწოდებაზე და სეტი 7:5 მოიგო.

მეორე სეტი ოლიმპიური ჩემპიონისთვის ცუდად დაიწყო - ოუდინი 4:1 გავიდა წინ. დემენტიევამ შეძლო და ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა - 4:5, მაგრამ შემდეგ გეიმში ელენამ ბრეიკი დათმო და სეტებში ანგარიში გათანაბრდა.

გადამწყვეტ პარტიაში ორივე ჩოგბურთელს 4-4 ბრეიკი ჰქონდა, აქედან დემენტიევამ მხოლოდ ორი გამოიყენა, ოუდინმა - სამი, რამაც სეტისა და მატჩის მოგების საშუალება მისცა. შეხვედრა ორ საათსა და 45 წუთს გაგრძელდა. დემენტიევას მეტოქეზე ნაკლები უნებლიე შეცდომა ჰქონდა, სამაგიეროდ ამერიკელმა ათით მეტი "ვინერსი" მიითვალა.

*"არც კი ვიცი, რა ვთქვა. ძალიან ბედნიერი ვარ,* - განაცხადა მატჩის შემდეგ ოუდინმა. - *დემენტიევა ბოლომდე იბრძოდა და ორი მატჩ-პოინტი მოიგერია. ვგრძნობდი, რომ ეს შეიძლება ჩემი ბოლო შანსი ყოფილიყო, ამიტომაც მოხარული ვარ, რომ ის ხელიდან არ გავუშვი".*

კინაღამ დემენტიევას ბედი გაიზიარა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **დინარა საფინამ**, რომლის მზადყოფნა ამერიკის ღია პირველობისთვის დიდ ეჭვს იწვევს. რუსის გუშინდელი შეხვედრა 18 წლის გერმანელ **კრისტინა ბაროისთან** გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა საფინას პირველი წრის მატჩს ავსტრალიელი **ოლივია როგოვსკას** წინააღმდეგ. ორივე შემთხვევაში დინარამ პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე წააგო, თანაც ორივეჯერ სეტ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა. მეორე პარტია რუსმა იოლად მოიგო, მესამეში კი ორივეჯერ 0:2 ჩამორჩა მეტოქეს. ერთადერთი, რაც საფინას არ დაეწუნება, ეს არის ბრძოლის ჟინი. მან ამჯერადაც შეძლო ურთულესი სიტუაციიდან გამოძრომა და გამარჯვების მოპოვება.

საფინას სატურნირო ბადის მხრივ მეტად გაუმართლა და თუ ძალიან არ მოინდომებს წაგებას, წესით ნახევარფინალში თამაშის უფლება უნდა მიიღოს. ამ ეტაპამდე რუსს არც ერთი განთესილი ჩოგბურთელი აღარ შეხვდება, რადგან ბადეში მის მხარეს გუშინ დამარცხდნენ მეხუთე ნომერი ელენა იანკოვიჩი, მე-19 ნომერი **პატი შნიდერი**, 23-ე - **საბინ ლისიცკი** და 30-ე - **ალიონა ბონდარენკო**. მანამდე გავარდნენ სხვა განთესილები - **ალისა კლეიბანოვა, ანა ივანოვიჩი** და **ვირჟინ რაზანო**.

იანკოვიჩის წაგება გუშინდელი დღის მეორე სენსაცია იყო. ამერიკელი სერიის ტურნირების მეორე გმირმა (სერბმა ცინცინატის ტურნირი მოიგო) ყაზახ **იაროსლავა შვედოვასთან** წააგო. მთელი მატჩი უპირატესობა სწორედ ამ უკანასკნელს ჰქონდა და უფრო ადრე უნდა მოემთავრებინა საქმე. მაგალითად მეორე სეტში, როცა 2:4-დან მოაგებინა პარტია იანკოვიჩს. ან მესამე სეტის ბოლოს, როცა 5:4-ზე და 6:5-ზე ორჯერ აწვდიდა მატჩზე, მაგრამ საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, თუმცა იქ მაინც გაუსწორდა მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს.




### კაცები

#### I წრე

**ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-ხუან მონაკო (არგ) 6:3, 6:3, 6:1; **ჟილ სიმონი (9)**-დანიელ ხიმენო ტრავერო (ესპ) 6:4, 7:6(3), 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 18)**-ალბერტო მარტინი (ესპ) 7:5, 5:7, 6:3, 6:3; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 32)**-სტივ დარცისი (ბელ) 6:2, 6:4, 2:6, 7:6(8); **დანიელ კოლერერი (ავსტრია)**-რუი მაშადო (პორ) 6:2, 6:4, 2:6, 6:2; **რობი ჯინეპრი (აშშ)**-ანდრეი პაველი (რუმ) 5:7, 6:2, 6:4, 6:0; **ხოსე აკასუსო (არგ)**-მარკოს დანიელი (ბრა) 6:2, 6:4, 6:3; **ფილიპ პეტცშნერი (გერ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 7:6(3), 6:7(6), 6:4, 4:6, 6:3.

#### II წრე

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-სიმონ გროილი (გერ) 6:3, 7:5, 7:5; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 10)**-ფლორან სერა (საფ) 6:3, 6:0, 6:3; **ტომი ჰაასი (გერ, 20)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:4, 6:4, 7:6(3); **სემ კუერი (აშშ, 22)**-კევინ კიმი (აშშ) 7:5, 6:7(6), 6:4, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 31)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:3, 6:3, 6:4; **ჯესი ვიტენი (აშშ)**-მაქსიმო გონსალესი (არგ) 6:7(3), 6:4, 7:5, 6:2.

### ქალები

#### II წრე

**დინარა საფინა (რუს, 1)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:7(5), 6:2, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-მელინდა ჩინკი (უნგ) 6:1, 6:1; **მელანი ოუდინი (აშშ)**-ელენა დემენტიევა (რუს, 4) 5:7, 6:4, 6:3; **იაროსლავა შვედოვა (ყაზ)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 5) 6:3, 6:7(4), 7:6(6); **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 9)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:1, 6:0; **ნადია პეტროვა (რუს, 13)**-ჟული კუანი (საფ) 6:4, 7:6(3); **ვანია კინგი (აშშ)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 15) 7:5, 6:4; **სარა ერანი (იტა)**-პატი შნიდერი (შვეიც, 19) 7:5, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 21)**-ალიზ კორნე (საფ) 1:6, 6:3, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 22)**-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც) 5:7, 6:2, 6:1; **ანასტასია როდიონოვა (ავსტრა)**-საბინ ლისიცკი (გერ, 23) 6:3, 3:6, 7:5; **სორანა კირსტეა (რუმ, 24)**-სტეფანი დუბუა (კან) 6:4, 5:7, 6:4; **ხისელა დულკო (არგ)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ, 30) 6:4, 6:0; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 7:5, 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-შუაი პენგი (ჩინ) 2:6, 6:1, 6:4; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-შენაი პერი (აშშ) 6:1, 6:1; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:1, 6:3.

ჰოკეი

# ლუონგო: 12 წლით ვანკუვერში



კანადის ნაკრების გოლკიპერმა **რობერტო ლუონგომ** თავის ამჟამინდელ კლუბ "ვანკუვერ კენაქსთან" ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. როგორც ESPN იტყობინება, 30 წლის მეკარე კანადურ კლუბთან 12-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ამ დროის განმავლობაში ლუონგო 64 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ასე რომ, ჰოკეის ეროვნული ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე მინიმუმ 2022 წლამდე ითამაშებს პროფესიულ დონეზე.

*"ეს დიადი დღეა ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის,* - აცხადებს ლუონგო. - *ვაღმერთებ ჰოკეიზე შეყვარებულ ქალაქში თამაშს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "კენაქსი" საჩემპიონო გუნდი გახდეს".*

ლუონგოს ძველ კონტრაქტს მომავალი წლის ზაფხულში გასდის ვადა. 2009-10 წლების სეზონში კანადელი 7.5 მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

ფორვარდი **ალექს ტანგეი** "ტამპა ბეი ლაითნინგის" რიგებში ჩაირიცხა. 29 წლის ჰოკეისტმა ახალ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

გასული სეზონი ჰოკეისტმა "მონრეალ კანადიენსის" რიგებში გაატარა და 50 მატჩში 41 ქულა (16 გოლი+25 პასი) დააგროვა. ტანგეის ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 9 სეზონი აქვს ჩატარებული. "კოლორადოს", "კალგარისა" და "მონრეალის" შემადგენლობაში 659 მატჩი ითამაშა და 580 ქულა (193+387) მოიხვეჭა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ფინეთი-ინგლისი | 2:3 |
| საფრანგეთი-ჰოლანდია | 0:0 პენ.4:5 |

#### ესპანეთის თასი

| | |
|---|---|
| ნუმანსია-მურსია | 2:3 |

#### ფინეთი. II დივიზიონი

| | |
|---|---|
| პოპა-ტპვ ტამპერე | 2:1 |

#### ისლანდია

| | |
|---|---|
| გრინდავიკი-ვესტმანაიეარი | 1:1 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ჩესკა ლიპა-სლავია | 2:4 |
| რიდეკი-ბრნო | 1:2 |
| ლისენი-სიგმა | 1:3 |
| უსტი (ლ)-ტეპლიცე | 1:4 |
| უსტი (ო)-სპარტა | 0:4 |

#### არგენტინა

| | |
|---|---|
| ურაკანი-ატლეტიკო | 0:2 |
| არხენტინოს ხუნიორსი-ლანუსი | 0:0 |

### ფრენბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი. კაცები

| | |
|---|---|
| ესპანეთი-სლოვენია | 3:0 |
| რუსეთი-ესტონეთი | 3:1 |
| პოლონეთი-საფრანგეთი | 3:1 |
| სერბეთი-ბულგარეთი | 2:3 |
| ფინეთი-ჰოლანდია | 2:3 |
| თურქეთი-გერმანია | 2:3 |

### ჰოკეი

#### ევროტური

| | |
|---|---|
| რუსეთი-შვედეთი | 3:3 ბულ. 0:1 |
| ჩეხეთი-ფინეთი | 2:0 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| მანჰაიმი-ნიურნბერგი | 4:1 |

## TV პროგრამა

### 4 სექტემბერი. პარასკევი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

07:30 90 წუთი - საფეხბურთო ტოქშოუ.
09:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ტვენტე.
10:55 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
12:30 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ნიუელსი.
14:15 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბარნლი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
17:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია.
19:10 სასტვენი.
20:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ნიუელსი.
23:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:05 2:1 - საფეხბურთო ტოქშოუ.
01:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ნიურნბერგი.
04:20 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ვილიარეალი.

#### НТВ-პლუსი (ონლაინი)

08:00 სპორტული დილა.
08:45 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ბულგარეთი-სერბეთი, პოლონეთი-საფრანგეთი. თურქეთი.
12:20 ახალი ამბები.
12:30 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
13:00 ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთის თამაშები. ჩეხეთი-ფინეთი.
15:00 სპორტული დღე.
15:45 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ესტონეთი-რუსეთი. თურქეთი.
18:30 ჰოკეი. ევროტური. ჩეხეთის თამაშები. რუსეთი-შვედეთი.
20:30 ახალი ამბები.
20:40 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-ჩეხეთი. თურქეთი (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. V დღე (LIVE).
02:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. V დღე. მიმოხილვა
03:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. V დღე (LIVE).

#### EUROSPORT

07:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. IV დღე.
16:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ფინეთი (LIVE).
19:00 ველოსპორტი. ვუელტა. VI ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
19:55 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ფინეთი.
21:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 1/4 ფინალი. ფინეთი (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. V დღე (LIVE).

კალათბურთი — ამერიკის ჩემპიონატი

# ბოუენმა დაამთავრა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანმა **ბრიუს ბოუენმა**, რომელმაც "სან ანტონიო სპურსის" რიგებში სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული, კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ამ ზაფხულს "სან ანტონიომ" 38 წლის კალათბურთელი "მილუოკიში" გაცვალა, ამ უკანასკნელმა კი ბოუენის კონტრაქტის ბოლო წელი გამოისყიდა და ბრიუსი 1-ლი აგვისტოდან თავისუფალი აგენტი გახდა. ვეტერანმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ის ახლა ბიზნესში აპირებს წასვლას და პარალელურად, ტელევიზიაში ცდის ძალებს.

ბოუენმა NBA-ში თამაში 1996-97 წლებში დაიწყო. ის ხუთჯერ შეიყვანეს (2003-08) სეზონის საუკეთესო დამცველების პირველ სიმბოლურ ნაკრებში. სულ ბრიუსმა NBA-ში 873 მატჩი ჩაატარა და სულ 5290 ქულა, 1089 პასი და 712 ჩაჭრა დააგროვა.




#### მეოთხედფინალური ჯგუფი

**ბრაზილია-კანადა 68:59**

18:15, 18:18, 16:17, 16:9

ბ: ბარბოზა (31), უერტასი (10+5 მოხსნა), ვარეჟაო (8+7 მოხსნა), ჯოვანონი (8+6 მოხსნა).
კ: კენდალი (12+7 მოხსნა), ენტონი (10), ფამუტიმი (10), როტენი (2+5 პასი).

**პანამა-ურუგვაი 83:77**

16:17, 14:21, 28:19, 25:20

პ: მუნიოსი (21+6 პასი), გრინი (25+7 მოხსნა), პინოკი (18+7 მოხსნა).
უ: ბატისტა (18+11 მოხსნა), ბარერა (15+6 პასი), აგიარი (12), ნიუსომი (12).

**არგენტინა-მექსიკა 77:65**

17:17, 17:12, 23:18, 20:18

ა: სკოლა (25+7 მოხსნა+5 პასი), კამერიხსი (14+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), გუტიერესი (14), პრიჯიონი (8+7 პასი).
მ: აიონი (18+9 მოხსნა), ალონსო (14+6 მოხსნა), სუნიგა (12), პედროსა (11).

**პ. რიკო-დომინიკის რ. 85:76**

16:13, 21:21, 21:19, 27:23

პ: აროიო (17+6 მოხსნა+5 პასი), აიუსო (16), სანჩესი (11), სანტიაგო (10+5 მოხსნა), ლი (10), რამოსი (9+8 მოხსნა).
დ: ვილანუევა (21+6 მოხსნა), ჰორფორდი (18+10 მოხსნა), ფლორესი (14+9 პასი), მარტინესი (10+7 მოხსნა).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. პუერტო რიკო - 5 მოგება/0 წაგება; 2. ბრაზილია - 5/0; 3. არგენტინა - 4/1; 4. დომინიკის რეს - 2/3; 5. ურუგვაი - 2/3; 6. კანადა - 1/4; 7. პანამა - 1/4; 8. მექსიკა - 0/5.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ფიზიკელა სკუდერიაშია

## სეზონის ბოლო ხუთ რბოლაში ფერარის ფორს ინდიას პილოტი დაეხმარება

"ფორს ინდიამ" საკონტრაქტო ვალდებულებებისგან გაათავისუფლა **ჯანკარლო ფიზიკელა** და იტალიელი სეზონის დარჩენილ რბოლებში "ფერარის" ღირსებას დაიცავს. გუშინ "სკუდერიამ" ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა.

*"ჩვენ არჩევანი ჯანკარლოზე შევაჩერეთ და ვთვლით, რომ მას შეუძლია სეზონის ფინალურ რბოლებში წარმატების მიღწევა. ფიზიკელა მთელი თავისი კარიერის განმავლობაში ამტკიცებდა სისწრაფესა და კონკურენტუნარიანობას და ჩვენ ვამაყობთ, რომ საშინაო გრან-პრიში იტალიელი პილოტი გვეყოლება"*, - ამბობს "ფერარის" შეფი **სტეფანო დომენიკალი**.

"ფერარის" პრესსამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში ფიზიკელამ ამ ახალი ამბით გამოწვეული სიხარული ვერ დამალა: *"მეცხრე ცაზე ვარ! ჯერ კიდევ არ მჯერა, რომ ჩემი ოცნება ახდა.*

*გასულ კვირას ჩემს ცხოვრებაში დაუჯერებელი ამბები მოხდა - პოული "სპაზე", მეორე ადგილი რბოლაში, დღეს კი გავიგე, რომ სეზონის ბოლო ხუთ გრან-პრის "ფერარის" შემადგენლობაში ჩავატარებ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გუნდს ამ შესაძლებლობისთვის კარგი შედეგებით გადავუხადო მადლობა".*

# იტალიელები ფერარიში



"ფერარის" ტრავმირებული პილოტი **ფელიპე მასა** ჯერ **ლუკა ბადოერით** შეცვალეს, ახლა კი წითელი ბოლიდის საჭე **ჯანკარლო ფიზიკელას** ანდვეს. მართალია, ბადოერმა ვერ გაამართლა "სკუდერიას" ხელმძღვანელთა იმედი, მაგრამ ფაქტია, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ლუკა გახდა პირველი იტალიელი, ვინც "ფერარის" ბოლიდის საჭეს მიუჯდა. სულ 60-წლიანი ისტორიის განმავლობაში "სკუდერიას" 21 იტალიელი პილოტი ჰყავდა.

თანაც ყოველ ათწლეულში "ფერარის" შემადგენლობაში აპენინელი მრბოლელების რიცხვი თანდათან მცირდებოდა. თუ 50-იან წლებში "სკუდერიას" ბოლიდებით ცხრა იტალიელი პილოტი გამოდიოდა, 60-იან წლებში მათი რაოდენობა ოთხამდე შემცირდა, ამდენივე იტალიელმა სცადა ბედი "ფერარიში" 70-იან წლებში, შემდეგ ათწლეულში კი "წითლების" რიგებში მხოლოდ ერთი აპენინელი ვიხილეთ. 90-იანებში სამი იტალიელი იყო "ფერარის" წევრი, თანაც აქედან ორი რამდენიმე რბოლაში ძირითად პილოტს ცვლიდა.

1950-59 წლებში "ფერარის" რიგებში გამოდიოდა იტალიელი ავტომრბოლების ლეგენდარული პლეადა: **ჯუზეპე ფარინა, ალბერტო ასკარი, პიერო ტარუფი, ლუიჯი ვილორეზი, ლუიჯი მუსო...** 1952-53 წლებში ასკარიმ "სკუდერიას" შემადგენლობაში ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონის ტიტული. ვინ იფიქრებდა, რომ მომდევნო 60 წლის განმავლობაში ვერც ერთი იტალიელი ველარ მოახერხებდა მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებას.

60-იან წლებში "ფერარის" ახალგაზრდა და ნიჭიერი იტალიელი პილოტები ჰყავდა: **ლორენცო ბანდინი, ლუდოვიკო სკარფიოტი, ჯანკარლო ბაგეტი** და **ანდრეა დე ადამიჩი**. ამასთან ბაგეტიმ 1961 წელს სადებიუტო რბოლაში (საფრანგეთის გრან-პრი) გაიმარჯვა, მაგრამ ის მოგება ერთადერთი აღმოჩნდა მის კარიერაში. ასევე თითო-თითო გამარჯვება მოიპოვეს ბანდინიმ და სკარფიოტიმ. მათ შეეძლოთ ტიტულისთვის ბრძოლა, მაგრამ ლორენცოსა და ლუდოვიკოს კარიერა ალმასვლის პერიოდში შეწყდა - ისინი რბოლების დროს დაიღუპნენ.

შემდეგი ათწლეულის განმავლობაში, "ფერარიში" მონაწილე ვერც ერთმა იტალიელმა პილოტმა ვერ მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპის მოგება. ეს ვერ შეძლეს **არტურო მერცარიომ, იგნაციო ჯუნტიმ, ვიტორიო ბრამბილამ** და **ნანი გალიმ...**

სამაგიეროდ, 80-იან წლებში "ფერარის" რიგებში ამობრწყინდა **მიკელე ალბორეტოს** ვარსკვლავი. იტალიელმა "სკუდერიასთვის" სამი რბოლა მოიგო, მხოლოდ ლეგენდარულ **ალენ პროსტს** ჩამორჩა და 1985 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. იმ სეზონში გერმანიის გრან-პრიზე უკანასკნელად აჟღერდა იტალიის ჰიმნი "ფერარის" იტალიელი პილოტის საპატივცემულოდ. უფრო მეტიც, ალბორეტო გახდა ერთადერთი პილოტი აპენინის ნახევარკუნძულიდან, ვინც 80-იან წლებში იტალიური საჯინიბოს ღირსებას იცავდა და ბოლო იტალიელი, რომელთანაც კონტრაქტი თვით **ენცო ფერარიმ** გააფორმა.

კომენდატორეს სიკვდილის შემდეგ "ფერარიში" მხოლოდ სამი იტალიელი გამოდიოდა. 1991 წლის სეზონის ბოლო რბოლაში (ავსტრალიის გრან-პრი) გუნდიდან დათხოვნილი ალენ პროსტი **ჯანი მორბიდელიმ** შეცვალა. ახალგაზრდა იტალიელმა საპრიზო ექვსეულში მოხვედრა შეძლო, თუმცა მაშინ რბოლა ძლიერი წვიმის გამო ნაადრევად შეწყდა და ჯანიმ მხოლოდ 0.5 ქულა მიიღო, ავსტრალიის გრან-პრი კი ერთადერთი რბოლა იყო მისთვის "ფერარის" შემადგენლობაში.

მომდევნო სეზონში "სკუდერიას" ძირითად შემადგენლობაში ადგილი მისცეს მეორე იტალიელს - **ივან კაპელის**. მაგრამ 1992 წელს "ფერარის" არცთუ ისე სახარბიელო შედეგები ჰქონდა, თანაც კაპელი მთლიანად დაიკარგა ფრანგი თანაგუნდელის **ჟან ალეზის** ფონზე. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში მან სულ სამი ქულა დააგროვა, ალეზიმ - 18.

ლუკა ბადოერამდე ბოლო იტალიელი, ვინც "ფერარის" ბოლიდით გავიდა სტარტზე, **ნიკოლა ლარინი** იყო, რომელმაც 1994 წელს ორ ეტაპზე შეცვალა ტრავმირებული ალეზი. იაპონიის აიდაში, წყნარი ოკეანის გრან-პრიზე ლარინი პირველი წრიდან გამოეთიშა რბოლას, როცა **აირტონ სენას** "უილიამსს" დაეჯახა. მომდევნო რბოლაში, რომელშიც სენა ტრაგიკულად დაიღუპა, ლარინი მეორე მივიდა ფინიშთან, თუმცა თითქმის წუთი წააგო **მიხაელ შუმახერის** "ბენეტონთან". ორი კვირის შემდეგ მონაკოში "ფერარის" ალეზი დაუბრუნდა...

გვერდი მოამზადა

**გია თვალაბეიშვილმა**





